ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www.ilori.ge

№132 (191) 16-23 აგვისტო 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ალექსანდრე ჭაჭია: სამწუხაროდ, ეკლესიისა და პატრიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილების და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ!

**საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრისა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია გვესაუბრება:**

**– ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრას, თუ იცით, რა განწყობაა ამ შეხვედრის შემდეგ რუსეთის სახელისუფლო წრეებში?**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეხვედრა იყო ძალიან თბილი, ძმური და მეგობრული, რუსეთის სახელისუფლო წრეებშიც ძალიან დადებითი დამოკიდებულებაა ამ ურთიერთობების მიმართ, თუმცა ძნელია საუბარი იმაზე, რომ ამ შეხვედრას რაიმე რეალური შედეგები მოჰყვეს.

**– რუსეთის პატრიარქი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას ცნობს საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ საზღვრებში. ეს ამ შეხვედრაზეც ხაზგასმით აღინიშნა. როგორ ფიქრობთ, გაბედავდა რუსეთის პატრიარქი ამის ასე ხაზგასმით აღნიშვნას, რომ არა რუსეთის ხელისუფალთა ნება?**

– ხელისუფლება არაფერ შუაშია, ეს არის წმინდა მართლმადიდებლური მიდგომა. ჯერ ერთი, რომ რუსეთის ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული ურთიერთობები საქართველოს ეკლესიასთან. მეორე და მთავარი – დღეს მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში არის განსაკუთრებული შეტევის ობიექტი, ამიტომ მართლმადიდებლური ძალების გაერთიანებას და ერთ პლატფორმაზე დგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი, ისე რუსეთის ეკლესიისთვის.

მე ძალიან მაშფოთებს მართლმადიდებლობის მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში. უბედურება ის არის, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეკლესიების საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში დატოვებას ჩვენთვის რეალური შედეგი არ მოაქვს. საჭიროა ჩვენი ეკლესიის უფრო მეტი აქტიურობა, რაც ნამდვილად აკლია მას. როგორ გგონიათ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ისე, რომ აფხაზეთში, გნებავთ, ცხინვალში მრევლს მოძღვარი არ ჰყავდეს? ეკლესიას მღვდელი არ ჰყავდეს? სწორედ ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა ეკლესიამ უნდა გადავდგათ ნაბიჯები და მივაღწიოთ იმას, რომ ქართველ მღვდელს შეეძლოს ამ ტერიტორიებზე ჩასვლა, წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ შემთხვევაში აქვს აზრი რუსეთის საპატრიარქოს მიერ იქ საქართველოს იურისდიქციის აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. აფხაზეთში უკვე ამბობენ, რუსეთის ეკლესია ჩვენ არ გვეხმარება, ქართული ეკლესიის არაფერი გვინდა და მივმართოთ კონსტანტინოპოლის ეკლესიას, ვიყოთ მათი წარმომადგენლებიო. ეს არის ძალიან საშიში რამ და მოჰყვება ძალიან ცუდი შედეგი, თუ ქართული ეკლესია დროულად არ წავიდა უშუალო კონტაქტებზე. თუმცა ამაში ეკლესიას ხელისუფლების დახმარება სჭირდება!

**– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქთან აფხაზეთში ჩასვლის შესახებ ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, რამდენად უსაფრთხო იქნება მისი უწმიდესობის ჩაბრძანება აფხაზეთში და, საერთოდ, არის კი ეს შესაძლებელი?**

– დღევანდელ ვითარებაში მისი უწმიდესობის ჩაბრძანება აფხაზეთში არის აბსოლუტურად გამორიცხული. რუსეთის პატრიარქი ვერ უზრუნველყოფს ამას. ეს უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ხელისუფლებამ, სასულიერო პირებმა და აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანმა, ავტორიტეტულმა ნაწილმა. სხვანაირად, თუნდაც პატრიარქ კირილეს თხოვნითა თუ მითითებით, ეს არ მოხდება. ამას სჭირდება სერიოზული მომზადება – ჯერ უნდა იყოს მოლაპარაკება არაოფიციალურად, მერე უნდა ჩავიდეს მდვდელმსახურთა ჯგუფი რომელიმე მიტროპოლიტის ხელმძღვანელობით და მომზადდეს საფუძველი მისი უწმიდესობის ჩაბრძანებისთვის. სხვათაშორის, ამ წინადადებით მე არაერთგზის მივმართე ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებას, მერე – სააკაშვილის ხელისუფლებას, მაგრამ არც მაშინ აინტერესებდათ და არც ახლა აინტერესებთ უშუალო ურთიერთობის დამყარება აფხაზურ მხარესთან, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას მიზნად არ ისახავს!

**– თქვენ ბრძანეთ, რომ მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში და საქართველოში არის განსაკუთრებული შეტევის ქვეშ. ვისი მხრიდან ხორციელდება ეს შეტევა და რა ხდება საქართველოში ამ მხრივ?**

– ამერიკელები არ მოითმენენ მართლმადიდებლობის გაძლიერებას საკუთარ კოლონიაში. ვერცერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ამერიკელები ვერ დამკვიდრდნენ, იმიტომ, რომ მართლმორწმუნე ხალხისთვის მიუღებელია მათი დირებულებები. ამერიკის მიზანია, რომ ხალხის მენტალობა შეიცვალოს, ამიტომაც მუდმივად საუბრობს სააკაშვილი ამის თაობაზე. ზბიგნევ ბზეჟინსკი ღიად აცხადებდა, კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკას ერთი მტერი დარჩება – მართლმადიდებლობაო. ამიტომ არის დღეს ყველაზე დიდი შეტევა მართლმადიდებლობაზე. კოსოვოში ნატოს ჯარის შესვლის შემდეგ 200-მდე მართლმადიდებლური ტაძარი დაინგრა. ხომ ნათელია, რა ხდება?

საქართველოში ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძის დროს. ჯერ მიმდინარეობდა ფარულად: შემოვიდნენ იეღოველები, სხვა სექტები, დაიწყეს მართლმადიდებლური ღირებულებების დაცინვა, მათ **„ჩამორჩენაზე“** ალაპარაკდნენ. მე მაშინ საუბარი მქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და ვუთხარი, რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, როცა ძალიან ძლიერად შეუტევდნენ ჩვენს ეკლესიას. ისიც მოვახსენე, რომ ამ ყველაფრის მიზანია მართლმადიდებლობის მოსპობა საქართველოში, განხეთქილების შეტანა ეკლესიაში. პატრიარქმა მითხრა, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ ერევა. ვფიქრობ, როდესაც ერი იღუპება, მაშინ ეკლესია უნდა ჩაერიოს საერო საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მესმის, რისთვის გვიბოძა უფალმა ეკლესია?! სამწუხაროდ, ეკლესიისა და პატრიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილების და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ.

მე პირადად არ ველოდი, რომ ეკლესია ასე გულგრილად დათანხმდებოდა კანონს რელიგიური ჯგუფებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. მართალია, არის ცალკეულ მღვდელმსახურთა პროტესტი, პატრიოტული ძალების აღშფოთება, მაგრამ როგორც ერთიანი ძალა, ეკლესია არ გამოსულა. ამერიკელებისა და საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს უკვე იმის ნიშანია, რომ შესაძლებელია, უფრო ძლიერი დარტყმა მიაყენონ ქართულ ეკლესიას და საბოლოოდ გახლიჩონ.

**– რისთვის იყო საჭირო ამ კანონის მიღება ასე უცებ? როგორც ამბობენ, ეს გაკეთდა სომხური ეკლესიისთვის. ამ კანონის მიღებას ხომ წინ სომხეთის პატრიარქის ვიზიტი უძღოდა საქართველოში...**

– ეს გაკეთდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნგრევისთვის, იმისთვის, რომ საქართველოში მართლმადიდებლურ ღირებულებებს მომავალი არ ჰქონდეს, საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია ვერ გახდეს ავტორიტეტული ძალა. რისთვის მიიღეს ასე უცებ ეს კანონი? ამას რომ წინა მოსამზადებელი პერიოდი ჰქონოდა, ასე იოლად ვერ ჩაივლიდა, ამას მოჰყვებოდა დიდი აღშფოთება, საპროტესტო ტალღა. ამიტომაც წამოატივტივეს რამდენიმე სკანდალური თემა, რითაც ამ საკითხის გადაფარვას შეეცადნენ. გამოუვიდათ კიდეც!

**– ზუსტად ამ პერიოდში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ქართველი ფოტორეპორტიორები, რომლებიც პირობითი სასჯელით გამოუშვეს, თუმცა, შსს-მ განაცხადა, რომ რუსეთის ჯაშუში საქართველოში კიდევ ბევრია და მოუწოდა მათ, საკუთარი ნებით გამოცხადდნენ პოლიციაში. რამდენად საფუძვლიანად გეჩვენებათ ფოტორეპორტიორების ბრალდება და მართლა ასეთი ძლიერია საქართველოში რუსეთის ჯაშუშური ქსელი?**

– მე ამ ყველაფერზე მეცინება! მახსოვს, ვიღაც გალელი კოჭოია გამოცხადებული იყო ჯაშუშად. ამაზე იცინოდა მთელი სამეგრელო და მთელი გალი. ქართული სპეცსამსახურები უკვე გადავიდნენ ზღვარს და აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელი იყოს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ფოტოგრაფები რუსეთის აგენტები ყოფილან და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენი ამერიკელი აგენტი მუშაობს საქართველოს ხელისუფლებაში, რამდენი თურქი აგენტი მუშაობს აჭარაში!

**– თურქი აგენტი?**

– დიახ, თურქი აგენტი! როდესაც ვამბობთ, რომ საქართველო უნდა გადავარჩინოთ დაშლას, რას ვგულისხმობთ? პირველ რიგში, აჭარას! აჭარა, პრაქტიკულად, დაკარგულია. თურქები აჭარიდან აღარ გავლენ, იმიტომ, რომ იქ ჩადებული აქვთ ძალიან დიდი კაპიტალი. ამ რეგიონს უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის. ათასობით თურქი უკვე მუდმივად ცხოვრობს ბათუმში და ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ პროცესისთვის ხელის შეშლა შეუძლია, არის რუსეთი, იმიტომ, რომ თურქეთს რუსეთთან გარკვეული ისტორიული შეთანხმებები აქვს. დღევანდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთი ამაში არ ჩაერევა. რაც შეეხება ამერიკას, მისთვის თურქეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში, ამიტომ შეერთებული შტატები არ შეეწინააღმდეგება თურქეთს ექსპანსიის გაძლიერებაში. დიდი ტრაგედია დაიწყება სწორედ აქედან! ასე რომ, ძალიან ბევრია ისეთი პრობლემა, რომლებიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფოტოგრაფების დაჭერა და აგენტებად გამოცხადება.

მეტსაც გეტყვით. თურქეთი აუცილებლად შეეცდება, რომ აფხაზეთი იყოს აღიარებული დამოუკიდებელ ქვეყნად, ვინაიდან თურქეთს არ აწყობს ამ რეგიონში რუსეთის მონოპოლია. ამერიკა ამასაც არ შეეწინააღმდეგება.

ერთსაც გეტყვით და დაიმახსოვრეთ: არჩევნებში **„ნაციონალური მოძრაობის“** გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება პროპაგანდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის თაობაზე. ხელისუფლება დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ ამის გარეშე ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, ევროკავშირში არ მიგვიღებენ, ახლა ვაღიაროთ აფხაზეთი, მერე ნატო და ევროკავშირი დაგვეხმარებიან მის დაბრუნებაშიო.

**– სხვათაშორის, მოსაზრება აფხაზეთის აღიარების შესახებ უკვე გახმიანდა ექსპერტ მამუკა არეშიძის მიერ. ის ამბობს, რომ ამით შესუსტდება რუსეთის გავლენა აფხაზეთზე...**

– შეიძლება, ეს მისი გულწრფელი მოსაზრებაა. მე გარწმუნებთ, რომ ასეთი კამპანია აუცილებლად დაიწყება არჩევნების შემდეგ, თუკი **„ნაციონალური მოძრაობა“** გაიმარჯვებს. სწორედ ამიტომ არის მიუღებელი ხელისუფლებისთვის აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის დამყარების საშუალებების ძებნა, მეტიც, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ურთიერთობები გაუარესდეს. არის უამრავი დაპირება და ამ დაპირების პარალელურად დემონსტრირება იმისა, რომ არაფერი გამოდის. მათ უნდათ, ხალხი დაარწმუნონ, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა. საუბედუროდ, ეს არ იწვევს საყოველთაო აღშფოთებას. ასე რომ, აფხაზეთის აღიარების საკითხიც მშვიდად ჩაივლის და შემდეგი რეგიონი არის აჭარა!

**– ახლა ოპოზიციაზეც ვისაუბროთ. რატომ ვერ ერევა ოპოზიცია სააკაშვილს მაშინ, როცა ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილება ძალიან დიდია? თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვთ ოპოზიციურ ძალებს?**

– უბედურება ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს ოპოზიცია, რომელსაც გააჩნია ქვეყნის განვითარების ხელისუფლებისგან განსხვავებული, ალტერნატიული მოდელი. ხალხი ამას ხედავს და ამიტომ ეს ოპოზიცია არ სარგებლობს ავტორიტეტით. ქართველი პოლიტიკოსები დგანან ცუდ გზაზე, ისინი ეძებენ არა ქართველი ხალხის მხარდაჭერას. მათთვის მთავარი პერსონა არის აშშ-ის ელჩი საქართველოში. დიახ, ეს არ არის რეალური ოპოზიცია, ისინი, უბრალოდ, ამერიკის ელჩს ეუბნებიან, ჩვენ უკეთ გავაკეთებთ იმას, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ამიტომაც მიგვიშვით ხელისუფლებაშიო... ამ მოედანზე თამაში წამგებიანია ოპოზიციისთვის, რადგან იმას, რაც მოსწონს ამერიკის ელჩს, შესანიშნავად აკეთებს საქართველოს ხელისუფლება. ამერიკელები არ არიან დარწმუნებული, რომ ოპოზიცია უკეთ გააკეთებს იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებს. მათ ჯერჯერობით აწყობთ სააკაშვილი, მაგრამ როდესაც დაინახავენ, რომ ხალხისთვის მიუღებელია ხელისუფლება, რადგან ყველა ზღვარს გადავიდა, უმალ შეცვლიან, ანალოგიურს მოიყვანენ, ხოლო სახალხო ძალა ვერ დაუპირისპირდება, ვინაიდან ხალხის ნების გამომხატველი პოლიტიკური ძალა საქართველოში არ არსებობს!

ოპოზიციას არ აქვს და არც ექნება ხალხის მხარდაჭერა, სანამ ის არ ჩამოყალიბდება ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად და არ დადგება ეროვნულ საწყისზე. ერთადერთი, რაც დღეს საქართველოს გადაარჩენს, ეს არის ეროვნულ ნიადაგზე მყოფი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში. აი, ამაში ვხედავ ერთადერთ გამოსავალს!

**– სახიფათო პერსპექტივებს ხატავთ...**

– როცა წლების წინათ პრობლემებს ვიხილავდი თქვენს კოლეგებთან ერთად, მაშინაც ამას მეუბნებოდნენ, რომ სახიფათო პერსპექტივებს ვხატავ. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი განხორციელდა. მე ყველაზე მეტად მაშინებს საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება, საზოგადოება საქართველოში უკვე აღარ არსებობს, ქართული ეროვნული ინტელიგენცია აღარ არსებობს. აი ეს არის ძალიან საშიში და, სამწუხაროდ, ეს არის რეალობა!!!

ესაუბრა თეა ასათიანი
გაზეთი “ასავად-დასავალი”
№32 (879), 8-14 აგვისტო, 2011წ.

# "მეგრული ნაციონალიზმი" ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

როდესაც დაუფარავად სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე ერი კვარაცხელიას ნათქვამი, ალექსი ალექსის ძე ფედოტოვი თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა და თვალის დაუხამხამებლად შემომჩერებოდა, აშკარად ვატყობდი გაოგნებულს თუ როგორ შეეცვალა სახის ნაკვთები და ფერდაკარგულს ქვედა ყბა როგორ უცახცახებდა. იგი ნელ-ნელა წამოიმართა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

პოლკონიკი ბურანიდან გამოერკვა, ასწია თავი, თვალები ჭერს მიაპყრო და თავისთვის ჩაილაპარაკა – **„პროპავშოე დელო“.** შემდეგ მომიბრუნდა და მეუბნება:

– გიორგი ვიქტოროვიჩ! წარმოდგენა არა გაქვთ თუ რა უბედურებაში ვართ ჩათრეული.

– წარმოდგენილი მაქვს, ალექსეი ალექსეევიჩ!

– ამაზე შემდეგ, ხოლო ამჟამად საჭიროა და აუცილებელი ამ მოქალაქეს დაუფარავად განვუმარტოთ ჩვენი მოსვლის მიზეზი, ნუ დავუმალავთ უსახელო წერილის შინაარსს და გავაცნოთ ყველა მისი დეტალი, იგი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ჩვენი დაინტერესება გამოიხატება ანონიმური წერილის ავტორის დადგენაში და არა სხვა რომელიმე კუთხით საკითხის გარკვევა.

ერი კვარაცხელიას გულითად მიპატიჟებაზე უარი ვთქვით და წამოვედით წალენჯიხაში, რადგან მანქანას მე ვმართავდი და მესამე პირი არ გვახლდა, ჩვენს შორის გზაში გაიმართა თავისუფალი საუბარი. **ფედოტოვი:** – გიორგი ვიქტოროვიჩ! გულახდილად გეუბნებით არამც და არამც არ მეგონა თუ ამისთანა ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, მე ყველაფერთან ერთად მაკვირვებს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, ნუთუ ჩემმა უშუალო ხელმძღვანელობამ არ იცოდა უსახელო წერილის ნამდვილი მხარე და თუ იცოდნენ, როგორ გაბედეს საქმისათვის ასეთი მიმართულება მიეცათ. დავუშვათ ეს არ იცოდა ჩემმა შეფმა მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალმა ბიზოვმა, მაგრამ ვიღაცას, მასზე ზემდგომს ხომ უნდა ცოდნოდა საქმის ვითარება, მართალი გითხრათ მიკვირს იმ ვიღაცამ როგორ გაბედა სანქცია მიეცა მასალების მოკვლევის გაგრძელებაზე, ყოველ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ გაბმული ვართ რთულ და ძლიერ დახლართულ წრებრუნვაში, საიდანაც გამოსვლა გაგვიჭირდება. მოკლე დროში უნდა ველოდოთ საქმის გართულებას, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც ლავრენტი პავლეს ძეს არ დაემალება ყოველივე ის, რაც უკვე მოხდა, უბედურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ საკითხის უმოწყალოდ გაბერვას ექნება ადგილი ისე, როგორც ეს ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე.

მაინტერესებს თქვენი აზრი, როგორ შეფასებას აძლევთ დღევანდელ აწეწილ საქმეს!

დასკვნებზე თავი შევიკავე და ზოგადად ვუპასუხე:

– ეტყობა, გიორგი პეტრეს ძე კვარაცხელიას ვიღაცა მაგარი მტერი ჰყოლია, თანაც როგორც წერილის ტექსტიდან ჩანს, **„ანონიმშიკი“** ახალი მტერი არ უნდა იყოს; თქმა ძნელია, მაგრამ უსახელო წერილის ავტორი საქართველოს რომელიღაც სხვა კუთხის, ჩემი აზრით უფრო თბილისელი მგონია.

ფედოტოვმა განაგრძო: – თქვენ, ნუთუ წერილის ირგვლივ უკვე ცნობილი ფაქტი არაფერზე მიგანიშნებთ? მოდით, პირდაპირნი ვიყოთ ერთმანეთთან, რადგან ჩვენი შემდგომი ერთობლივი ბედი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა, გულახდილობაზე მიგვითითებს, როგორც ეტყობა ეს მე უნდა გავაკეთო, როგორც წლოვანებით და მდგომარეობით უფროსმა. გეუბნებით, გიორგი პეტრეს ძე კვარაცხელია აქ თითქმის არაფერ შუაშია, სწორად უნდა გავიგოთ, ის იმდენად არის საქმეში ჩართული, რამდენადაც ამ შემთხვევაში მასალა დასჭირდა უსახელო წერილის ავტორს დიდი პიროვნების საკომპრომენტაციოდ და ანონიმური ტექსტი მიმართულია ლ.პ. ბერიას საწინააღმდეგოდ.

არ უნდა გაგვიძნელდეს დავამტკიცოთ წინასწარი განზრახვით რომ არ გვიწარმოებია მასალების მოკვლევა გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის ლ.პ. ბერიას მიმართ და ჩვენ ამ საქმეში ვიღაც დაინტერესებული პირების მიერ ბრმად რომ ვართ გამოყენებული. როდესაც არსებული გარემოება ზუსტად წარმოვუდგინე ამხანაგებს, მოსე კვარაცხელიამ (წალენჯიხის საზოგადოების წარმომადგენელი) განაგრძო: – რაც შეეხება გაზვიადებულ ფორმებში გავრცელებულ ხმებს, ლაპარაკია იმაზე, რომ თქვენ თითქოს ზემოდან მოცემული საგანგებო დავალებით ჩამოხვედით სოფელ ჯგალში ლავრენტი პავლეს ძე ბერიასთან დაკავშირებული საქმის გამოსაძიებლად და რომ ეს საკითხი უშუალოდ პირდაპირ კავშირშია – **„მეგრელთა საქმესთან“,** ხოლო ყველაფერი ზემოდან აღნიშნული რას ნიშნავს ჩვენზე უკეთესად მოგეხსენებათ. დღეს ჩენს რაიონში ხალხი ამდგარია და მხოლოდ და მხოლოდ ეს საკითხი წარმოადგენს განსჯის საგანს, ისიც მოგეხსენებათ, რომ წალენჯიხელი ლაკადელებისათვის რას ნიშნავს, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სახელი, ალბათ ორიოდე დღეში ხმა მთელ სამეგრელოში გავრცელდება. არ გვინდა დაგიმალოთ ისიც, რომ უმოკლეს დროში ერთ-ერთი წალენჯიხელი – ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, მოსკოვში გაემგზავრება და ლ.პ. ბერიასთან მიიტანს ამბავს, სამწუხაროდ ძლიერ გაზვიადებულ ფორმებში და ამას რა მოჰყვება შემდგომში ყველა ჩვენთაგანისათვის, არც თუ ისე ძნელი წარმოსადგენია. ბატონო ხუტა! მოგიწევთ თავის დაცვა; უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ ყველა ზომები უნდა მიიღოთ სიმართლე რომ არ დაგეკარგოთ, ხოლო ამას როგორ მოახერხებთ ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

სიტუაცია გავაცანი წალენჯიხის რაიკომის მდივანს. ყურადღებით მოსმენის შემდეგ, ვიქტორ სტეპანოვიჩმა (რაიკომის პირველი მდივანი) მითხრა, გიორგი ვიქტოროვიჩ! მე სხვა ინფორმაცია მაქვს, როგორც ხედავთ სინამდვილემ, სანამ ჯგალიდან წალენჯიხამდე მიაღწევდა, როგორი დამახინჯებული სახე მიიღო, უნდა ველოდოთ ხმები ალბათ შემდგომში კიდევ უფრო გაზვიადებული სახით წარმოსდგება. ჩვენი ურთიერთობა უფლებას არ მაძლევს არ გითხრათ: ის, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობას უნდა მოვახსენოთ. ჩემი მხრიდან ყველაფერს ვიღონებ, რომ თქვენი განმარტებიდან გამომდინარე საკითხს მივცე სწორი ახსნა. ვნახოთ, შემდგომში როგორ წარიმართება საქმე.

ამჯერად, მკითხველს მინდა შევთავაზო ზემოთ მოტანილი ანონიმური წერილის ირგვლივ ჩემი შეხედულება, რომელიც იმ დროინდელი გართულებული თავისებურებებიდან გამომდინარე შემექმნა.

როგორც აღვნიშნეთ ანონიმური წერილი მიიღო საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ.მ. მალენკოვმა, რომელმაც შესასრულებლად გადასცა საკავშირო უშიშროების ყოფილ მინისტრს იგნატოვს.

ისმის კითხვა, როგორ, რა გზით მიაღწია ანონიმურმა წერილმა ცენტრალური კომიტეტის მდივნამდე **„უმტკივნეულოდ“,** მაშინ, როდესაც ცეკას საქმეთა მმართველობაში შემოსული ყველა სახის კორესპონდენციის ლუსტრაციას ახდენდნენ ლ.პ. ბერიას აპარატის მუშაკები და შედეგებზე გამონაკლისის გარეშე ახსენებდნენ ამ უკანასკნელს.

გამომდინარე აქედან, საქმე უნდა გვქონდეს მეტად რთულ და დღემდე საიდუმლოებით მოცულ გარემოებასთან: – პირველი, თუ ანონიმურმა წერილმა მიაღწია გ.მ. მალენკოვამდე, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მმართველობის გვერდის ავლით, მაშინ საქმე გვაქვს გლობალური მასშტაბის შეთქმულებასთან, სადაც ქართველი ერის გამთიშველები ნ. რუხაძე, ა. მგელაძე, ელისაბედაშვილი, ეგნატაშვილი, კ. ჩარკვიანი, ძმები ზაქარია და ნიკო კეცხოველებთან ერთად ორგანიზებულად მოქმედებდა. პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის სათაო ბირთვი, მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის შეკოწიწებით, მიზნად ისახავდნენ შეექმნათ მსხვილი საქმე, რითაც უნდა გაენადგურებინათ პირველ რიგში მეგრული პარტიული ინტელიგენცია და ამით ლ.პ. ბერიას ანუ როგორც მაშინ, მას ფარულად უწოდებდნენ **„დიდი მეგრელის“** მოღვაწეობისათვის საბოლოოდ წერტილი დაესვათ.

– მეორე, უფრო შესაძლო მხარე ჩემი აზრით ის გახლდათ, რომ თუ ანონიმურმა წერილმა გ.ე. მალენკოვამდე მიაღწია საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის გავლით, ამ შემთხვევაში არ არსებობს სხვა მსჯელობა, რომ ამის შესახებ უეჭველად მოხსენდა ლავრენტი პავლეს ძე ბერიას, მით უმეტეს, როგორც გ.პ. კვარაცხელიას გავლენიანი – მფარველი პირი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ლ.პ. ბერია გაეცნო რა ანონიმური წერილის შინაარსს, თავის თავზე მეტად დაჯერებულმა ანონიმკას მისცა მსვლელობა, რადგან როგორც ამას გამწვავებული მდგომარეობა უკარნახებდა. თანაც თვალყური უნდა ედევნებინა თუ როგორ ხასიათს მიიღებდა წერილის ირგვლივ შექმნილი ვითარება და გამოევლინა კონკრეტულ პირთა დამოკიდებულება მისი პიროვნების მიმართ, გაერკვია რა განწყობილება სუფევდა საერთოდ უკვე არსებული **„მეგრელთა საქმის“** ირგვლივ.

გ. მალენკოვი თუ კანცელარიის მეშვეობით მიიღებდა ანონიმურ წერილს, ამ კანცელარიას ბერიას აპარატი ნაწილობრივ მაინც აკონტროლებდა და მისთვის ცხადი გახდებოდა როგორი გზა ჰქონდა უკვე განვლილი დოკუმენტს, ამიტომ თავის დაზღვევის მიზნით ლ.პ. ბერიას უდავოდ ჩააყენებდა საქმის კურსში.

გ.ე. მალენკოვის ინფორმაციის შემდეგ ლ.პ. ბერია ამ შემთხვევაშიც წერილს იგივე მსვლელობას მისცემდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გ. მალენკოვთან შეთანხმებით აღმოეჩინა ჯერ კიდევ მისთვის უცნობი ახალი არხი, რომელიც უეჭველად მოქმედებდა **„მეგრული ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის“** შემქმნელთა პარალელურად ფრიად კონსპირაციულ ფორმებში.

უშიშროების მინისტრი გენერალი ნ. რუხაძე აგრძელებს დაუნდობელ ბრძოლას, თითქოსდა სამართალდამცავ ორგანოებში მოკალათებული პასუხისმგებელი მუშაკების მიმართ, გამოუსწორებელი მექრთამეობის ბრალდებით.

ბრძოლა იწყება ქართლ-კახეთიდან, რათა აღნიშნულ ღონისძიებას შეფასება მიეცეს, როგორც ბოლშევიკური სულისკვეთებით გადადგმული მტკიცე ნაბიჯი, საქართველოში ნეგატიური მოვლენების ამოსაძირკვავად.

იჭერენ რაიონისა და ქალაქის პროკურორებს, მოსამართლეებს, ხსნიან და იდევნება მილიციის ხელმძღვანელი და ოპერატიული შემადგენლობა.

დავუბრუნდეთ თხრობას, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი ერთპიროვნული დამოკიდებულება, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიმართ, ნ. რუხაძის მიერ ჩატარებული დამსჯელი ოპერაციების შესახებ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ გასული საუკუნის ორმოციანი წლების მეორე ნახევარში ვმუშაობდი კახეთის მხარის მაშინდელი კაჭრეთის რაიონის უშიშროების უფროს ოპერატიულ მუშაკად. გულახდილად მინდა ვთქვა, რომ სრულიად გაუგებარი იყო ჩემთვის თუ რატომ დააპატიმრეს სამამულო ომის ქარცეცხლგამოვლილი, ჩემი ახლო მეგობრები კაჭრეთის რაიონის პროკურორი ალექსანდრე მეტრეველი და სიღნაღის რაი-პროკურორი მიშა ნადაშვილი, რომელთა პატიოსნებაში დღემდე დარწმუნებული ვრჩები.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების **„გასაწმენდად“** მიღებულ ზომებზე, შესაბამისი სტრუქტურების მიერ, კრემლში იგზავნება დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათები, სადაც ფიგურირებენ მეგრული წარმოშობის გვარები, შეფარვით, მაგრამ გამოვლენილი უმსგავსობის თავკაცები, ამჯერად ისინი არიან (როგორც ვხედავთ წრე-ხაზობრივი შემოვლის გზით, დიამეტრი ცენტრისაკენ სულ უფრო იკუმშება).

საკავშირო უშიშროების თათბირზე, გენერალ-პოლკოვნიკი აბაკუმოვი ხოტბას ასხამს საქართველოს უშიშროების მინისტრს გენერალ-ლეიტენანტ ნ. რუხაძეს. კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც მტრულად განწყობილ ქვეყნის თურქეთის სახელმწიფოს მეზობლებზე.

საკავშირო მინისტრი აბაკუმოვის მაღალმა შეფასებამ საქართველოს უშიშროების მინისტრ რუხაძეს მის **„შემოქმედებით“** არენაზე ფართოდ გაუღო კარები, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გასატარებლად.

ზურგგამაგრებული მინისტრი, იძლევა ახალ დირექტივას, რომლითაც უნდა გამოვლინდეს ერთეულები თუ საერთო ეთნოჯგუფები, რომლებმაც შესაძლებელია ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაართულონ შიდა სახელმწიფოებრივი მდგომარეობა.

სულ ცოტა ხნის შემდეგ ქვეყნისათვის ასეთი არასანდო ეთნო ჯგუფი საქართველოში მცხოვრები ბერძენი ეროვნების ხალხი აღმოჩნდება, რომლებიც პირწმინდად იქნენ აღგვილი და გადასახლებული, ფაქტიურად თავიანთი მეორე სამშობლო საქართველოდან.

ძნელია ილაპარაკო იმაზე, თუ რა მასალები არსებობდა საერთოდ საქართველოში ამ ხალხის მიმართ, მაგრამ თუ ჭიათურის მაგალითზე ვიმსჯელებთ, სადაც მე უშიშროების საქალაქო განყოფილებაში რამდენიმე წელი მომიხდა მუშაობა, შემიძლია ვთქვა, რომ ჭიათურელი ბერძნები, რომლებიც ფაქტიურად გაქართველებულები იყვნენ. ტრადიციით, გემოვნებით, რომელთა დედა ენად ქართული იყო მიჩნეული, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, კოლორიტულად შეთვისებულები აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ.

რუხაძის მიერ კიდევ ეს ერთი გატარებული ღონისძიება, მოსკოვის თვალში მის ავტორიტეტს უფრო აძლიერებს, რითაც ის მორიგი საქმიანობისათვის იძენს გარანტიას, თავგანწირული მუშაკის სახელით განაგრძოს ბრძოლა საბჭოთა მტრების გამოსავლენად.

გენერალი რუხაძე ნელ-ნელა მიიწევს წინ, ამჟამად შეფარვით, საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის ირგვლივ მოქმედებს.

საქმე იმაში გახლდათ, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ცნობილია დიდძალი სამხედრო ტყვეები იქნა სამშობლოში რეპატრირებული, რომელთა შორის სახელმწიფო უშიშროების ორგანოს მუშაკები, ადგილზე ეწეოდნენ ეგრეთწოდებულ საფილტრაციო სამუშაოებს. ზოგიერთი რაიონული თუ საქალაქო განყოფილება მათთან არსებული მასალების საფუძველზე ითხოვდნენ ცალკეული პირების მიმართ განსაკუთრებული ზომების მიღებას.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების გაფართოებულ თათბირზე, უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა გენერალმა რაფავამ თავის საბოლოო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა და მოიყვანა კონკრეტული მაგალითი ზოგიერთი პერიფერიული ორგანოების მიერ დაყენებული საკითხის თაობაზე და განაცხადა:

**„ამხანაგებო! ფაქტები იმის შესახებ, რომ ქართველი სამხედრო ტყვეების ნაწილი გერმანიის სამხედრო ბანკიდან ძირითადად იძულებითი წესით იქნა ეგრეთწოდებული ქართველ ნაციონალურ ლეგიონებში ჩარიცხული, ეს ჩვენთვის ცნობილია. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მეტყველებენ იმაზე, რომ გერმანელების მიერ შეკოწიწებული ლეგიონებიდან ჯარისკაცები ყველა ხელსაყრელ პირობებში ფრონტის ხაზის გადმოლახვით წითელი არმიის მხარეზე გადმოდიოდნენ, რაც კიდევ ერთხელ ლაპარაკობს იძულების წესით გერმანელთა მხარეზე გადაბირების შესახებ. ასე რომ, სამხედრო ტყვე-ლეგიონერი გერმანელი ჯარისკაცის ფორმით, არ არის მათი დასჯის საფუძველი.**

**დაპატიმრებას ექვემდებარება კონტიგენტი, რომლებიც დამსჯელ ორგანოებში მსახურობდნენ და ჩვენი ხალხისა და აქტივის წინააღმდეგ მტრის ზურგში მოქმედებდნენ“**-ო.

ამ მტკივნეული საკითხის გარშემო, მინისტრყოფილი გენერალი ჭ. რაფავას საპირისპიროდ, გენერალმა ნ. რუხაძემ ერთ-ერთ რესპუბლიკურ თათბირზე, თავის საბოლოო სიტყვაში, გამაღიზიანებლად, ისე რომ პიროვნულად რაფავას გვარი არ უხსენებია, ბრალი დასდო საქართველოს უშიშროების ყოფილ ხელმძღანელობას და განაცხადა: ნუთუ შეიძლება იმაზე მეტი მტრობა, შენს თვალწინ რუსთაველის პროსპექტზე თავისუფლად დასეირნობენ გერმანელ ფაშისტთა აგენტები და მათ ერთპიროვნულად ხელს აფარებენო და განაგრძო, სამშობლოს ყველა მოღალატემ პასუხი უნდა აგოს ქვეყნის წინაშეო.

ნიკოლოზ რუხაძემ დანაქადი სისრულეში მოიყვანა, იმ დროინდელი საქართველოს 40-იან წლებში კარგად ცნობილი, საფრანგეთში პირველ საბჭოთა პარტიზანულ ბლოკად წოდებული ქართველი მეომრების შესახებ, რომელსაც სათავეში ედგა მეთაური იშხნელი.

ქართულ პარტიზანულ პოლკს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა გერმანელ ფაშისტებთან შეტაკებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის წინააღმდეგობის ფრონტის სარდლობამ ქართული პარტიზანული პოლკის პირადი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა გაწეული მამაცობისა და გმირობისათვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა, გენერალი ნ. რუხაძის აპარატმა შეძლო, საფრანგეთში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მებრძოლი პირველი საბჭოთა ქართველ პარტიზანთა პოლკი **„მოენათლა“** არარსებულ ცრუ პოლკად და როგორც სამშობლოს მოღალატეები, ერთ ღამის განმავლობაში გადასახლებულ იქნენ შორეულში.

**გიორგი ხუფენია**

# სკანდალი! copoka.net სატელეფონო საუბრების ახალ სენსაციურ ფარულ ჩანაწერებს აქვეყნებს!

*საინფორმაციო პორტალმა „copoka.net“-მა ა.წ. 4 აგვისტოს (იმ დღეს, როცა რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ქ.სოჭში „ПИК“-ს „Russia Today“-ს და „Эхо Москвы“-ს ტელეინტერვიუს აძლევდა საქართველოს თაობაზე) გამოაქვეყნა სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები, რომლებშიც, როგორც ზემოაღნიშნული ვებსაიტი ამტკიცებს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შსს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი, შსს-ის პრესსამსახურის უფროსი შოთა ხიზანიშვილი, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საუბრობენ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტოგრაფების საქმეზე.*

**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ არ არის პასუხისმგებელი აუდიოჩანაწერების სანდოობაზე, რომელთა ყურადღებით გაცნობისას საკმაოდ ბევრი შეკითხვა ჩნდება, არანაკლები, ვიდრე თავად „ფოტოგრაფების საქმესთან“ დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოში სოროსის ფონდის საინფორმაციო პროექტი „netgazeti.ge“-ს კვალდაკვალ (ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, OSGF), საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ აქვეყნებს ამ ინფორმაციას (გაშიფრული აუდიოჩანაწერის სტენოგრამის სახით), თუმცა ხელისუფლებას, რედაქციის გასაოცრად, აუდიოჩანაწერების აუთენტურობა არ დაუდასტურებია (არ უარუყვია და კომენტარისგანაც თავს იკავებს).**

*სატელეფონო ჩანაწერი №1, ვანო მერაბიშვილი – შოთა უტიაშვილი:*

**„უტიაშვილი“:** ალო!

**„მერაბიშვილი“:** შენა, და მანდ დოკუმენტები ბევრი არ გინდა, 100 და 200 კი არ გინდათ...

**„უტიაშვილი“**: არა, ახლა მე აქ მაქ რამდენიმე დოკუმენტი, ერთი 7 დოკუმენტი კარგი, გემრიელი, კარგი!

**„მერაბიშვილი“:** ჰო, მეტი არ გინდათ.

**„მერაბიშვილი“:** და რა მაინტერესებს კიდე, კითხე მაზმიშვილს, ეს ტიპი ხო ვიღაცასთან, გარდა ამ მთავარი ტიპისა, მე მგონი, რაღაცა ქონდა კიდე ამ პრეზიდენტის იმას უცხოეთში...

**„უტიაშვილი“** : პრეზიდენტისას ქონდა უცხოეთშიო?! ამ ტიპის გარდაო?! ამ გედენიძეს ქონდაო გარდა ქურციკიძისა? (პაუზა) არაო...

**„მერაბიშვილი“:** სქემაში რაღაცა იყო. სქემა რომ მომიტანეს, იქ იყო რაღაცა, რომ...

**„უტიაშვილი“**: (უტიაშვილი ვიღაცას ელაპარაკება, პაუზა).

**„უტიაშვილი“:** არაო, არაო, გედენიძეს არა, ქურციკიძეს, მაგრამ ისეთი რა...

**„მერაბიშვილი“:** არა, არა, რუსეთის რაღაც, „ჩერეზ“ გერმანია, არა, ხო?

**„უტიაშვილი“:** ააა, ვიცი, ვიცი, კონტაქტი ქონდა ამ EPA-ს (ევროპის პრესფოტოსააგენტო) წარმომადგენელთან რუსეთში, რომელიც ლეგიტიმური ტიპია, რა... და მეორე ქალთან კიდევ, რომელიც ასევე ლეგიტიმურია.

**„მერაბიშვილი“:** და რა მაინტერესებს კიდე – აი, ის ტელეფონების საუბრები ნახე?

**„უტიაშვილი“:** ჰო, ეგ არ გამოგვადგება არაფერში.

**„მერაბიშვილი“:** რომელი, კაცო?!

**„უტიაშვილი“:** აი ის საუბრები, არაფერ შედეგს არ მოგვიტანს.

**„მერაბიშვილი“:** არა, კაცო, მაგას არ გეუბნები, სინიცინთან და იმასთან რომაა!

**„უტიაშვილი“:** ააა, მაგას ვაჩვენებთ აუცილებლად, ოღონდ რაღაც ნაწილს გავაშავებთ.

**„მერაბიშვილი“**: ჰო, გავაშავოთ. ვისი ნარეკია – სინიცინის ამასთან, თუ ორივე?

**„უტიაშვილი“**: ქურციკიძეს აქვს დანარეკი და კიდევ ამისგან აქვთ საერთო კონტაქტი, რომელიც 24-შიც იყო და 31-შიც.

**„მერაბიშვილი“:** 11-ში სინიცინი უკავშირდებოდა ვიღაცას?

**„უტიაშვილი“** : არა, რაღაც ნომერზე, რომელზეც ადრე სინიცინი რეკავდა 24–ში, 31–ში რეკავდა ესეც, რა...

**„მერაბიშვილი“:** და თვითონ პირდაპირი კავშირი არის – ამას და სინიცინს შორის?

**„უტიაშვილი“:** (უტიაშვილი ეკითხება ვიღაცას და მერე პასუხობს) კი, კი!

**„მერაბიშვილი“:** ამისი ზარები არის სინიცინთან და ოკროკოვთანაცო?

**„უტიაშვილი“:** კიო.

**„მერაბიშვილი“**: 4–ში და 5–ში, ხო?

**„უტიაშვილი“:** (უტიაშვილი ეკითხება ვიღაცას: 4–ში და 5–ში? მერე პასუხობს) ოთხშია მარტო. (არ ისმის)

**„მერაბიშვილი“:** კარგი, რა უნდა მეკითხა კიდე... და შენ რომ მითხარი – განმცხადებელიო, ვინ დადო ეგ განცხადება?

**„უტიაშვილი“**: ეგ განცხადება დადო ამ ტიპმა რუსეთში.

**„მერაბიშვილი“**: ააა, EPA ამბობს მე მივეცი ფული იმასო?

**„უტიაშვილი“**: ჰო, ჰო.

**„მერაბიშვილი“:** ააა, მე ვიფიქრე აბდალაძესთან, ფული ვიპოვეთ იმასთან, ხო?

**„უტიაშვილი“:** ქურციკიძესთან.

**„მერაბიშვილი“**: და იმათმა თქვეს – ფული ჩვენ მივეციოთ?

**„უტიაშვილი“:** ჰო!

**„მერაბიშვილი“**: რუსმა, და არა დირექტორმა, ხო?

**„უტიაშვილი“**: რუსმა, რუსმა, ხო!

„მერაბიშვილი“: ეგ „ვაბშე“ რა ორგანიზაციაა?

**უტიაშვილი:** დიდია, რა, ფოტოსააგენტოა, დაახლოებით როიტერის ზომის რა, ეგ დააარსეს ერთად დოიჩეპრესმა და ფრანსპრესმა.

**„მერაბიშვილი“:** რა ჩათლახები ვართ, სწრაფად მივეცით ახლაო, ხო?

**„უტიაშვილი“:** ხო, ახლა... (არ ისმის)

**„მერაბიშვილი“**: (იცინის)

**„უტიაშვილი“**: მარა, ეს ტიპი სხვა რაღაცას იძახის, რაღაცა ოფისის ხარჯებიც იყოო...

**„მერაბიშვილი“**: ხო, მარა... (არ ისმის)

**„უტიაშვილი“:** ხო, არაფერი არ არის, ხო. ხო ეგ არ არი არაფერი, ეგ არ არი მტკიცებულება. მტკიცებულება არი, რომ ეგ ქაღალდები ქონდა, რა...

**„მერაბიშვილი“**: არი, როგორ არ არი, ფული რომ გაქვს ამხელა...

**„უტიაშვილი“:** რა დავარქვათ, თუ ახლა ვიტყვით, რომ ამას ხელს აფარებს, გამოვა, რომ მთელი ორგანიზაცია...

**„მერაბიშვილი“**: არა, მაგას არ გეუბნები, კაცო!

**„უტიაშვილი“:** ხო, ხო...

**„მერაბიშვილი“:** ნორმალური ადამიანი 9 ათას ევროს სახლში არ აჩერებს, ხო...

**„უტიაშვილი“** : ხო, თუმცა ახლა ეგ მტკიცებულება არ არი...

**„მერაბიშვილი“:** არა, სხვა რაღაცეებთან ერთად ახლა არი, და ისე – არ არი. სხვა სატელეფონო საუბარი არაფერში არ გამოდგება, ხო?

**„უტიაშვილი“:** არა, არა, ის „ვაბშე“ თავიდან არ უნდა გვეჩვენებინა, რა: ანგარიში გამომიგზავნე, ანგარიშზე ჩაგირიცხავ...

**„მერაბიშვილი“:** თუმცა, ფიზიკურად არც ერთს არ უნდა ეკეთებინათ, ხო?

**„უტიაშვილი“:** ფიზიკურად არ უნდა ეკეთებინათ გედენიძეს და აბდალაძეს. და ქურციკიძეს იძახიან, რომ ჩვენც ვაკეთებთ მაგასო.

**„მერაბიშვილი“**: აბდალაძეს არ უნდა ეკეთებინა, ხო?

**„უტიაშვილი“:** არ უნდა ეკეთებინა, ხო.

**„მერაბიშვილი“:** არც აბდალაძეს, და არც გედენიძეს, ხო? ორივე ხო ის იყო, სახელმწიფოს თანამშრომელი, ხო?

**„უტიაშვილი“**: ერთი სახელმწიფოს თანამშრომელი იყო „ჩოტკად“, ეს – გედენიძე, და ის „ალიას“ ტიპი იყო კონტრაქტით საგარეოსთან. და იყო AP –ს სტრინგერი.

**„მერაბიშვილი“:** ააა, AP–შიც მუშაობდა? კაი, კაი, მოკლედ, კაი.

*სატელეფონო ჩანაწერი №2, ვანო მერაბიშვილი – ზურაბ ადეიშვილი:*

**„ადეიშვილი“:** ჰო!

**„მერაბიშვილი“:** მეტი რა ვქნათ ახლა?

**„ადეიშვილი“:** არაფერი, აი ახლა უნდა ვნახო ... (არ ისმის)

**„მერაბიშვილი“:** მო...ათ დედის პრ..ი?

**„ადეიშვილი“**: კი!

**„ადეიშვილი“:** კარგი, ახლა...

**„მერაბიშვილი“:** მიშა ატრაკებს რამეს, თუ..?

**„ადეიშვილი“:** ყველაფერი კარგად არი.

**„მერაბიშვილი“**: ამ აღიარების მერე რამე შეკითხვა ექნება?

**„ადეიშვილი“:** შეკითხვა აღარა აქვს. ახლა ვნახავ და ... (არ ისმის) წავალ, დავიძინებ.

**„მერაბიშვილი“:** აუ, რა საჩივრებია, იცი?! გასუქების თუ არ გეშინია?

**„ადეიშვილი“:** ვაა!..

**„მერაბიშვილი“:** თუ გინდა, რომ არ გასუქდე, აქ უნდა წამოხვიდე. მაქ თავს ვერ შეიკავებო.

**„ადეიშვილი“**: კაია, კაი...

**„მერაბიშვილი“:** ბიჭო, როგორი პონტია, იცი, ისეთი გრილი ნიავია, ზღვიდან, სულ ნიავია, რაა... „ვაბჩე“ ვერა ვგრძნობ სიცხეს! კაი ნიავია, ჩქარი კი არ არი, ნიავია, რა...

**„ადეიშვილი“**: კაი, ბატონო, კაი.

**„მერაბიშვილი“**: ახლა უთხარი მიშას და გიგას, არის თუ არა ეს ბილეთი...

**„ადეიშვილი“**: გიგასაც ხომ არ ჯეროდა და აქედან გამომდინარე მას არ ვეტყვი.

**„მერაბიშვილი“:** რა?

**„ადეიშვილი“:** არ ვეუბნები ჯერ.

**„მერაბიშვილი“**: გიგას?

**„ადეიშვილი“:** ჰო! (იცინის)

**„მერაბიშვილი“:** რატომ?

**„ადეიშვილი“:** იმიტომ რომ... (არ ისმის)

**„მერაბიშვილი“:** ახლა მე დავურეკავ, ვაგინებ.

**„ადეიშვილი“**: კაი, კაი...

*სატელეფონო ჩანაწერი №3, ვანო მერაბიშვილი – შოთა ხიზანიშვილი:*

**„მერაბიშვილი“:** აბა გვითხარი.

**„ხიზანიშვილი“**: ასეთ რაღაცას ამბობს, ზურა ქურციკიძეს ვიცნობ დიდი ხანიაო, მაგრამ ის განსაკუთრებით დამიახლოვდაო მას შემდეგ, რაც დავიწყე მუშაობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიო და თავიდან მომთხოვა ფოტოების მიცემა მისთვისო პრეზიდენტის ვიზიტების და შეხვედრების შესახებო. და მასში გარკვეულ საზღაურს მიხდიდაო. მერე გარკვეული პერიოდის მერე მითხრაო, რომ ამ ფოტოებთან ერთად გამეკეთებინა კომენტარებიცო – ვინ იყო შეხვედრაზე, ვის გადაუღო ფოტოები. და ამისთვის გამიზარდა ანაზღაურებაო. გარკვეული პერიოდის მერე მომთხოვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაო, რომელიც უკვე ჩემს ფოტომასალას აღარ ერგებოდაო, ვიცოდი სპეცსამსახურებთან ქონდა კავშირი და მოსკოვში აგზავნიდა ამ ფოტოებს და ვუთხარი უარიო, მაგრამ ფოტოები, რომელიც მიცემული მქონდაო და ფული მქონდა აღებულიო, მითხრა, რომ ამას ჩემს საწინააღმდეგოდ გამოიყენებდაო. ამის შემდეგ შემეშინდაო დაშანტაჟებისო და ურთიერთობა გავაგრძელეო. ფულს მიხდიდა თავიდან ნაღდი ანგარიშწორებითო, და ბოლოს მითხრაო – საბანკო რეკვიზიტები მომეცი, რომ აწი ანგარიშზე გადმოგირიცხო ფულიო.

**„მერაბიშვილი“:** ... (არ ისმის)

**„ხიზანიშვილი“:** კანფეტი. არა ამაზე მეტი არც უნდა იყოს. და ჩვენ ხომ არ შევამციროთ სატელეფონო საუბრები, ქურთაზე რომ არის ლაპარაკი?

**„მერაბიშვილი“**: ხო.

**„ხიზანიშვილი“:** მე შევამცირე ეგ. შემცირებული ვარიანტი მაქვს. ტყეშელაშვილმა მოუსმინა და ხომ არ გავზარდოთო და სულ სატელეფონო საუბრები არის სამი წუთი და 10 წამი.

**„მერაბიშვილი“:** იყოს, იყოს, ყველაფერიც იყოს. აღიარებაც გაქ... (არ ისმის) აღიარა?

**„ხიზანიშვილი“:** მე ახლა წამოვედი, ადეიშვილმა – მოიტა, მაჩვენეო. და ცოლიც მზად არის, რომ გველაპარაკოს.

სატელეფონო ჩანაწერი №4, ვანო მერაბიშვილი – შოთა უტიაშვილი:

**„მერაბიშვილი“:** ჩადეთ კომპიუტერში და სკანერზე გადაიღეთ. თუ შენი კომპიუტერშჩიკები არ გყავს, კოტარია დაგახმარებს. დაუკავშირდი.

**„უტიაშვილი“:** არა, არა.

**„მერაბიშვილი“**: მით უმეტეს, თუკი კომპიუტერის სპეციალისტები გყავს. მოიყვანე ეგ ხალხი. დასხდნენ და მთელი ღამე იმუშაონ.

**„უტიაშვილი“:** ჰო, ჰო.

**„მერაბიშვილი’:** აიღეთ ეს დოკუმენტები. კიდევ ერთხელ გეუბნები, გრიფი „საიდუმლო“ არ უნდა მოიხსნას. დაასკანირეთ. და ლამაზად, აკურატულად დაადეთ სიშავე.

**„უტიაშვილი“**: ჰო.

„მერაბიშვილი“: ოღონდ ეცადეთ, სიშავე მაქსიმალურად ცოტა დაედოს, რომ რაც შეიძლება მეტი ინტრიგა იყოს. გაიგე?

**„უტიაშვილი“**: კი.

**„მერაბიშვილი“:** არ არის საჭირო, ყველაფერი მთლიანად გაშავდეს. გაიგე?

**„უტიაშვილი“:** ჰო, ყველაფერი არა. მაგრამ ნახევარი იქნება.

**„მერაბიშვილი“:** ოღონდ აი, ასე უნდა იყოს. იქ რომ რაღაც სიტყვები წერია? გვარი და სახელი წერია? ეგენი დატოვე, გაიგე?

**„უტიაშვილი“**: ჰო.

„მერაბიშვილი“: რამდენიმე ფრაზა. ჯერ ერთი, თუ ეს დოკუმენტები გადაცემულია, ესე იგი, ისინი საიდუმლოა.

*სატელეფონო ჩანაწერი №5, ვანო მერაბიშვილი – მიხეილ სააკაშვილი:*

**„მერაბიშვილი“:** ალო!

**„სააკაშვილი“:** ჰო?

**„მერაბიშვილი“:** გიორგაძესთან ვიყავიო.

**„სააკაშვილი“:** გარიგება დაუდეთ?

**„მერაბიშვილი“:** არა, კაცო, რა გარიგება დაუდეთ ჯერ!.. ჯერ ადვოკატმა უნდა მოგვცეს ჩვენება და ტელევიზიით უნდა გამოვიდეს, თორე ეხლა პირობა აქვს მაგას წამოყენებებული, რომ სამ წელზე მეტი არ მომცეთო და ჩვენ ეხლა ვეეაჭრებით.

**„სააკაშვილი“:** ჰოდა, კაია.

**„მერაბიშვილი“**: რა გარიგება უნდა დავუდოთ! თუ ტელევიზორში გამოვა და რაღაცას იტყვის, შეიძლება, მერე ორი წელი მივცეთ. მერე, თუ კიდევ რაღაცას იტყვის – კიდევ ერთი წელი. „ვაბჩე“, მამენტ, თუ ყველაფერს მოყვება, შეიძლება გარიგებაც დავუდოთ.

**„სააკაშვილი“**: ჰო.

**„მერაბიშვილი“:** 2002 წელში დამავერბოვკეს ცხინვალში რუსებმაო. რა გინდოდა ცხინვალში 2002-შიო? კონტრაბანდა გადმომქონდაო.

**სააკაშვილი:** დაჭერილი ყავდათ.

**მერაბიშვილი:** კონტრაბანდა გადმომქონდა და დამიჭირესო. (პაუზა)

**„მერაბიშვილი“:** ალო?!

**„სააკაშვილი“:** ჰოდა, ხომ გაბაზრდა მანდ, რომ მისცა ჩვენება?

**„მერაბიშვილი“**: სად გაბაზრდა? ჯერ არ გაბაზრებულა. ჯერ ადვოკატის გარეშეა.

**„სააკაშვილი“:** მეორე ხომ გაბაზრდა?!

**„მერაბიშვილი“:** მეორე გაბაზრდა, კი. ის გამოვიდა, ბესელია. პირველი ჩვენება მისცაო, მარა ვაუკაცურად დგასო.

**„სააკაშვილი“:** (გაურკვევლად რაღაცას ამბობს)

**„მერაბიშვილი“:** სასაცილო ამბავი გითხრა?

**„სააკაშვილი“**: საფრანგეთში ვარ, ხო იცი?!

**„მერაბიშვილი“:** ვიცი. ვიცი, სადაც დგეხარ. (იცინის) კაცი ხარ და ვაუკაცივით უნდა იყოო, რა!

**„სააკაშვილი“:** ჰო.

**„მერაბიშვილი“**: მე ასეთი ქმარი არ მინდაო, შერცხვენილი გამოვიდეს ციხიდანაო!

**„სააკაშვილი“:** ჰო...

**„მერაბიშვილი“:** ისაო, რა ქვიაო, თუ საჭიროა – იჯექიო, ოღონდ ვაუკაცი გამოდიო. (იცინის)

**„სააკაშვილი“:** ჰო, აბა რა იქნება, ეხლა.

**„მერაბიშვილი“:** არა, მოკლედ ეხლა ეგ ვაჭრობს, რა, სამი წელი და რაღაცეები. რა ვიცი, ეხლა პროკურატურა როგორც იტყვის – ეგრე იქნება.

**„სააკაშვილი“:** ჰო, ნუ, მოსაფიქრებელი გაქვთ. თავისთავად კარგია, რა

**„მერაბიშვილი“:** კარგი არ არის, მარა მეორე მხრივ – ცუდია. ეგ დ...ები ყველა აგენტები როგორ არიან?!

**„სააკაშვილი“:** ეგენი არიან იმ თაობის ხალხი, რომლებიც... ყველანი ეგენი

**„მერაბიშვილი“:** ჰო, ყველანი ეგენი არიან მაშინ ვინც იყვნენ, 90-იან წლებში ვინც რამე იყო...

**„სააკაშვილი“:** მაშინ რუსები ბოლომდე დედას გვ...ენ

**„მერაბიშვილი“**: ვინც უშიშროების მინისტრი იყო – მოვიდა და გვეუბნებოდა: რუსების კაცი ვარო და დამტოვეთო! და რა გიკვირს?!

**„სააკაშვილი“**: ეგეთი დრო იყო. ეგეთი ხალხი იყო, ამიტომაც ვერ განვითარდა და ეგეთები არიან ჩარჩენილი წარსულში. მაგრამ მაგ თაობაში აღარ არის კაცი. ეგ არის მაგათი პრობლემა.

**„მერაბიშვილი“:** ჰო, მაგრამ ეგენი ახალი თაობა მეგონა. ჩემზე ახალგაზრდები არიან ეგ დ...ბი!

**„სააკაშვილი“**: ჰო, მაგრამ ეს მაინც – ის თაობაა.

**„მერაბიშვილი“:** რა ვიცი, მაგათი...

**P.S. შევახსენებთ მკითხველს, რომ copoka.net სწორედ ის საინფორმაციო პორტალია, რომელმაც ადრე გამოაქვეყნა ფარული აუდიოჩანაწერები ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორ გიორგი არველაძესა და ტელეკომპანიის თანამშრომელ ეკას შორის, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას შორის სატელეფონო საუბრებისა, რომლებიც ეხებოდა 2010 წლის მარტში ტელეკომპანია „იმედის“ მიერ „მოდელირებული ქრონიკის“ – რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში ვითომდა ხელახლა შემოჭრის შესახებ საგანგებო საინფორმაციო გამოშვების – ჩვენებას.**

**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“**



# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

1953 წლის 26 ივნისს კი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ბერიამ ხელი მოაწერა სსრკ მინისტრთა საბჭოს **№8532-рс** განკარგულებას №813 კომბინატში **"სუ-3"** ქარხნის (ურანის გამამდიდრებელი – ს.კ.) მშენებლობის საპროექტო დავალების შესახებ. აღნიშნული განკარგულება საბჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტის შესაბამისად დაეგზავნათ **"ამხ.ამხ. ა.პ. ზავენიაგინს,ა.გ. ზვერევს (სსრკ ფინანსთა სამინისტრო), ვ.ა. მახნევს".**

იმავე დღეს – 1953 წლის 26 ივნისს ბერია დააპატიმრეს და რამდენიმე დღეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ივლისის პლენუმზე მისი სახელი საერთოდ ამოშანთეს ქვეყნის ცხოვრებიდან. 1953 წლის 10 ივლისის შემდეგ ბერიას მოღვაწეობის აღნიშვნა, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საქმეში,კატეგორიულად აიკრძალა. ამასთან, **"ატომური"** ბერიას მიმართ უსამართლო დამოკიდებულებამ, იმავე წამს იჩინა თავი ტრაგიკომიკურ ფორმებში.

საბჭოთა ბირთვული იარაღის – წყალბადის ბომბ **РДС-6с**-ის გამოცდა შედგა 1953 წლის 12 აგვისტოს. მანამდე ერთი კვირით ადრე – 5 აგვისტოს – სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი მალენკოვმა სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე ამაყად განაცხადა: **"ამერიკელი იმპერიალისტები გვაშენებენ ზემძლავრი იარაღით – წყალბადის ბომბით. მაგრამ ისინი არ უნდა ეცადონ ჩვენს დაშინებას, ჩვენ არა მარტო ვიცით წყალბადის ბომბის საიდუმლო, ჩვენ შევქმენით იგი"**. მანამდე, ერთი თვით ადრე კი, იგივე მალენკოვმა ბერიას **"ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის"** მტკიცებულად მოიყვანა ის,რომ ლავრენტი (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) აპირებდა, რომ **"სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრიზიდიუმთან და მთავრობასთან შეუთანხმებლად მოეწყო წყალბადის ბომბის გამოცდა".**

მოგვიანებით ამის თაობაზე მე უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ. წინასწარ კი იმას ვიტყვი, რომ ბრწყინვალე ორგანიზატორ ბერიას ხშირად ეღობებოდა წინ პარტოკრატიის **"თვალსაჩინო"** წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობა და ბიუროკრატიული ბღენძიაობა. პარტოკრატიულ ყბედებს იგი,ნამდვილად,არასოდეს წყალობდა.

მეორე მხრივ, მალენკოვი დანაშაულად უთვლიდა ბერიას იმას, რისთვისაც იგი უნდა შეექოთ. ბერიას რომ არ ეჩქარა, დროულად არ შეიქმნებოდა **РДС-6с** წყალბადის ბომბი და, შესაბამისად, 5 აგვისტოს მალენკოვიც ვერ დაიკვეხნიდა წარმატებას.

ამასთან **РДС-6с**-ის წყალბადის ბომბის გამოცდა დოკუმენტური ფორმალობით არც იყო დამტკიცებული (სტალინს გამოცდის ჩატარების პროექტზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი). ან რა სარგებლობას მოიტანდა ცეკას სანქცია **"წყალბადის ბომბის გამოცდის"** თაობაზე? 1953 წლისათვის ატომურ მუშაობაზე სრულად იყვნენ საქმის კურსში სტალინი და ბერია. ასე რომ, ბერიას დამოკიდებულება ბიუროკრატიული მოქმედებებისადმი სავსებით გასაგები და გამართლებულია.

რაც შეეხება პლენუმის წევრთა კოლექტიურ გულწრფელობას, რომელთაც შავი საღებავით გადათითხნეს ქვეყნის ისტორია, მასზე შემდეგი ეპიზოდიც მეტყველებს...

რუსეთის შემდგომი ბედის გადამწყვეტ დღეს – 1953 წლის 26 ივნისს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე (სადაც დააპატიმრეს ლავრენტი ბერია), მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სპეციალური კომიტეტის ნაცვლად შექმნილიყო სსრკ საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, რომელშიც შეიდოდნენ პირველი და მესამე მთავარი სამმართველოები (მე-2 მთავარი სამმართველო ადრე იქნა შეყვანილი პირველი მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში).

და, აი, ცოტა ხანში, ახლადგამომცხვარი **"ატომური"** მინისტრი მალიშევი პლენუმზე გამოდის შემდეგი განცხადებით:

**"მე... ვმუშაობდი... ამხანაგების მოლოტოვისა და კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით... ბერიასთანაც. მე მინდა აღვნიშნო, რომ როცა მოხსენებით მიდიხარ ამხანაგებთან, სულ სხვადასხვა განცდით მიდიხარ. ერთი განწყობით მიდიხარ ამხანაგ მოლოტოვთან, რომლის თაობაზეც ვიცით, რომ იგი მკაცრი ხელმძღვანელია, მომთხოვნი,მაგრამ,მასთან ყოველი ვიზიტისას იცი,რომ არასოდეს მიიღებს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, ავანტურისტულ წინადადებებს... არ აღმოჩნდები დარტყმის ქვეშ... სულ სხვა საქმეა ბერია. ჩვენ, მინისტრებმა კარგად ვიცოდით, რომ მის კაბინეტში შედიხარ მინისტრად, უკან კი როგორ დაბრუნდები, წინასწარ ვერ განჭვრეტ... შეიძლებოდა ციხეშიც კი მოხვედრილიყავი... უხეშად რომ ვთქვათ, ბერიას ხელმძღვანელობის სტილი იყო დიქტატორული, უხეში, არაპარტიული".**

ისე კი, ვიდრე ბერია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი იყო, ასევე **"ატომური"** საქმეების სათავეში ყოფნისას – 1945 წლიდან 1953 წლამდე (მინისტრთა საბჭოში მუშაობის ჩათვლით), ბერიას თვალსაწიერში მდებარე არცერთი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკი ციხეში არ მოხვედრილა. და, სხვათა შორის, იგი არ ხსნიდა და არ ნიშნავდა სახალხო კომისრებსა და მინისტრებს... და **"ძალოვან"** მინისტრებს ბერია 1946 წლიდან აღარ ხელმძღვანელობდა. გავიხსენოთ ისიც,რომ მას არ ჰქონდა უფლება, გაეცა ერთპიროვნული ბრძანება აბაკუმოვსა და კრუგლოვზე და პირველი მთავარი სამმართველოს დაცვის საკითხის მოსაგვარებლად სსრკ მინისტრთა საბჭოს მიმართა.

მაგრამ აქ ყველაზე საინტერესოა ვიაჩესლავ მალიშევის მიერ გავლებული პარალელის – **"ბერია-მოლოტოვი"** – მართლზომიერება... ი.ბ. ხარიტონისა და ი.ფ. სმირნოვის ცნობილ წიგნში **"საბჭოთა ატომური პროექტის მითი და რეალობა"** (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნ. კვლევითი ინსტ. არზამას-16, 1994 წელი) ნათქვამია:

**"სხვადასხვა ვარაუდების გამოთქმა მაშინ იწყება, როცა მიჩუმათებულია ჭეშმარიტება პოლიტიკური მოტივებით... ზუსტად ისე, როგორც ეს ლ.პ. ბერიას შემთხვევაშია. არ არის დღეს სიმართლე – ესე იგი, ხვალ, გვექნება მითები... ცნობილია, რომ საწყის ეტაპზე "ატომურ" საქმეებს ხელმძღვანელობდა მოლოტოვი. მისი მუშაობის სტილი და, აქედან გამომდინარე, შედეგებიც, არ იყო დიდად ეფექტური. კურჩატოვი ვერ მალავდა უკმაყოფილებას.**

**მას შემდეგ, რაც ატომური პროექტი ბერიამ გადაიბარა, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა... ბერიამ ყველა სამუშაოს შესაბამისი ქმედითობა და დინამიზმი შესძინა. ეს ადამიანი... ფლობდა... დიდ ენერგიას და იყო საოცრად შრომისუნარიანი. ყველა ჩვენი სპეციალისტი, ვინც მასთან შეხებაში მოდიოდა, აღნიშნავდა მის სიბრძნეს და მიზანსწრაფულობას. ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ ბერია იყო მაღალი კლასის მქონე ორგანიზატორი, რომელსაც შეეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ბერია... უდავოდ იყო თავაზიანი, ტაქტიანი და, უბრალოდ, ნორმალური ადამიანი. შემთხვევითი არ იყო, რომ ერთ-ერთი გერმანელი სპეციალისტი ნ. რილი, რომელიც საბჭოთა კავშირში მუშაობდა, აღნიშნავდა იმ დადებით შთაბეჭდილებას, რომელიც მას ბერიასთან შეხვედრის შემდეგ დარჩა.**

**ბერიას მიერ ჩატარებული თათბირები იყო საქმიანი, ყოველთვის შედეგიანი და იგი დიდ ხანს არასოდეს გრძელდებოდა. იგი იყო არასტანდარტული და მოულოდნელი გადაწყვეტილებების დიდოსტატი... იგი სწრაფი გახლდათ მუშაობაში, პირადად გადიოდა ობიექტებზე და ხალისით ეცნობოდა ადამიანებს..."**

აჯამებდა რა ყოველივეს, ხარიტონი წერდა:

**"ატომური დარგის მრავალი ვეტერანის აზრით, ატომური პროექტის ხელმძღვანელად მოლოტოვი რომ დარჩენილიყო, ძნელი იქნებოდა ასეთი სწრაფი შედეგის მიღება და გრანდიოზული მასშტაბის სამუშაოების წარმატებით დაგვირგვინება".**

საჭიროა ამ სიტყვების დაწვრილებით კომენტირება?

სჯობს, მე კიდევ ერთხელ შევეხო ატომური პროექტის დოკუმენტაციებზე ბერიას რეზოლუციების თემას. **"ი.ბ"** ხარიტონს შეუძლია უსასრულოდ აქოს **"ლპ"** ბერია, ვიღაცას შეუძლია იგი ლანძღოს, დოკუმენტები კი მიუკერძოებელი და ზუსტია – თუ ისინი შემონახულია პირვანდელი სახით და არაა გაყალბებული. მაგრამ ვის შეეძლო 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ გაეყალბებინა ბერიას საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები? ატომური პროექტის დოკუმენტაციაში კი არ არსებობს საბუთი,რომელიც ბერიას პიროვნებას წარმოაჩენდა უარყოფით პლანში. პირიქით კი – რამდენიც გენებოთ!

აი, ასეთი წვრილმანი. 1949 წლის ნოემბერი... **РДС-1**-ის წარმატებით გამოცდის შემდეგ ორი თვე გავიდა. თუნდაც ერთეული ატომური ბომბის შექმნა საბჭოთა კავშირისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. პირადად ბერიას მიერ ხელმოწერილი სპეცკომიტეტის №88-а ოქმში კი აღნიშნულია:

**"1. აღინიშნოს, რომ РДС-1ის ამეტილის (პლუტონიუმის კოდური სახელწოდება – ს.კ.) დეტალების შენახვის საქმე №817 კომბინატში ორგანიზებულია არადამაკმაყოფილებლად. ისინი ინახება ნესტიან მიწისქვეშა საცავში, არ არის დაცული დაჟანგვისაგან".**

თითქოს კომენტარი ზედმეტია – კომბინატის ხელმძღვანელობისათვის ბრალის წაყენება (სამწუხაროდ, არც მთლად უსაფუძვლოდ) შეიძლება სახელმწიფო დანაშაულშიც კი! პლუტონიუმი ხომ მაშინ უმთავრესი ფაქტორი იყო, რომელსაც ოქროზე მეტი ფასი ედო! მაგრამ ბერიას დასკვნებში არსად ჩანს სიტყვა **"დახვრიტეთ"**, ან თუნდაც **"დააპატიმრეთ"**! აი, საორგანიზაციო დასკვნა:

**"2. მიეთითოს №817 კომბინატის უფროსს ამხ. მუზრუკოვს და მთავარ ინჟინერს ამხ. სლავსკის, რომ სასწრაფოდ აღმოფხვრან ეს ხარვეზი და მომავალში არ დაუშვან მსგავსი რამ.**

**3. №817 კომბინატის მოადგილემ რეჟიმის დარგში, ამხ. როჟოვმა, რომელიც პასუხისმგებელია ამეტილის შენახვაზე და არასწორი ბრძანება გასცა РДС-1ის ნაწილების ნესტიან სარდაფში დასაწყობებაზე, გამოეცხადოს საყვედური.**

**4. დაევალოს №817 კომბინატის უფროსს ამხ. მუზრუკოვს სამდღიან ვადაში უზრუნველყოს საწყობის უწყვეტი ვენტილირება, გამოაშროს სათავსოები და დააყენოს ტენიანობის მაჩვენებელი აპარატურა.**

**მუზრუკოვმა პირადად სისტემატურად შეამოწმოს სათავსოს მდგომარეობა...**

**5. დაევალოს... ამხ. მეშიკს, ადგილზე ჩასვლით შეამოწმოს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა".**

სხვა, უფრო ადრეული პერიოდის მაგალითი. 1947 წლის ივნისი... №817 კომბინატის ახლახან დანიშნული დირექტორი სლავსკი ვრცელი მოხსენებითი ბარათით აუწყებს ბერიას აღმაშფოთებელ ფაქტს. თუნდაც ასეთს:

**"სამუშაოს ტემპები... დაუშვებლად ნელია...**

**...ურთულესი ობიექტი... მშენებლობა დავალებული აქვს საგზაო მშენებლობის პოლკს, რომელთა შემადგენლობაში არ არის სამრეწველო ობიექტის მშენებლობის არცერთი სპეციალისტი...**

**მთლიანად ჩაშლილია საბინაო მშენებლობის საქმე...**

**მუშები დიდ ხნის განმავლობაში სხედან უსაქმურად და მათ მუშაობას არავინ აძალებს...**

**41 ათასი მუშიდან სამრეწველო ობიექტებზე დასაქმებულია მხოლოდ 5.700 კაცი, დანარჩენები კი გაფანტულია სხვადასხვა დამხმარე ობიექტებზე და სამუშაოებზე, და ა.შ. და ა.შ. ".**

ამხანაგ ბერიას რეზოლუცია:

**"ამხ.ამხ. კრუგლოვს,ვანნიკოვსა და ზავენიაგინს. 1. საჭიროა სასწრაფოდ განმტკიცდეს ხელმძღვანელობა... ამხანაგი ტ. რაპოპორტი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მშენებლობის უფროსად წამოაყენეთ ამხ. ცარევიჩის კანდიდატურა. 2. განიხილეთ ამხანაგების სლავსკისა და ცესარევსკის მოხსენებითი ბარათები და მიიღეთ ზომები. გატარებულ ღონისძიებათა და შედეგების თაობაზე მომახსენეთ. 3. ტ. ჩერნიშოვი 2-3 თვით მიავლინეთ ადგილზე ყოველნაირი ზომების მისაღებად, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობის მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში დამთავრება. 5. სასწრაფოდ დაუკავშირდით ამხ. ხრულიოვს, რათა დახმარება აღმოუჩინოს მშენებლობის საინჟინრო ნაწილში. ლ. ბერია".**

კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს გადავწვდეთ. 1946 წლის 2 ოქტომბერი. პერვუხინი, მალიშევი, ზავენიაგინი, ანტროპოვი და კურჩატოვი აცნობებენ ბერიას: **"ჯერ კიდევ არ არის მიღებული გარკვეული დადგენილება №827 ქარხნიდან მიღებული დანალექებიდან დღეში 100 გრამი მეტალური პლუტონიუმის მისაღებად და №813 ქარხანაში 140 გრამი წმინდა მეტალური ურან-235-ის მისაღებად ექვსფტორიანი ურან-235-დან..."**

წერილის ხუთი ავტორიდან ოთხი მათგანი მრეწველობის ყოვლისშემძლე ორგანიზატორები არიან, მათ შორის ერთი – ანტროპოვი კი ბერიას თანაშემწე იყო თავდაცვის სახელმწიფო საბჭოში 1941 წლიდან 1945 წლამდე. მეხუთე – დიდი მეცნიერი, ვალდებულია დანარჩენ ოთხს მისცეს რეკომენდაციები დაგეგმარების ოპტიმიზაციის ხაზით, თუნდაც №817 კომბინატისათვის, სადაც იგი სამეცნიერო ხელმძღვანელია. მაგრამ, ისინი ბერიას მიმართავენ, რომელიც 1946 წლის 5 ოქტომბერს წერს:

**"ამხანაგებს პერვუხინს, კურჩატოვს, ზავენიაგინს. წამოაყენეთ უფრო მეტად კონკრეტული წინადადებები – სად განვათავსოთ ეს საამქროები? ლ. ბერია".**

მაგრამ კურჩატოვი, რატომდაც, საერთოენას ვერ პოულობს **"ხელმძღვანელ მეგობრებთან"** და 1947 წლის 10 აპრილს ბერია ამავე დოკუმენტზე წერს:

**"ამხანაგებს პერვუხინს, ზავენიაგინს, კურჩატოვს. რატომ გადადეთ ადგილის შერჩევა საამქროებისათვის და მათი მშენებლობა? მეტი გაჭიანურება აღარ შეიძლება. სასწრაფოდ მოკიდეთ ხელი ამ საკითხს და ერთი კვირის ვადაში წარმომიდგინეთ კონკრეტული წინადადებები. ლ. ბერია".**

მაგრამ, ამის შემდეგაც საქმე ძალიან ნელა იძვროდა. იწყება №817 კომბინატთან დაკავშირებული პერიპეტიები, რომელსაც მკითხველი უკვე გაეცნო,და ბერია იძულებული გახდა თავად ჩასულიყო მშენებლობაზე. მაგრამ არც მაშინ დაუპატიმრებია ვინმე. და არც დამუქრებია ვინმეს,რადგან მუქარის სიტყვები და ლანძღვა-გინება მის ლექსიკონში არ შედიოდა.

ვაგრძელებთ სვლას ატომურ სამუშაოთა სათავეებისაკენ. 1945 წლის 12 ნოემბერს პ.ი. ანტროპოვი მოახსენებს ბერიას თავისი მივლინების თაობაზე ტაჯიკეთის სსრ-ში მდებარე №6 კომბინატში (ურანის მოპოვებისა და გადამუშავების 7 მაღარო და 6 ქარხანა). მდგომარეობა ფრიად სამწუხაროა. და ანტროპოვის მოხსენებით ბარათზე სამაგრით აკრავენ ორ პატარა რეზოლუციიან ქაღალდის ფურცელს:

**"ამხ.ამხ. ჩერნიშოვს, ზავენიაგინს. გაერკვიეთ და მომახსენეთ, რატომ მოიხმარებოდა №6 კომბინატზე დაშვებული ფონდები არადანიშნულებისამებრ. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. 15 ნოემბერი, 1945 წ.".**

**"ამხ. ამხ. ბ.ლ. ვანნიკოვს, ნ.ა. ბორისოვს. 1. სასწრაფოდ შეიმუშავეთ ღონისძიებები, რათა კომბინატმა გაზარდოს მადნის მოპოვებისა და გადამუშავების მოცულობა. 2. სასწრაფოდ მიიღეთ ზომები ადგილზე წესრიგის დასამყარებლად. შედეგებზე მომახსენეთ. 15 ნოემბერი, 1945 წ.".**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ნოსტალგია

ნარო კოლხელი
(ნარიმან იაშადაშვილი)



*დაიბადა 1957 წლის 3 დეკემბერს ოჩამჩირეში. 1974 წელს დაამთავრა ოჩამჩირის პირველი საშუალო სკოლა, 1986 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.*

*გამოცემული აქვს რომანების ციკლი „ღმერთების სევდა“, ასევე მოთხრობები და ზღაპრები, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.*

*გახლავთ რეკორდსმენი რომანებისა და მოთხრობების სწრაფ წერაში (სულ – 7 რომანი და 17 მოთხრობა), რომელივ იწერებოდა საგანგებო ჟიურის მიერ მოცემულ თემებზე. მათ შორის აღსანიშნავია რომანები: „ორი სიცოცხლე – ორი სიყვარული“ (თემა „მეზღვაური და შავი პატარძალი“. ბათუმი. ორგანიზატორი „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“), „ძველი მიწა“ (თემა „ჭირსა შიგან გამაგრება“. ახალციხე. ორგანიზატორები: თსუ ახალციხის ფილიალი და გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. რომანი მიეძღვნა ვეფხისტყაოსნის შექმნის 800 წლისთავს), „წვიმის ცრემლები“ (თემა „ბედი“. იზმითი. გოლჯუკი. თურქეთი. ორგანიზატორები: „საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობის ასოციაცია“ და „თურქეთში მცხოვრებ კავკასიელ ხალხთა მეგობრობის კავშირი“), მოთხრობების ციკლი „ყოფა მეგრული“ (ზუგდიდი. ორგანიზატორი ზუგდიდის მერია)...*

*1999 წელს მთელმა მსოფლიომ დიდსულოვნად აღნიშნა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის დაბადების 200 წლისთავი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნარო კოლხელმა (ნარიმან იაშადაშვილი) რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ცენტრის (დირექტორი გივი ბარათაშვილი) ეგიდით და რუსეთის საელჩოს (ელჩი ფელიქს სტანევსკი) მხარდაჭერით გრიბოედოვის თეატრში საგანგებო ჟიურის მიერ მოცემულ თემაზე „ცხოვრება, ცრემლები, სიყვარული“ (ფრაზა აღებული პუშკინის ცნობილი ლექსიდან «Я помню чудное мгновенье») 3 დღეში შექმნა 125 გვერდიანი რომანი სახელწოდებით „სიყვარულის ნოსტალგია“.*

*მკითხველებს გაგრძელებით ვთავაზობთ ამ რომანს.*

## სიყვარულის ნოსტალგია

**მიეძღვნა პუშკინის 200 წლის იუბილეს**
**თემა: «И жизнь, и слёзы и любовь» პუშკინის ცნობილი ლექსიდან «Я помню чудное мгновенье»**

### ნაწილი I
### ყავა აღმოსავლურად

### თავი I
### სტუდენტური ვაგონი

– ისეთი ყოჩაღი ქალი, როგორიც ნინა პეტროვნაა, არასოდეს არსად შეგხვედრიათ, სტუდენტებო, მე ურალს იქით და ურალს აქეთ მიცნობენ, ნინა პეტროვნას, რომელიც გახლავთ ყველაზე ჭკვიანი, განათლებული, თავაზიანი, მოსიყვარულე, და რაც მთავარია, ახალგაზრდების მეგობარი. ჩემისთანა პრავადნიცა მსოფლიოში არ არის. რას ინებებთ, ქალბატონებო და ბატონებო? ჩაი გნებავთ? პაჟალუსტა, ახლავე ავადუღებ. ყავა გნებათ? იქნება. სოსისი გნებავთ? ხუთ წუთში მოგიხარშავთ. კიდევ რას მიირთმევთ? მინერალური წყალი, ლიმონათი, წამსვე გავაჩენ, ოღონდ უნდა დამიჯეროთ, დროზე აალაგეთ ლოგინი და თეთრეულიც კოხტად დაწყობილი ჩამაბარეთ.

ნინა პეტროვნა ორმოცდაათს გადაცილებული ქალბატონი, საკუთარი შვილებივით თავს ევლება შორ გზაზე მიმავალ სტუდენტებს, თითქოს მშობლებმა მას ჩააბარეს თავიანთი შვილები: ეს დღეები მათი მამანია* იქნებიო. **„შვილობილები“** კი დიდები არიან, თვრამეტი-ოცი წლის გოგო-ბიჭები.

– არხაროვცებო*, ცეტებო! – მიმართავდა ხუმრობით, – დაუჯერეთ ნინა პეტროვნას, კუპეებში წესრიგი დაიცავით! გამოგავით, საჭმლის ნარჩენები ურნაში ჩაყარეთ! დროზე დაიბანეთ ხელპირი. ორ-სამ დღეში სოჩაში იქნებით და გარუჯდებით შავ ზღვაზე. დაუჯერეთ ნინა პეტროვნას და ცხოვრებაში არასოდეს წააგებთ!

სტუდენტებს ეცინებათ, ისინი თავიანთ ვაგონებში **„დურაკას“** თამაშით, **„ჩასტუშკებით“*** და ანეგდოტების მოყოლით არიან გართულნი, ხანდახან კიდეც წაიმღერებენ.

ნინა პეტროვნა ჩასკვნილი, მრგვალსახა, ათლეტური აღნაგობის ქალია, ქერა, სევდიანი იერი აქვს, თუმცა არ იმჩნევს.

– ნინა პეტროვნა, მამანია ნინა პეტროვნა! – სტუდენტები გაუშინაურდნენ რამდენიმე საათის წინ გაცნობილ **„დედობილს“**. მის მიმართ კალამბურებს არ იშურებდნენ.

– მართალი ნინა პეტროვნა.

– კეთილი ნინა პეტროვნა.

– ლამაზი ნინა პეტროვნა.

– სევდიანი ნინა პეტროვნა.

– ჩვენი მამანია ნინა პეტროვნა.

თუმც მაისის დასაწყისი იყო, ნინა პეტროვნას ღუმელი მაინც ანთებული ჰქონდა, ბავშვები არ გამიცივდნენო.

გოგონები ეხმარებოდნენ: ვინ ნახშირის ღუმელში ჩაყრაში, ვინ ცეცხლის დანთებაში, ვინაც ტამბურის დასუფთავებაში.

ბიჭები გოგონებისგან განსხვავებით ვაგონის ბოლოში მიეუჟდებოდნენ და ჩუმად **„სამოგონს“*** წრუპავდნენ, ნინა პეტროვნას თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, როცა იგი კორიდორში წესრიგს ამყარებდა, იმალებოდნენ.

მაგრამ ნინა პეტროვნას რას გამოაპარებდნენ.

– ეხ, პაცანებო*, არხაროვცებო, რა უნდა გითხრათ, ჯერ ხომ პატარები ხართ, სამაგონის სმას მერეც მოასწრებთ, – ბრაზობდა.

ბიჭები თავს უხრიდნენ, თითქოს პატიებას სთხოვდნენ: მართალი ბრძანდებით, მამანია, მეტს არ ვიზამთო.

უცნაური თამაში გააჩაღეს, ამხელა გზაზე მარტო **„დურაჩკით“** და **„ჩასტუშკებით“** ვერ გაერთობოდნენ.

– ეს რანაირი თამაშია? – უკვირდა ნინა პეტროვნას, – მეც ვიყავი თქვენხელა, მაგრამ ასეთი თამაში არსად გამიგია, გოგრა? რა საჭიროა გოგრა?

იცინოდნენ.

– ეს არაჩვეულებრივი თამაშია, ჩვენ, სტუდენტებმა მოვიგონეთო.

წარმოიდგინეთ, ოცდაათამდე გოგო-ბიჭი, ყველანი თავ-თავიანთი კუპეს წინ იდგნენ, ერთ-ერთი გოგრას ფეხქვეშ დაიდებდა, შემდეგ ჩაიმუხლებდა და თავით მიაგორებდა, თუ გოგრა ვაგონის კიდეს შეეხებოდა, თამაშს სხვა აგრძელებდა და წაგებულს ქულა ეკარგებოდა.

იდგა ერთი ჟივილ-ხივილი.

ხალისიანი თამაში იყო.

გოგო-ბიჭები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

– ვინ არის ასეთ აურზაურში გამარჯვებული? – იკითხა გაოცებულმა ნინა პეტროვნამ.

– ის ვინც გოგრას ბოლომდე მიაგორებს, ისე რომ არც გოგრა და არც მოთამაშე ვაგონის კიდეს არ შეეხოს, – აუხსნა ერთ-ერთმა.

ნინა პეტროვნამ ხელი ჩაიქნია.

– მართლა არხაროვცები ხართ, მიხარია, რომ გიყურებთ, ასე მგონია მეც თქვენი ხნის ვარ.

მატარებელი ბაქანზე ჩამოდგა.

– მიხაილოვკა! – დაიძახა ნინა პეტროვნამ, – გაჩერება ორი წუთი! არავინ არ ჩავიდეს!

– ჩვენ მოხარშული კარტოფილი გვინდა! – მიაძახა ერთ-ერთმა გოგონამ.

– მოითმინეთ ნახევარი საათი და იქნება.

ბაქანზე ჩანთით ხელში შავგრემანი ჯარისკაცი იდგა.

გოგონებმა ფანჯრიდან ხელი დაუქნიეს და დაუძახეს:

– სალდატიკ! სალდატიკ!

ჯარისკაცმა ყურადრება არ მიაქცია და ვაგონში ავიდა.

– სალდატიკ, სად წახვედი?

– მგონი ჩვენს ვაგონში ამოვიდა.

– ალბათ დემბელია*, სახლში მიდის.

მატარებელი დაიძრა.

ნინა პეტროვნამ ჯარისკაცს ჰკითხა:

– საით, სალდატიკ?

– სახლში.

– სოჩაში?

– დიახ, იქიდან ჩემს ქალაქამდე ასი კილომეტრია.

– ქართველი ხარ?

– დიახ, ქართველი.

– დემბელი ხარ?

– დიახ.

– ძალიან კარგი, – ახედ-დახედა, – უმცროსი სერჟანტი.

– როგორც ხედავთ.

– ჩემს ვაგონში ადგილი რომ არ არის, რა გიყო?

– არ ვიცი, ასე მითხრეს, ჯარისკაცებისთვის ბრონიაო*.

წამით ჩაფიქრდა.

– ხო, ვიცი...

– საბუთიც მაქვს.

– არ არის საჭირო, გენდობი... კარგი, შემოდი, ოღონდ წესიერად მოიქეცი.

– ჯარში წესიერად ვიქცეოდი, აქაც წესიერად მოვიქცევი.

– ჩემი ვაგონი საპატარძლოებითაა სავსე, სულ ოთხი თუ ხუთი ბიჭია, დანარჩენი გოგოები.

– ძალიანაც კარგი.

კორიდორიდან ჟრიამული ისმის.

– ხედავ, რა დღეში არიან? როგორ მხიარულობენ?

– მერე მაგას რა ჯობია?

– ვიცი ერთი კუპე, სამნი არიან, ჰოდა, იქ შეგასახლებ, გეტყობა კარგი, წესიერი ბიჭი ჩანხხარ.

– გმადლობთ, დეიდა.

– ნინა პეტროვნა, მამანია ნინა პეტროვნა, ესენი ასე მეძახიან და შენც ასე დამიძახე.

– დიახ.

შევიდნენ.

– რა ხდება, რა ამბავია, მორჩით გიჟურ თამაშს?

– მოვრჩით, ნინა პეტროვნა, ახლა დურაჩკაზე გადავედით!

– აგურის ექვსიანი ჩემი არ იყო!

– წააგე, დურაჩოკი ხარ!

– შენ თვითონ ხარ დურაჩოკი!

– ბალბეს!*

– დაარიგე!

ნინა პეტროვნამ ერთ-ერთ კუპეში შეიხედა.

– აქ ხომ ერთი ადგილი თავისუფალია, – ჰკითხა გოგონებს, – ეს სალდატიკი თქვენთან ერთად იმგზავრებს, გაფრთხილებთ, არ შეაწუხოთ, არ გააწვალოთ, თვით გენერალმა ჩამაბარა ამისი თავი, გაიგეთ, არხაროვხცებო!?

– გავიგეთ, მამანია!

– შემოდი, დაჯექი.

ჯარისკაცმა გოგონებს მორიდებით თავი დაუკრა.

– აქეთ დაბრძანდით, – ერთ-ერთმა ადგილი დაუთმო.

– ზევით დაწვებით თუ ქვევით? – ჰკითხა მეორემ.

– თქვენ როგორც იტყვით, ალბათ ზევით, – მიუგო მორიდებით.

– დემბელი ხარ? – ჰკითხა მესამემ.

– დიახ.

ამასობაში ნინა პეტროვნამ თეთრეული შემოიტანა.

– კიდევ ერთხელ გეუბნებით, ამ ბიჭს გაუფრთხილდით, გიმეორებთ, თვით გენერალმა ბრძანა!

– იეს მამანია ნინა პეტროვნა!

– რა იცი, იქნებ სახლში პატარძლით დაბრუნდეს.

გოგონებმა გადაიკისკისეს.

– არაფერია სასაცილო, ყველაფერი ხდება, მე მაგალითად ჩემი ქმარი ვაგონში გავიცანი, ისიც ჯარისკაცი იყო, სხვათა შორის მეც სამხედრო ჩინი მაქვს, – სამხრეებზე ამაყად დაიხედა.

– ეს ხომ სამხედრო პაგონები არ არის, ნინა პეტროვნა, გვატყუებთ?

ნინა პეტროვნამ თავი გააქნია.

– რა იცით თქვენ, არხაროვცებო, გადით გარეთ, ჯარისკაცს ლოგინი უნდა გავუშალო.

– ნუ წუხდებით, მე თვითონ, ნინა პეტროვნა, გმადლობთ.

– არაფერია, არაფერი.

გოგონები კუპედან გაცვივდნენ.

– ნეტავ რას ნიშნავს არხაროვცები? – ჰკითხეს ერთმანეთს.

– ლამაზ და ცელქ თხებს! – უმალ მიუგო ნინა პეტროვნამ.

– თუ ჩვენ ლამაზი თხები ვართ, მაშინ ეს ჯარისკაცი ვინღაა?

– არ არის თქვენი საქმე.

ისევ სიცილი.

ნინა პეტროვნამ ლოგინი გაშალა და კუპედან გავიდა.

– ახლა შებრძანდით.

სამ გოგოს კიდევ ორი დაემატა.

ჯარისკაცს გამოეცნაურნენ.

– სალდატიკ, აი სალდატიკ, სად მსახურობდით?

– იქ, შორს.

– სად, შორს?

– სადაც მთელი თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი კი ზაფხული.

– თეთრ დათვებთან?

– არა, თეთრ დათვებთან არა, მაგრამ...

– იაკუტია, ჩუქჩეთი.

– ირკუტსკის ოლქში.

– ბაიკალის ტბაში გიბანავია?

– კი, სწორედ იქიდან მოვდივარ.

– სოჩაში რა გინდა, დასასვენებლად მიდიხარ?

– ჩემს სახლში მივდივარ.

– სად არის შენი სახლი?

– გაგიგიათ საქართველო?

– როგორ არ გაგვიგია, მზიური ქვეყანაა, მთიანი მხარე, შენ რომელი მთიდან ხარ ჩამოსული, შემთხვევით ელბრუსიდან ხომ არა?

ისევ სიცილი.

– მე ბარში ვცხოვრობ, იქ მთები არ არის, დაბლობია, იქ ციტრუსი ხარობს, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ჩაი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს ერთ-ერთმა მორცხვად ჰკითხა, რომელსაც მანამდე ხმა არ ამოეღო.

– რა გქვიათ ჯარისკაცო?

ბიჭმა და გოგომ ერთმანეთს შეხედეს

– მამუკა.

– მე ტანია.

– გალკა, – მსუქანლოყამ ხელი გაუწოდა.

– ნინკა.

– ნატაშა.

– მარინა.

– ქსენია, ანუ ქსუშკა.

– სასიამოვნოა, – გელამ ისევ შეხედა ტანიას და ჰკითხა: – გულზე რა გიკიდიათ?

ყველას გაეცინა.

– ჩვეულებრივი კულონია.

– ნაჯახია?

– დიახ, მინიატურული ნაჯახია.

– ეტყობა ძვირფასია.

– ვერცხლისაა.

– სხვათა შორის, ტავარიშ სალდატიკ, ჩვენი ტანია ამ ნაჯახით თავდამსხმელებს იგერიებს, – უთხრა მსუქანლოყამ.

– არ დაუჯეროთ, ტყუილია, – ტანიამ მამუკას გაუღიმა, – გინდათ დურაჩკა ვითამაშოთ?

– მე რომ დურაკი არა ვარ?

– გახდებით, – უთხრა მსუქანლოყამ.

ყველას გაეცინა.

– მამუკა რას ნიშნავს? – ისევ ჰკითხა ტანიამ.

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, ჩვენთან ბევრს ჰქვია ასეთი სახელი.

– მე მივხვდი, – თქვა ერთ-ერთმა, – თქვენი წინაპრები ალბათ მეწისქვილეები იყვნენ, მუკა ხომ ფქვილს ნიშნავს.

მეორემ სიტყვა შეაწყვეტინა:

– არ არის სწორი, ჩვენ ვერ გავიგეთ სად დასვა მახვილი, მუკა ტანჯვასაც ნიშნავს.

– იქნებ დატანჯულია?

– შეიძლება.

ამ დროს კუპეში ნინა პეტროვნამ შემოიხედა

– თქვენთან ერთად რომ მგზავრობს, ალბათ იმიტომ იქნება დატანჯული.

აკისკისდნენ.

– გინდათ ბაიკალი?

– რაა, ნინა პეტროვნა, ტბის წყალს გვასმევ?

– აბა ბარჟომი არა გვაქვს და, ყველამ თუ ბარჟომი დალია, მაშინ ბაიკალი ვინ დალიოს? – ბოთლი მაგიდაზე დადგა, გავიდა და დაიძახა: – არხაროვცებო! ვის გინდათ ბაიკალი?

– აქეთ, ნინა პეტროვნა! – ვაგონის ბოლოდან მოისმა გოგონების ხმა, – ორი ბოთლი!

– ნეტავ რა გვარისაა ჩვენი სალდატიკი? – ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა, – გვარიც დატანჯულს ხომ არ ნიშნავდეს იქნება?

ნარო კოლხელი (ნარიმან იაშადაშვილი)

# როგორ მოვიგოთ არჩევნები

*(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)*

**ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.**

პოლიტიკური მანიპულირება არის მასობრივი ცნობიერების მართვის ტექნოლოგია, რომელიც მიზანმიმართული, უხილავი ზემოქმედებით და არაძალადობრივი მეთოდებით ცვლის საზოგადოებრივ აზრს სასურველი მიმართულებით. სწორედ პოლიტიკური მანიპულირების მეშვეობით სოციალ-პოლიტიკური მითები ინერგება საზოგადოებაში. განსაკუთრებით პოლიტიკურ მითებს იყენებენ საარჩევნო კომპანიის პერიოდში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის იმიჯის ფორმირებას. მითი არის ილუზიური იდეები, რომელიც ამკვიდრებს გარკვეულ ფასეულობებს და ნორმებს, რასაც შემდეგ მასობრივი ცნობიერება (საზოგადოება) ჭეშმარიტად აღიქვამს, ყველანაირი რაციონალური განსჯისა და კრიტიკული გააზრების გარეშე, რის გამოც ხდება მითის ინტერპრეტაცია და რეალურ მოვლენებთან დაკავშირება.

თუმცა ასეთ დროს მითის ცნების ანალიზზე დროის ხარჯვა უნაყოფოა, რადგან ვერ შევძლებთ დავადგინოთ მითის ჭეშმატირება. მას აქვს გარკვეული მისია და იღვწის ამ მისიის შესარულებლად. პოლიტიკური მითის სწორად ინტერპრეტირება დარაზმულობის, ერთობის, იერიშისა და შეტევის გრძნობების გამომწვევია, ხოლო წარსულისკენ მზირალი საზოგადოება იჯერებს პოლიტიკურ მითს იმის შესახებ, რომ ლიდერი, რომელიც მას არწმუნებს, თითქოს ის არის საამაყო წინაპრების **„იდენტური“** ან მათი იდეების **„გამგრძელებელი“. პოლიტიკური ლიდერი მითის მეშვეობით თამაშობს, ხოლო მითი კი თავის მხრივ მასის (საზოგადოების) ენერგიას თამაშში ჩასართველად წარმართავს.**

თუმც საზოგადოებას არა მარტო პოლიტიკური ლიდერები თავაზობენ მითებს, არამედ თვით ხდება მითო შემოქმედი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ინდივიდი, რომელიც მისთვის ცნობილი, მაგრამ მიუღებელი რეალობიდან აღმოჩნდა უცნობ რეალობაში, რის გამოც სასოწარკვეთილება დაეუფლა. ის საშიში ვითარება, რომელიც მის გარშემო შეიქმნა იგი უმწეო, რწმენადაკარგულ მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც არ იცის გამწვავებული და დაძაბული სიტუაციის შედეგები რა იქნება. უცნობი მომავლის წინაშე შიში თანდაყოლილ მოვლენად ექცა, ამიტომ თხზავს მითებს (ამაში პოლიტიკური ლიდერებიც ეხმარებიან) და იყურება წარსულისკენ, რადგან იცნობს წარსულს და არ იცნობს მომავალს. მაგრამ, როგორც კი ვინმე მის წარსულს, ისტორიას, წინაპრებს შეურაცხყოფს, მაშინვე გამოანათებს მისი გონება ჭეშმარიტების სხივით და იტყვის **„ნუ მართმევ წარსულს რამეთუ ეს არის წმინდა, რომლითაც ვსაზრდოობ და მივემგზავრები მომავალში.“** დიახ, წარსულის გარეშე მომავალს ვერ შევქმნით, მაგრამ ვინ ქმნის მომავალს?.. ჩვენ?.. თუ ჩვენი სახელით (უჩვენოდ) ქმნის სხვა?.. რომელსაც შეიძლება სულაც არ აინტერესებს, როგორი მომავალი გვჭირდება ჩვენ!!!

პოლიტიკური მითი არის მასის (საზოგადოების) გაუთვითცნობიერებელი აქტივობის და წარმოსახვის თავისუფალი პროდუქტი. მისი მიზანია შეცვალოს სოციუმის მსოფლხედვა და მსოფლაღქმა, რათა გაუადვილდეს მისი ქცევის კონტროლი და რეგულირება. ინდივიდი, რომელიც არ იცნობს „მომავალს“ და მისთვის უცნობ **„ახალ რეალობას“**, გაურბის ცვლილებებს, მაგრამ სჯერა ლიდერის, რომელიც არწმუნებს ცვლილებების აუცილებლობაში. ინდივიდი იჯერებს ლიდერის მტკიცებას (უმეტეს შემთხვევაში დემაგოგიურ ხრიკებს) და ხდება მასზე მინდობილი, რის გამოც არ სვამს კითხვებს: **„რა ხდება?“, „რატომ ხდება?“, „რისთვის ხდება?“.** სწორედ ეს ვითარება წარმოშობს დემოკრატიული ლიდერის გაუკუღმართებულ ფორმას – ბელადს. ფრანგი ეთნოგრაფის დუტიეს თქმისა არ იყოს, პასიურ საზოგადოებაში **„მითი კოლექტიური ნატვრის პერსონიფიკაციად“** გვევლინება. სოციალური სისტემის მოშლის და სახელმწიფოს სისუსტის პირობებში საზოგადოების **„კოლექტიური ნატვრა“** პიკს აღწევს ძლიერი ავტორიტეტის ბელადის მოთხოვნით. **„ბელადი“ კი თავის დასაყრდენად იყენებს ინტუიციას და „კოლექტიური ნატვრის“ გამომხატველთა გულუბრყვილობას, რითაც ბატონდება მათზე და დგება კანონზე მაღლა.**

დღეს საზოგადოების წინაშე საკითხი დაისვა შემდეგნაირად: **„ბელადმანია“** თუ საპარლამენტო მმართველობა?!.. აჟიტირებული სოციუმი პრეზიდენტის ინსტიტუტს აიგივებს **„ბელადის“** ინსტიტუტთან და ამას ქვეყნისათვის დამღუპველად თვლის. თუ დაფიქრდება, არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. კერძოდ, კი პრეზიდენტის ინსტიტუტის მოსპობა ავტომატურად **„ბელადმანიის“** მოსპობას არ ნიშნავს, რადგან **„ბელადმანიობა“,** ხალხის მდგომარეობა, განწყობა და დამოკიდებულება, პირველ რიგში არსებული პოლიტიკური სიტუაციის და მერე კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის მიმართ. **საპრეზიდენტო მმართველობის მოსპობას და საპარლამენტო მმართველობის დამკვიდრებას არ შეუძლია მოსპოს საზოგადოების ბელადისადმი ლტოლვა. ამ უკანასკნელის მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო თვითშეგნების და დემოკრატიულად განვითარებული სახელმწიფოს პირობებში.**

მაგრამ ბელადის არსებობის მსურველიც ბევრია. ისმის კითხვა: რაში სჭირდება საზოგადოების ნაწილს ბელადების არსებობა? მეტად ლოგიკური კითხვაა, რომელსაც შესაძლებელია იმავდროულად ვერ გაეცეს ლოგიკური პასუხი. თუმც შეგვიძლია პასუხი ჩვენს წარსულში ვეძებოთ: საზოგადოების **„ბელადმოყვარე“** ნაწილმა, რომელმაც შეიძულა (შეგნებულად თუ მისდაუნებურად) საბჭოეთის **„კლანჭები“**, თავი ახალ რეალობაში, ფასეულობათა ახალ სისტემაში ამოყო, თუმცა ჰოი საოცრებავ, ამ ახლად **„შობილმა“** ადამიანმა მისთვის უცნობი, მაგრამ არსებული **„სიახლის“** გათავისება ვერ მოახერხა, რის გამოც გადაწყვიტა იყოს ინდიფერენტული და დარჩეს პასიურ მდგომარეობაში. მაგრამ უნდა, რომ იცხოვროს სახელმწიფოში, რომელსაც ჰყავს ხელისუფლება, და სწორედ აქვე იპოვა **„გამოსავალი“**. კერძოდ კი მის მიერ ნდობის ვოტუმ-მინიჭებული ლიდერი (**„ბელადი“**), რომელიც მისი რჩეულია, მის მაგივრად გააკეთებს ყველაფერს, რამეთუ მან (ლიდერმა) **„იცის“** და **„ერკვევა“.** სწორედ ასეთ დროს ახალი **„სოციალური ტიპის“** ინდივიდი ახდენს საკუთარი თავის თვითიზოლაციას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისაგან და იჯერებს იმას, რასაც მისი რჩეული (ბელადი) ეუბნება **„რამეთუ მან უკეთ უწყის რა სჯობია ჩემთვის და ქვეყნისთვის“.** ასეთ დროს საქმე გვაქვს სამოქალაქო შეგნების არქონასთან და პოლიტიკური განათლების დეფიციტთან. აქედან გამომდინარე, **„ბელადის“** (და არა ლიდერის) არსებობა დემოკრატიზაციისკენ მილტოლვილი სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის დამღუპველია, რადგან ასეთ პირობებში ვერ ხერხდება დემოკრატიული ფასეულობების განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ილია მართლის ჭეშმარიტად მართალი სიტყვები: **„ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“.** ამიტომ საჭიროა იღვწოდე შენი ქვეყნისთვის და იყო ჩართული საქვეყნო საქმეების გადაწყვეტაში, რაც იმავდროულად ნიშნავს იღვწოდე შენი და შენი შთამომავლების მომავლისთვის, არ ეძებდე **„ბელადს“,** რომელიც შენს მაგივრად **„მოაგვარებს“** ყველაფერს. რა დროსაც აღარ დაისმება კითხვა: **„ბელადი თუ ბელადის გარეშე“?** რომელიც ხელს შეუწყობს ძლიერი, ჯანსაღი სახელმწიფოს ფორმირებას და როგრესულად მოაზროვნე ინდივიდთა ერთობის – ქართველი ერის ჩამოყალიბებას.

---

არჩილ თოდუა

## მოთხრობები

## დასასრული

სისხლისმსმელ მხედრიონს მოუძღვება თავშევარდნიანი აქემენიდი ვერეთრაგნა, კოლხეთის ჩრდილოეთით მთებზე წამომართულ ტოტემთა წაბილწვა დაუსახავს მიზნად.

და შუაგულ უდაბნოში ურიცხვი ჯარისკაცი წამოიმართა მრისხანე მხედართმთავრის წინაშე. ბრძოლის წინ მხედრული მიმართვით ამხნევებდა იგი ერთგულ მეომრებს...

**„დღეს გავიმარჯვებთ ან ყველანი ბრძოლის ველზე დავიხოცებით. გაივლის ასობით წელი და არავის ეხსომება თუ როგორ ვცხოვრობდით, როგორ გვიყვარდა, როგორ ვკრეფდით ბაღში ვაშლს შვილებისთვის. ადამიანები მხოლოდ ჩვენს მიერ გადახდილ ომებზე ილპარაკებენ, ათას ისტორიას, ლეგენდას შეთხზავენ ჩვენს მიერ დაღვრილ სისხლზე.**

**ჩვენი მიზანი ის კი არაა ჩვენივე სახელები შემოვუნახოთ ისტორიას, არამედ ხმლის თითოეული მოქნევით, თითოეული ნატყორცნი ისრით ავაშენოთ ისტორია მრისხანე აქემენიდთა.**

**ჩვენი მიზანი ბრძოლაა, ბრძოლა სანამ ცოცხლები ვართ, ბრძოლა უეჭველი გამარჯვებისათვის. მშვიდობა! მშვიდობა მხოლოდ ქალებს უყვართ – სუსტ არსებებს, იმპერია კი ბრძოლით ძლიერდება!**

**როცა სახლში დაბრუნდებით და გკითხავენ – ჰეი ჯარისკაცო! რატომ აკეთებ ამას ომზე ხომ არ გიუდებიო, არაფერს ვუპასუხებთ, რადგანაც ვერ გაიგებენ, ვერ ჩასწვდებიან აზრს ჩვენი პასუხებისას!.**

**ჩვენ არც იმ მეფისათვის ვიბრძვით, რომელიც წლებია არ გვინახავს, ბრიყვს, თუნდაც მეფე იყოს არ დავემორჩილებით. შეუდრეკელ ჯარისკაცებად ღირსებამ და სამშობლოს სიყვარულმა გვაქცია, რომელიც განა მხოლოდ მეფეზე, ღმერთებზე მაღლა დგას, დიახ ღმერთებზე, რომელთაც შურთ ჩვენი – ისინი უკვდავები არიან, ჩვენთვის კი ყოველი წამი შეიძლება უკანასკნელი იყოს და ის რაც დროებითია მშვენიერია, მშვენიერი ყველაფერზე.**

**მე ჩემს ცოლს ასე დავემშვიდობე – არასოდეს მოგშორდეს სახეზე ღიმილი, რაც არ უნდა ცუდი იყოს ცხოვრება და სანამ ჩვენ შვილებს დააძინებ უთხარი, რომ მე ისინი ძალიან მიყვარს. ვიცი თქვენც ასე მოიქეცით, მაშ რაღა დაგვრჩენია საფიქრალი გარდა სამშობლოსა და ღირსებისათვის ბრძოლისა.**

**ან გავიმარჯვებთ ან ღირსეულად დავიხოცებით და ჩვენი დამარცხება არ იგულისხმებს იმას, რომ გამარჯვება არ შეიძლებოდა, თქვენ თვითონ იცით ასობით მებრძოლი დაიღუპა უდაბნოთა გადმოლახვისას, მაგრამ ბოლოს იგი მაინც გადმოვლახეთ“.**

ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვიან ბრძოლაგამოვლილი მთა-ველები. უდაბნოდან დროდადრო მონაბერ ქარებს თან მოაქვთ ჯარისკაცთა გვრგვინვა და ყიჟინა.

**„მორევ მარე“** მოავლინა მთიანეთს ვერეთრაგნამ – ჩემს ჯარს მუხლმორთხმული შეეგებეთ და „ლაპის ექსცილის“ მომგვარეთო ძღვნად ღვთიკურთხეულ მბრძანებელს.

**„წმინდა სვიმრამ“** მკაცრი უარი შეაგება აქემენიდთა მოგზავნილს. უძველეს დროიდან არავის ნებდებოდნენ უბრძოლველად, განდგომილ თანაფეხვთ მითუმეტეს.

განრისხდა ვერეთრაგნა, იშიშვლა ცეცხლისმფრქეველი ხმალი ღამე ჩირაღდნად, რომ იყენებდა და კავკასიის მთათა შორის განაღდა ბრძოლა დეკემბრისა.

ოც დღეს ჭექდა და ქუხდა, ოც დღეს იძროდნენ მთები და მწვერვალები, ოც დღეს ისრუტავდა მწყურვალი მიწა გამდინარებულ სისხლს, ოც დღეს ხოხროცებდა დამშეული ჰადეს, თავის ჯურღმულებში მიერეკებოდა ათასებს, ათიათასებს.

ათასხმანაკრავი უმძიმეს ტკივილებს განიცდიდა მიწა, ათასშვილმკვდარი მწარედ კვნესოდა სისხლით შეღებილი ცა; დუღდა, თუხთუხებდა ზღვა; ზღვიდან ამოვიდა ზეთისხილი, ზეთისხილიდან რტო, რტოდან ალი, ალმა შვა მზე, მზემ შვა ამორძალი – წითური, მზისებრ ცეცხლოვანი. მან იარა, ირბინა მზის ცვარში განიბანა, რძეს დაეწაფა, ტანი აიყარა, დამშვენდა, კერტები დაებერა გაზაფხულის კვირტებივით, მკერდმოშიშვლებულმა დაჭიმა ლარი და... სასიკვდილოდ განგმირული მიზაწე დაეცა ვერეთრაგნა.

დიდ ხანს დარბოდა მარტო მთებში მხედარდაკარგული ურა რაში ჯოოდალ. შურისძიება წყურიაო – ამბობდნენ მიდიელი მოგვები. მაგიერი უნდა მიუზღოსო დაღვრილი სისხლისათვის მშვილდოსან ამორძალს. მაგრამ ამაოდ. ოცჯერ დაზამთრდა და გაზაფხულდა, ოცჯერ გახდა შემსწრე გაზაფხულის სადიდებლად გამართული მსხვერპლშეწირვისა და იმედგაცრუებული სალი კლდიდან გადაეშვა გაცოფებულ ენგურში.

დღესაც აშინებს ენგურში მობანავე ქალებს მუქი აჩრდილი ლაგამაწყვეტილ ურა რაშისა, მაგრამ როგორც კი იგალობებენ მიჟე ნაჭრისმზის სადიდებელს, სადღაც წვდიადში იკარგება იგი, უჩინარდება როგორც ცრემლი წვიმაში.

## დღეს ჩემი დაბადების დღეა

ჩვენ სამნი ვიყავით – მე, ჩემი სული და ჩემი სხეული...

მე მარტო დავრჩი, როგორც თოვლიან ზამთარში ხის კენწეროზე შემორჩენილი ფოთოლი.

მე მარტო დავრჩი, როგორ ომგამოვლილ ქალაქში ცოცხლად გადარჩენილი ბავშვი.

მე მარტო დავრჩი, როგორც უსულოდ დარჩენილი სხეული.

მე მარტო დავრჩი, როგორც სული, რომლისთვისაც ადგილი ვერც სამოთხეში მოიძებნა და ვერც ჯოჯხეთში,

მე მარტო დავრჩი, როგორც უნუგეშოდ დარჩენილი კათაკმეველი, რომელსაც ესესაა მორიდებით სთხოვეს გასულიყო ეკლესიიდან.

მე მარტო დავრჩი...

ჩემს ირგვლივ მხოლოდ უდაბნოა და ქვიშის თვალუწვდენელი ოკეანე. მე მარტო დავრჩი სამყაროს შაუგულში.

გავშალე ხელები და როგორც ჩიტმა ვიფრინე ღრუბლებში.

გავშალე ხელები და უმალ შევიცანი უდაბნოს ყველა საიდუმლო...

თვალებზე რული მეკიდება, ნელნელა ვხრი თავს და ვხდები, რომ ვიძინებ, ძილთან ერთად მაღლა ჰაერში ავდივარ, ცოტაც და გავფრინდები.

როგორც კი ციურ სცენაზე გათამაშდება ჩემი სიზმრის პირველი სიუჟეტი ვშლი ხელებს, უკვე ფრთებად ქცეულს და ისევ ვიწყებ ფრენას, ფრენას დედამიწის გარშემო.

მე არავის ვუმხელ რომ ფრენა ვიცი, არავის, რადგან თუ კი გაიგეს უმალვე მომაჭრიან ფრთებს და მიწაზე დავეცემი.

დავფრინავ, მეკარგება სიცოცხლის წყურვილი და ყოველგვარი სატანჯველიც ქრება ჩემში.

მაღლა ცაში ვხდები, რომ ჩემი სული აჯანყდა ჩემივე სხეულის წინააღმდეგ. იგი დაუნდობლად ებრძვის ძვლებზე დაგროვილი ძარღვების და კუნთების გროვას, ცდილობს თავი დააღწიოს საპყრობილეს მაგრამ თანდათან იხლართება სისხლსა და ლორწოში, იღლება მაგრამ არ ნებდება ახალი დღის გათენებას ელოდება ახალი ბრძოლის წამოსაწყებად, ბრძოლისა თავისუფლებისათვის. მას უნდა თავისუფლად იფრინოს ზეცაში,

ჩემს სულს მარადისობის ნაწილად უნდა ქცევა, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს სად და როგორ დაიღუპება სხეული, მაგრამ მანამ უნდა დაღუპვა სანამ ახალი სხეულის წყაროდ იქცეოდეს.

და... ისევ დავფრინავ მაღლა ზეცაში, ღრუბლებთან ახლოს, უდაბნოს თავზე, დავფრინავ ფრთებ-ხელებგაშლილი....

მე უდაბნოში ოაზისი აღმოვაჩინე, ოაზისში ვარდი ვიპოვე, ვარდი ეულად ამოსული...

ხორცი და სული ისევ განაგრძობენ ომს და არ იღლებიან, ეს არ არის ომი სიკეთესა და ბოროტებას შორის, ესაა ომი ზღვარდადებულ და ზღარდაუდებელ სიცოცხლეს შორის...

მე მჯერა ჩემი სიზმრების, ყოველთვის ვახერხებ ხელი ჩავჭიდო მათ. ჩემს სიზმრებში ჩემი სულის ოცნებებს და სურვლიებს ვხედავ, ჩემს სიზმრებში ჩემი სხეულის მისწრაფებებს ვეცნობი.

სულს უნდა იფრინოს, იგი მსოფლიო სულის ნაწილია და ღმერთიცაა, მას მხოლოდ ფრენა უნდა, ფრენა დაუსრულებლად, ფრენა გალაქტიკის გარშემო და სხვა არაფერი.

სხეული ცდილობს ამქვეყნიურ სიამეში ჩაეფლოს და სიამოვნების ზღვაში ჩაიბიროს.

სული სხეულს უშლის ხელს, სხეული კი სულს.

ორივე იტანჯება, ორივეს ტკივა და ვერ გადამიწყვეტია რომელი მოვკლა, რომლის არსებობას დავუსვა წერტილი...

ისევ მაღლა, ღრუბლებისკენ მივფრინავ, ორივე ხელში თოფი მიჭირავს, ერთს სხეულს ვუმიზნებ, მეორეს სულს და ვეღარ ვისვრი – არ ვიცი რომელს ვესროლო...

მე ხშირად მიფიქრია თვითმკვლელობაზე, ყველთვის მინდოდა ხელის მარტივი მოძრაობით ბოლო მომეღო ამ დაუმთავრებელი ომისთვის. მინდოდა სულიც და სხეულიც გამომეშვა საპყრობილედან...

მინდა ყველაფერს ბოლო მოვუღო, ვწყვეტ ფრენას. მე ხელები მოვიჭერი და ფრთებმოჭრილი, მძიმე ლოდივით მივექანები დედამიწისკენ...

მე უდაბნოში ოაზისი აღმოვაჩინე, ოაზისში ვარდი ვიპოვე...

ვარდო, ვარდო მშვენიერო რას დაბამარებ შენს წინარებთან? მე მათ მალე მოვეფერები.

მე ჩემი სული და ჩემი სხეული საპყრობილედან გამოვუშვი.

ცხოვრება მშვენიერია, მშვენიერია რასაც ვაკეთებთ.

ვარდო, ვარდო ხომ არ გეწყინება, რომ გაკოცო? დღეს ჩემი დაბადების დღეა...

# საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე*

**პროფ. ლევან სანიკიძე**

დასაწყისი №122, 123, 124, 125, 127, 128, 129, 130, 131

*ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია – გაზეთ "ილორის" რედაქცია.*

### კოლხეთს (საქართველოს) წარღვნამდელი ცივილიზაცია აქვს

კოლხეთს (საქართველოს) წარღვნამდელი ცივილიზაციის ხანგრძლივი პერიოდი აქვს გავლილი. 7 ათასი წლის წინანდელ (ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი) მსოფლიო წარღვნას (**"წყარ-ღვნა"**) ატლანტიდის დაღუპვას პლატონი უკავშირებს კოსმოსურ აფეთქებას და ეს გარკვეული თვალსაზრისით კოლხეთის მეფის ძმის – ფაეტონის (ფაეთონის) მითით ხსნის.

XIX საუკუნის ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი (ფილადელფიელი) მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში **"ლათინური ენის წარმოშობა"**, აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ამერიკაში, მაიას ტომში, ცივილიზაციამ ატლანტიდიდან შემოაღწია. **"მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული კოლხუას ტომის კულტურული მემკვიდრე"** (ვლადიმერ ალფენიძე, ქართველი მწერლის... ჟურნალი **"აია"**, 2002, №11).

იგნატიოს დონელი ამტკიცებს, რომ **"კოლხუას ერა დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე"**.

დონელის ცნობებს თუ გავიზიარებთ, გამოდის, რომ ქართულმა ტომებმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულეს – მაიას ტომს თავისი ალფაბეტი შეუდგინეს და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრეს ცენტრალურ ამერიკაში. დონელი ეყრდნობა და მის პირველ საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას (1524-1579) ხელნაწერი წიგნი **"მაიას ტომის ისტორია"**, რომელიც ინახება ესპანეთის სამეფოს ისტორიული აკადემიის წიგნსაცავში.

დიეგო დე ლანდა პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ამერიკაში, რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, **"მაიას ანბანი"** და ამ ანბანის წინასახე – **"კოლხური ანბანი"**.

დიეგო დე ლანდას ხელნაწერები პირველად შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბ. დე ბურბომ. მან საფუძვლიანად შეისწავლა **"კოლხუას"** ქართველურ ტომებსა და ანბანზე, **"კოლხუას ანბანზე" – "მაიას ანბანზე"** დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

ფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი ამბობს: **"ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს...**

**ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას".**

ან. მარტინი – ინგლისელი მეცნიერი – მიუთითებს: **"იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით, ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში".**

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა – ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფესორი ბრაიან საქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე, აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულნი (კავკასიაში მაშინ კოლხები ცხოვრობდნენ). მიტოქონდრიული გენი მართავდა და მართავს ადამიანის გენეტიკას.

ევროპის **"დის"** კლანიდან უძველესი და უმდიდრესია ქსენიზანას, ან ქართული მითოლოგიით **"დალის"** კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 ათასი წლის წინ და ბოლო გამყინვარებამდე გავრცელდა მთელს ევროპაში. ის თითქმის ორჯერ უფრო ძველია, ვიდრე მომდევნო ვალადას კლანი, რომელთა ასაკი 17 ათასი წელია.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ქსენია-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენელთა შორის. მეცნიერთა დასკვნით, ქსენიაზანა-დალის კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკაში გადასულა და იქაც დაფუძნებულა.

ვლადიმერ ალფენიძემ, 1999 წელს წამოაყენა დებულება, რომ ქართულმა ტომმა კოლხუამ, კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე, ამერიკა აღმოაჩინა და იქ ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა. სენსაციური დამთხვევაა, ის, რაც 2007 წელს დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა, მანამდე დიდი ხნით ადრე, თქვა ვლადიმერ ალფენიძემ. ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენით, კავკასია (კოლხეთი) მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპელთა რასა მუტაციის გზით კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ აქედან გავრცელებულა მთელ ევროპასა და ამერიკაში.

კოლხ-ლაზ-ჭანები მსოფლიოს უპირველესი ქვეყნის მაცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც შემდგომში წამყვან როლს ასრულებდნენ ძველი დროის მსოფლიო ისტორიაში, მათ დედამიწაზე პირველებმა საფუძველი ჩაუყარეს რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციას, კაცობრიობის წინსვლა-განვითარების შარა-გზას – კაცობრიობის ისტორია კოლხეთიდან იწყება.

### სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა (იეროთეოსმა) შექმნა

მწერალი, ჟურნალისტი, მკვლევარი ნოდარ დარახველიძე წერს **"სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა, ანუ იეროთეოსმა შექმნა"**, რომელშიც გადმოცემულია **"V საუკუნის ქართველი პოლიგლოტის (ენების მცოდნე), ეგზერტიკოსი, დამწერლობათმცოდნე, ასტრონომი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, კოლხური აკადემიის უკანასკნელი პატრიარქი, მითრიდატე ლაზის (შემდგომში – იოანე), აღმზრდელი, მოძღვარი და ნათლია იბერიის უფლისწულისა", იოანე ლაზის"** ერთგვარი ბიოგრაფია. (ნოდარ ხვედელიძე, **"სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა, ანუ იეროთეოსმა შექმნა"**, ჟურნალი **"აია"**, 1998, №1, გვ. 117).

მასალებიდან ჩანს, რომ კოლხური აკადემია 414 წლიდან 422 წლამდე ჯაილ ეგრისელის (მითრიდატე ლაზის) ხელმძღვანელობით მცხეთაში გადმოვიდა.

ჩანს, ის აღნიშნულ პერიოდში კოლხეთის აკადემიის მოძღვართმოძღვარი (რექტორი) იყო.

ბიზანტიური ორიენტაციის სწავლულმა პოლიტიკოსმა ქუჯი ეგრისელმა ბიზანტიასთან იბერიის და ალბანეთის დაახლოების მიზნით, 421 წელს, 52-ნიშნიანი ალბანური ანბანის შექმნა დაასრულა. **"428 წელს სომხეთში არშაკიდების დინასტია დაემხო. სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს სპარსეთი დაეპატრონა, დანარჩენს – ბიზანტია. სომხეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა. სომხეთისათვის უაღრესად მძიმე შეჭირვების ჟამს, 430 წლის 11 მაისს მითრიდატე ლაზმა თავის მოწაფე მარუან იბერიელთან ერთად კონსტანტინეპოლში სომხური ანბანის შექმნა წამოიწყო მოძღვართმოწაფემ".**

483 წელს მითრიდატე ლაზი და მარუან იბერიელი განსაკუთრებით საპატიო მიზნით – ბიზანტიის კეისრის თეოდოსი II-ის დავალებით, იმპერიის პროვინციებში (სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში) მიემგზავრებიან, დაზასთან ახლოს მაიუმში ააშენეს ეკლესია და იმავდროულად საფუძველი ჩაუყარეს ახალი მიმდინარეობის სკოლას, უფრო სწორედ, მითრიდატე ლაზისა და მარუან იბერიელის სახით კოლხურმა აკადემიამ ამჯერად მაიუმში გადაინაცვლა – გაგრძელა საქმიანობა.

445 წელს იოანე ლაზმა და პეტრე იბერიელმა (არეოპაგელმა) მაიუმში სომხური ანბანის შექმნა დაასრულეს. იმავე წელს ბიზანტიის დედოფლის ათენაიდაევდოკიას დახმარებით მაიუმში ჩავიდა პეტრე იბერიელის დედა, ქვრივი ბაკურდუხტ იბერიელი, რომელმაც სომხური ანბანი მცხეთაში ჩამოიტანა, აქედან კი 446 წელს სომხური ანბანი ქართულ-სომხური ინგრედიენტის მქონე ვარდან მამიკონიანების ოჯახს გადასცეს **(Гр. Капанцян. О взаимоотношении армянского и лазо-мен-грельского языков, Ереван; 1952;** ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე კარგი წიგნი აქვს გამოქვეყნებული: **Г.Б. Джаукян** (უძველესი სომხური გვარია) **_ Взаимоотношение индоевропеиских хуристско-урритского языков, 1967.)**

იოანე ლაზი გარდაიცვალა 464 წლის 4 ოქტომბერს. V საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს პეტრე იბერიელის მოწაფეს საქართველოში უნდა ჩამოეტანა პეტრე იბერიელის მიერ შეთხზული აგიოგრაფიული საკითხავი, ე.წ. მაშთოცზე – სომხური ანბანის შემოქმედზე, რომელიც მოგვიანებით სომეხმა მწერლებმა განავრცეს და გარდაქმნეს, მაგრამ მასში მაინც შემოინახა ე.წ. კორიუნის (პეტრე იბერიელის ფსევდონიმი) ძვირფასი ცნობა იმის თაობაზე, რომ ჯაილ V საუკუნის პირველ მეოთხედში ბაკურ იბერიელის (პეტრეს მამა) სამეფო კარზე მოღვაწეობდა. სომხური ანბანის შექმნის შემდეგ მითრიდატე ლაზმა სომხურ ენაზე სომხური ანბანის შექმნის შემდეგ მითრიდატე ლაზმა სომხურ ენაზე თარგმნა სახარება და დავითის ფსალმუნები, ეპისკოპოსმა აფოცმა და იაკობ ცურტაველმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სომხებს მამიკონიანის ოჯახის მეოხებით 36-ნიშნიანი ანბანის ათვისება არ გაძნელებიათ. (ნოდარ ხვედელიძე, **"სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა, ანუ იეროთეოსმა შექმნა"**, ჟურნალი **"აია"**, 1998, №1, გვ. 121).

გ. კაპანციანს მოხმობილი აქვს მეგრული და სომხური სიტყვების ურთიერთდამთხვევის მრავალიმაგალითი, გარკვევით ამბობს, რომ სომხურ და, საერთოდ, ქართულ ენას შორის, კერძოდ მის დასავლურ დიალექტებთან კავშირი უძველესი დროიდან არსებობს, შესაძლებელია, ჩვენს ერამდე ათასხუთასი წლით ადრეცო (გვ.3).

გრ. კაპანციანი აღნიშნავს ზუსტი თანადამთხვევის ასეთ მაგალითებს ლაზ-მეგრული dadi(დადი) – ეგრულად ბებია და babu (ბაბუ) – მეგრულად ბაბუ – შეესაბამება სომხური სიტყვები (გვ. 32) და მიუთითებს ვითომ სომხურიდან მეგრულ ნასესხებ სიტყვებში უნდა შევნიშნოთ, რომ მრავალი ათასი წლის წინ, როდესაც კოლხები და კოლხური ენა მოდებული იყო ჩვენი სამყაროს უდიდეს ნაწილს, ცნება **"სომეხი"** არ არსებობდა და, მაშასადამე, არც სომხური ენა იყო. კიდევ მეტი: არც ჰეროდოტე ახსენებს სომხებს – იმ პერიოდში, ჯერ კიდევ, არ იყო სომხური სახელმწიფო.

ასე, რომ კოლხურ (მეგრულ-ლაზურ-ჭანურ) ენას სომხურიდან (ჯერ კიდევ არარსებულიდან) რაიმეს სესხება არ შეეძლო. რა თქმა უნდა, ენები ერთმანეთს ამდიდრებენ, მაგრამ მეგრულ-ლაზურ ენას სომხურიდან სთითქმის არაფერი უსესხებია.

**კლიმენტი შელია,**
**აკადემიკოსი**
**(გაგრძელება იქნება)**

---

## საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი კომისია საბოლოოდ დაკომპლექტდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ეს იყო მეორე სამუშაო შეხვედრა.

**„პირველ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ოთხი კომისია. დღევანდელ შეხვედრაზე დავამტკიცეთ კომისიის წევრები. შევთანხმდით, რომ ერთად შევიმუშავებთ დებულებებს. დებულებას მთავრობა სექტემბრის დასაწყისში დაამტკიცებს, ხოლო 15 სექტემბერს ოთხივე კომისიის შეხვედრები ჩატარდება. დარწმუნებული ვარ, ამ კომისიების მუშაობა ძალიან შედეგიანი იქნება“,** – აღნიშნა პრემიერმა გილაურმა. როგორც ცნობილია, საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის პირველი შეხვედრა მიმდინარე წლის 19 ივლისს გაიმართა. კომისიას კოორდინირებას ნიკა გილაური უწევს. კომისია სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს. კერძოდ: ქართული ეკლესიის სტატუსი საერთაშორისო არენაზე და საზღვარგარეთ; ქონების განსაზღვრა; შენობა-ნაგებობებისა და კულტურული ძეგლების განსაზღვრა და მონიტორინგი.

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გმობს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლას

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო აცხადებს ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს:

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოსთვის ცნობილი გახდა, რომ ბოლო დღეებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებენ ზეწოლას ჟურნალისტებზე და ხელს უშლიან მათ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტს მანანა ქველიაშვილს სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფით დაემუქრა დუშეთის რაიონის საკრებულოს წევრი ზურაბ ოტიაშვილი. დაპატიმრებისა და ოჯახის წევრების მიმართ დევნის მუქარით ცენტრის რამდენიმე ადგილობრივმა თანამშრომელმა დატოვა სამუშაო ადგილი;

ამავე ცენტრის თანამშრომლებმა ორი თვის განმავლობაში 20-ჯერ მიმართეს ადგილობრივ საჯარო დაწესებულებებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით. დღემდე არცერთ მათგანზე პასუხი არ მიუღიათ, ხოლო გამგეობისა და საკრებულოს შენობის დაცვის უფროსმა ჟურნალისტები შენობაში არ შეუშვა და მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა;

გაზეთ **„გურია ნიუსის“** ჟურნალისტებს – შორენა ლლონტსა და გიორგი გირკელიძეს – პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდა სამი პოლიციელი, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გიგა ჯაფარიძე. მათ ჟურნალისტებს ფოტოაპარატიდან წაუშალეს ფოტოები, რომლებიც სამხარეო სამმართველოს შენობის წინ გადაიღეს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო საჯარო მოხელეების მხრიდან აღნიშნულ ქმედებებს ჟურნალისტებსა და გამოცემების სარედაქციო დამოუკიდებლობაზე ზეწოლად აფასებს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო გმობს ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის ტენდენციას და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება განცხადებაში მოყვანილ ფაქტებზე.

# ვინ არის დღეს საქართველოში ერთერთი რუსი, რომელიც ქართულ გვარზე დაეწერა და მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებზე გამარჯვება საქართველოს აჩუქა

*როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე წარსულში საუბრობენ, საქართველოს მოსახლეობიდან, ალბათ, ძალიან ცოტამ იცის, რომ საქართველოში ცხოვრობს ეროვნებით რუსი ქალბატონი, ქართველების რძალი, რომელიც საქართველოს სახელით ათი წლის განმავლობაში გამოდიოდა მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე და ჩვენს ქვეყანას არაერთი გამარჯვება აჩუქა.*

*თბილისში მცხოვრებ ცოლ-ქმარს რევაზ და გალინა შარაბიძეებს, აგვისტოში ქორწინებიდან 60 წელი უსრულდებათ... რევაზ შარაბიძე ამერკავკასიის ჩემპიონია, 1951 წლიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო სპორტულ ტანვარჯიშში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი ცალკეულ იარაღებზე. გალინა შარაბიძე კი გახლავთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დვირზე ვარჯიშში, ოლიმპიური ჩემპიონი 1952 წელს, მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში 1954 წელს. ასევე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენი, ღირსების ორდენი. მრავალგზის მონაწილეა საერთაშორისო შეჯიბრებებზე. არის ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლების მფლობელი ოლიმპიურ თამაშებში ბჯენით ხტომებში...*

**რევაზ შარაბიძე**: ერთმანეთი 1949 წელს გავიცანით ხარკოვში, **"დინამოს"** საკავშირო პირველობაზე. ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 1952 წელს, ხელი მოსკოვში მოვაწერეთ. გალინა მოსკოველი გახლავთ და ამიტომ, ქორწილი მოსკოვშიც გვქონდა და თბილისშიც. გალინა 1952 წლიდან საქართველოში ცხოვრობს და მეუღლისა და საქართველოს პატივსაცემად ოლიმპიურ და მსოფლიო შეჯიბრებებზე საქართველოს სახელით, შარაბიძის გვარით გამოდიოდა.

**გალინა შარაბიძე** (ქალიშვილობის გვარი **– მინაბჩევა**): რადგან ამდენი წელია, საქართველოში ვცხოვრობ, თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველო ძალიან მიყვარს და ამ ქვეყნით კმაყოფილი ვარ.

**– რა განცდა გქონდათ, როცა შეჯიბრებებზე საქართველოს სახელით გამოდიოდით?**

– დიდი სიხარულის... მხოლოდ მე ვარ საქართველოში ეროვნებით რუსი რძალი, რომელიც საქართველოს სახელით გამოვდიოდი შეჯიბრებებზე.

**– თქვენ ძირძველი მოსკოველი ხართ, ჩვენი თბილისი მასთან შედარებით დიდ პროვინციად ხომ არ გეჩვენებოდათ ხოლმე?**

– თავიდან, დაგეთანხმებით, ნამდვილად ასე იყო, ახლა კი, ის ვეღარ წარმომიდგენია, მოსკოვში როგორ უნდა ვიცხოვრო. აქ ორი უმაღლესი დავამთავრე: ფიზკულტურის ინსტიტუტი და უცხო ენათა ინსტიტუტი – გერმანული ენის ფაკულტეტი. ქართული წერა და კითხვა ორ თვეში ვისწავლე, ყველაფერი მესმის, მაგრამ საუბრის მერიდება. მხოლოდ ბაზარში ვლაპარაკობ ქართულად.

**– რამდენი წელია, მოსკოვში არ ყოფილხართ?**

– რაც დაიძაბა სიტუაცია, მას შემდეგ. ჩემი ძმა, დეიდა, დეიდაშვილები და ნათესავები ძალიან მენატრება. მოსკოვში რომ ვერ ჩავდივარ, ამაზე გული არ მწყდება, მაგრამ **"პოდმისკოვიე"** მენატრება, მთელი ნათესაობა იქ ვიყრიდით ხოლმე თავს.

**– მგონი რუსეთის პოლიტიკაზე თქვენც ნაწყენი ჩანხართ...**

– რა თქმა უნდა! საშინელი ვითარებაა და ისიც აშკარაა, რომ ეს ყველაფერი დიდხანს გაგრძელდება – ვიდრე ერთმანეთის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება იქნება.

– საქართველოში ალბათ კარგი სამეგობრო წრეც გყავდათ...

**რევაზ შარაბიძე**: ამ მხრივ მართლაც გაგვიმართლა. ოჯახებით ვმეგობრობდით სპორტული სამყაროს წარმომადგენლებთან, – გივი კარტოზიასთან, ჯუმბერ (ჯიბილო) ნიჟარაძესთან, რომლის მეუღლეც იყო პაოლო იაშვილის ქალიშვილი – მედეა იაშვილი, ნოდარ ჯორჯიკია, მზია ჯუღელი, ავთო ჭკუასელი... კომპოზიტორები რევაზ ლადიძე, გოგი ცაბაძე, ბიძინა კვერნაძე... მსახიობები ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, რეზო თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე... იოსელიანების ოჯახთანაც ასევე ოჯახით ვმეგობრობდით, მათი შვილის ნათლიაც გახლავარ...

**– ლეგენდარული ხალხი ჩამოთვალეთ. რადგან ერთმანეთის ოჯახებში ხშირად იკრიბებოდით, არაერთი დაუვიწყარი მოგონებაც გექნებათ...**

– ყველას დიდი სიყვარულით, სითბოთი და პატივისცემით ვიხსენებთ... ერთხელაც ეროსი მანჯგალაძესთან უნდა გვევახშმა ოჯახში და საყიდლებზე მე მივდიოდი ბაზარში. ეროსის ვთხოვე, საღამოს დროულად მოსულიყო, მაგრამ მიპასუხა, რომ ვერ შეძლებდა, რადგან იმ დღეს სპექტაკლი **"პეპო"** უნდა ეთამაშა. ამის თქმაზე მივუგე, **"ცოცხალს"** აღარ ვიყიდი, თევზი შენ წამოიღე-მეთქი (პეპო ხომ მეთევზე იყო)... ერთხელ გივი კარტოზიას მოწვევით მოჭიდავეები გვესტუმრნენ. მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა რომ შემოვიდა, ბიძინა კვერნაძემ მკითხა, ვინ არისო. რომ ვუთხარი, ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა-მეთქი, გადაირია, – ეს კატების ჩემპიონიო?! – მას ეგონა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი აუცილებლად შესახედავადაც ბუმბერაზი უნდა ყოფილიყო. რეზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე ულამაზესი წყვილი იყო. ერთხელ, წყნეთში ვიყავით სტუმრად და მსუყე ვახშმის შემდეგ, მედეა ჯაფარიძემ უარი თქვა მანქანით წამოსულიყო. მე და მედეა წყნეთიდან ბაგებამდე სირბილით ჩამოვედით.

**გალინა შარაბიძე**: მე ყველაზე ახლოს მედეა ჯაფარიძესა და მედეა იაშვილთან ვიყავი. ეს ორი მედიკო ერთმანეთთან ძალიან ახლობლობდნენ. მე და მედეა იაშვილი შვილებით ერთად ვისვენებდით ბათუმსა და ლესელიძეში.

**– საქართველოში აგრესიული დამოკიდებულება თუ გიგრძვნიათ როდისმე?**

– არასოდეს, მხოლოდ დიდ სიყვარულს ვგრძნობდი მეზობლებისგან, ნათესავებისგან, სამეგობროსგან, სპორტული წრისგან, ნათესავებისაგან. საქართველოს სახელით ათი წელი გამოვდიოდი და მადლიერების ნიშნად ორდენები მივიღე. ოლიმპიურ კომიტეტს ძალიან პატრონობდა ბადრი პატარკაციშვილი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მსახიობებთან ერთად, დიდ ყურადღებას გვაქცევს ბიძინა ივანიშვილი.

**– ქართულად ლაპარაკს დღემდე ერიდებით, აქაური სამზარეულო როგორ შეისწავლეთ?**

– ქართული კერძები საუკეთესოდ გამომდის. უკვე, ძალიან დიდი ხანია, ვამზადებ საცივს, ხაჭაპურს... რაც ჩემი დედამთილი გარდაიცვალა, სულ მე მიწევს სამზარეულოში ტრიალი.

**– მალე თქვენს ოჯახს 60 წელი შეუსრულდება. აღნიშნავთ ამ თარიღს?**

– დიახ, ერთად ყოფნის 60 წელი ახლა გვისრულდება და, თუ კარგად ვიქნებით, ამ თარიღს აუცილებლად აღვნიშნავთ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მეგობარი დავკარგეთ, მაგრამ ვინც კი გვყავს დარჩენილი, ყველას მოვიწვევთ.

**კატო ჟღენტი,**
**ჟურნალი "თბილისელები", №31 (553), 1-7 აგვისტო, 2011 წელი.**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: ვულოცავთ ქალბატონ გალინას და ბატონ რევაზს ოჯახურ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. მართლაც რომ სამაგალითოა მათი ცხოვრების წესი და განვლილი გზა და იმედია, ამით არ დამთავრდება ორი მოძმე ხალხის მშვიდობიანი და აღმშენებლობითი თანაცხოვრება. ქართულ რუსული შერეული ოჯახების ისტორიის გადმოცემისას მაქსიმალურად ვერიდებით თემის პოლიტიზირებას, მაგრამ არაფერი გამოგვდის, რადგან სწორედ მავანთა ბინძური პოლიტიკის შედეგად გვაქციეს დღეს ქართველები და რუსები ლამის ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად, და რაც ყველაზე დამაფიქრებელია, არაფერი კეთდება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დასათბობად.**

**უფრო მეტიც, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გამოისობით რუსეთთან კვლავაც შენარჩუნებულია დაძაბული ურთიერთობა და საქმის გამოკეთებას პირი არ უჩანს, რაც ხელს უშლის როგორც ორ ქვეყანას შორის სიტუაციის დარეგულირებას, ასევე საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პროცესების რეალიზებას.**

**ამის შემყურეს, კიდევ ერთხელ გიჩნდება იმის საფუძვლიანი ეჭვი, რომ მართლაც არსებობს "სომხეთის რუსეთი", რომელიც სააკაშვილისა და მისი სომხური გუნდის ინიციატივით შეიქმნა რუსეთში მას შემდეგ, რაც მათ ყველაფერი გააკეთეს "საქართველოს რუსეთის" შესასუსტებლად, თუმცა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს მისი საბოლოოდ მოშთობა.**

**ძალიან ძნელია გაოცება დამალო რუსი პოლიტიკოსების განცხადებების შემდეგ, როცა ისინი გულწრფელად საუბრობენ ქართველი ხალხის თავისუფალი არჩევნის თაობაზე და იმედოვნებს, რომ რუსეთ-საქართველოს დიალოგი შეიძლება მხოლოდ აღსდგეს მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი სააკაშვილს გადაირჩევს და მის ადგილს სხვა პრეზიდენტი დაიჭერს. ნაკლებ სარწმუნოა, რომ მათ არ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ თავხედურად აყალბებენ არჩევნებს "ნაციონალები" და მათი ბელადი სააკაშვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ "ნაციონალებისა" და მათი "ბელადის" ხელში რუსულ-ქართული დიალოგი აღარასოდეს აღარ აღსდგება და კონფლიქტური ზონების მწარე რეალობა სამუდამოდ შეუხორცებელ ჭრილობად შერჩება საქართველოს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, სრულიად უადგილოა საუბარი რაიმე ურთიერთსიმპათიის არსებობაზე!**

**ასევე გულსატკენია ხისტი პოზიცია იმაზე, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური პოზიცია კი აღდგება და უამრავ საკითხზე მოვილაპარაკებთ, გარდა იმისა, რაზედაც ჩვენ უკვე საკუთარი პოზიცია გაგვაჩნიაო. ეს აპრიორი არასოდეს, საქართველოს სათავეში არცერთი პრეზიდენტის ყოფნის შემთხვევაში არ იქნება მისაღები ქართული მხარისათვის.**

**ასევე მიუღებელია ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები სუფთა ფურცლით უნდა დაიწყოსო. ჩვენი ურთიერთობები საუკუნეებს მითვლიან და ამ პერიოდს ამშვენებენ ალექსანდრე ბატონიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, იოსებ სტალინის და რუსეთში მოღვაწე ბევრი ქართველი პატრიოტის მადლიანი საქმეები, რომლის დავიწყება არ შეუძლია არც ქართველ და არც რუს ხალხს. ჩვენი ერთობლივი მატიანის ფურცლება არასდროს გადასხმია ღალატისა და სიბინძურის მელანი და ამიტომ, ახალი ფურცლიდან კი არ უნდა დავიწყოთ ერთობლივი ისტორია, არამედ უნდა გავაგრძელოთ იმ სუფთა ეტრატებზე მუშაობა, რომელიც შეურყვნელად შემოგვინახა ისტორიამ.**

**ეჭვსგარეშეა, რომ ეს კარგად იციან როგორც ქართველებმა, ისე რუსებმა!**

**სწორედ ამიტომ, იმედისმომცემია ვლადიმერ პუტინის შარშანდელი განცხადება, რომელიც მან გააკეთა ცნობილი რუსი პოლიტიკური მოღვაწის ევგენი პორიმაკოვის იუბილეზე: "არავინ იფიქროს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრის გზა აღარ არსებობსო"!**

**არავის შეგვპარვია ეჭვი პუტინის ამ სიტყვების სიწრფელეში, რადგან ამის თქმა მისთვის არავის დაუძალებია, და, თანაც, ვლადიმერ პუტინი არ გახლავთ ის პიროვნება, რამე რომ ვინმეს დაძალებით თქვას! ასე რომ, კიდევ არსებობს "საქართველოს რუსეთის" აღორძინების იმედი.**

**ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს იმედი!**

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი**

# ზურაბ კვარაცხელია: „საქართველოს ახლაც სჭირდება ცოტნესნაირი რაინდები"

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ლადო ქირია ზუგდიდიდან გვატყობინებს, მიმდინარე წლის 12 აგვისტოს სამეგრელოში – ხობის რაიონში **„ცოტნეობა"** აღინიშნა. **„კაცი კეთილი და სრული სადმოოთა და საკაცობოთა, პატიოსანი და სათნოებიანი, ბრძოლათა შინა სახელოვანი"**, – ასე დაახასიათა უამთააღმწერელმა შუა საუკუნეების საქართველოს ეროვნული გმირი ცოტნე დადიანი, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ ძალთა შეკავშირების სიმბოლო, რომელიც 1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

**„ცოტნეობის"** აღნიშვნას საფუძველი ხობში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა საქართველოს კომპარტიის ხობის მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის, ამჟამად **„ფაზისის"** საერო აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ბატონ ნადარაიას ხელმძღვანელობით. **„სრულიად ახალგაზრდა, 29 წლის, 1975 წლის 13 აგვისტოს დამნიშნეს ხობის რაიკომის პირველ მდივნად, შემოდგომაზე ჩემთან მოვიდნენ ხობელები და ითხოვდნენ დახმარებას, რათა ხობში აღნიშნულიყო „ცოტნეობა". ცოტნე გაიგივებულია ხობთან და მეც აღვასრულე მათი ნება და აქედან მოყოლებული, ხობში ყოველწლიურად აღინიშნება კოლხი რაინდის, ეროვნული გმირის, წმინდანად შერაცხილი ცოტნე დადიანის საერო-საეკლესიო დღესასწაული. ამ ღონისძიებას აუცილებლად სჭირდება ხელის შეწყობა, აკლია მასშტაბურობა. ხომ ხედავთ, რომ ძალიან მოკრძალებულად ტარდება. ადრე ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა ხობში..."** – აღნიშნა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, რომელმაც ხობიდან ფოთში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ და ქალაქის მერობის პერიოდში სამეგრელოს მოედანზე ცოტნე დადიანს შესანიშნავი ძეგლი დაუდგა.

სამწუხაროა, რომ საქართველოს შემოსეულმა მანქურთებმა რამდენჯერმე დააყენეს ეჭვის ქვეშ ცოტნეს განუმეორებელი გმირობა და თავდადება, ზოგიერთი სულბინძური **„პოეტი"** კი შეეცადა ლაფში ამოეთხვარა ცოტნეს სახელი და დიდება. მაგრამ, როგორც ამბობენ, **„მუმლი მუხას ვერაფერს დააკლებს"!**

**„ცოტნეობის"** დღესასწაულს ესწრებოდნენ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" წარმომადგენლებიც. **„ცოტნე დადიანი არის ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც შთამომავლობას გმირობისა და ერთგულების მაგალითი მისცა. ის მე-13 საუკუნეში მოღვაწეობდა, როდესაც საქართველო მძიმე განსაცდელის წინაშე იდგა. ამჟამადაც არანაკლებ რთული და მძიმე ვითარებაა საქართველოში, ამიტომაც ქვეყანას ახლაც სჭირდება ცოტნესნაირი რაინდები, რათა დაიხსნან და გამოიყვანონ საქართველო ამ კოშმარული მდგომარეობიდან"**, – განაცხადა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ზურაბ კვარაცხელიამ.**

უნდა აღინიშნოს, რომ **„ცოტნეობის"** დღესასწაულს არ ესწრებოდნენ სამეგრელოს მაღალჩინოსნები – სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია, მისი მოადგილეები და სამეგრელოს რაიონების გამგებლები.

**საქინფორმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდანები არასოდეს გვჭოვებენ...

დიდი ხანი ელოდა ქართველი საზოგადოება ამ წიგნს, და იგი მოვიდა მაშინ, როცა მანქურთების გადამკიდე ქართულ ეკლესიას ძალიან უჭირს პირწავარდნილ სომეხ მიხეილ სააკაშვილსა და მის მონოფიზიტურ ხელისუფლებასთან გამკლავება, რადგან მათი რელიგიური დანიშნულება მათი წმინდანის ოსეფ IV-საგან დაწყებული მართლმადიდებლობის მოსპობაა, საქართველო კი, დღეს, მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთ-ერთ შეურყეველ ციტადელადაა მიჩნეული!

ასე იყო საქართველოში ქრისტიანობის დავანებიდან და ასე იქნება აწ და მარადის!

მასონმა ბოლშევიკებმა ძალიან კარგად იცოდნენ, თუ როგორ უნდა ამოეშანთათ მართლმადიდებლობა და დაპატიმრებულ ქართველ საეკლესიო მოძღვრებს სომეხ გამომძიებლებს უნიშნავდნენ. ეს ეშმაკურად გათვლილი ფანდი გახლდათ, რადგან სომეხი მონოფიზიტი გამომძიებლები კლასობრივადაც დაპირისპირებული იყვნენ ქართველ სულიერ მამებთან და რელიგიურადაც. ამიტომაც უმტვრევდნენ ძვლებს დიდი სიამოვნებით მოხუც მოძღვრებს და ხალისით გაჰყავდათ ნაწამები მღვდლები ეშაფოტზე. მაგრამ, მაინც ჩაუშხამდათ ზეიმი, რადგან დამარცხდნენ მაშინ, როცა თავი გამარჯვებული ეგონათ. დამარცხებაზე მწარე იყო მათთვის წამებისაგან მისავათებული მოხუცი მღვდელმთავრის ამბროსი ხელაიას გრგვინვად ამოხეთქილი სიტყვები:

**“სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – სამშობლოს, ეს მძორი კი, თქვენთვის მომიგდია, არაკაცებო! ჯიჯგნეთ, როგორც გსურდეთ!”**

ამბროსი ხელაიას არავისი გმირობა არ გაუმეორებია, მან თავისი გმირობა ჩაიდინა და სულიერი შემართებისა და რწმენის სიყვარულის უმაგალითო ნიმუში დაგვიტოვა.

დღეს, როცა ძალიან უჭირს საქართველოს და ქართულ ეკლესიას, ამბროსი ხელაია კვლავ ჩვენთანაა და გვასწავლის, თუ როგორ დავამარცხოთ ქართულ სულსა და სხეულს შესეული აფთრები!

დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ ნანატრი წიგნის ავტორს, ბატონ **ბორის დავითაიას** ქართული სულის აღორძინებისათვის!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“ფაზისის” აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

## “ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

(იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახულია აღნიშნული ნაწარმოების ცალკე წიგნად გამოცემა, იგი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

**პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

***„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.***

### წინათქმის სანაცვლოდ

როცა სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის, კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ავტობიოგრაფიული ნაწრომის შექმნა გადავწყვიტე, გონების ჭოგრიტით ერის წარსულს გადავავლე თვალი. ქართველთა გაქრისტიანებიდან მოყოლებული დღემდე განვლილი წინააღმდეგობებით აღსავსე მშფოთვარე გზას, შევიგრძენი ჭეშმარიტება, რომ ყოველ დროს თავისი ზნეობრივი გმირი ჰყავდა. თუ არ გამოიკვეთებოდა ამგვარი პიროვნება, საზოგადოება ქმნიდა მას.

მადლობა უფალს, საქართველოს მუდამ ჰყავდა ერისათვის თავდადებული ადამიანები, ამიტომ მათი შეთხზვა, გამოგონება საჭირო არ გამხდარა. ივერთ მხარე გმირთა სავანეა. ის ცეცხლოვანი ბრძმედია, სადაც სულით წმინდა და მამაცი ადამიანების გამოქანდაკება ბუნებრივი პროცესით ხდება.

ქართველთა ბედი ისე აეწყო, რომ მტერი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრით ცდილობდა. ამიტომ რწმენა ქართველთათვის თავისუფლების და ეროვნული სახის შენარჩუნების სიმბოლოდ იქცა.

მგონია ერის მამის – ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობის შემდგომ, ყველაზე წამებული გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. განგებამ მას ურთულეს პერიოდში დააკისრა მძიმე მისია. სულით ღმერთთან მყოფს და გულით ერისკაცს, სიცოცხლე ზვარაკად სამშობლოს სამსხვერპლოზე მიეტანა.

საქართველოს წმინდანთა ცხოვრება გაჯერებულია სარწმუნოებისა და მამულისადმი ერთგულებითა და თავდადების მაგალითებით.

თედორე მღვდლის, გიორგი მთაწმინდელის, პეტრე იბერის, კირონ II-ისა და უამრავ სხვათა სიბრძნე და სიმამაცე გვარწმუნებს ამაში.

მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მამათავრის, უწმინდესისა და უნეტარესის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრება და საქმიანობა არის ერის ღირსებისათვის წამებულ ადამიანის ხატება. მან იღვაწა არა მხოლოდ სულიერი კანონებით, არამედ მოცემულ ეპოქაში ღირსეულად ატარა პატრიარქის მანტია, ამასთან არ ჩაიკეტა ეკლესიურ ცხოვრებაში და ერის ჭეშმარიტ შვილებთან ერთად დადგა მამულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

მაშინ, როცა ცარიზმმა დაპიყრო საქართველო, ქართული ენა გახდა მოსახლეობის ერთი ფენისთვის უკადრისი, მას დაემუქრა გაქრობის საშიშროება, მისმა უწმინდესობამ სამოციანელთა კვალდაკვალ აღიმაღლა ხმა და ენერგიულად იწყო მოზარდებისათვის სამშობლოს ისტორიისა და ლიტერატურის სწავლება. აქვეყნებდა ცარიზმის პოლიტიკის მამხილებელ წერილებს. თავგამოდებით გმობდა იმპერიულ შოვინიზმს. ქვეყნის ბედზე მოფიქრალ ადამიანებთან ერთად იბრძოდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

ამბროსი აღმსარებელი არ დარჩენილა ვალში ქართული კულტურის წინაშე. მის მიერ აღმოჩენილ და მეცნიერულად დამუშავებულ იქნა **„ჭელიშის სამთავი“** ანუ ჭელიშის ვარიანტი **„ქართლის მოქცევისა“.**

როცა დადგა ახალი საშიშროების ჟამი, არ შედრკა კომუნისტური ტერორის წინაშე. თამამად გაუსწორა თვალი ავ ბედისწერას და როცა შეეძლო მშვიდად ეცხოვრა, არ იკადრა მიტმასნილთა დამცირებული ხვედრი გაეზიარებინა. მან უპირველესმა აღმართა პროტესტის ჯვარი და სავსებით შეგნებულად შეუდგა გოლგოთის გზას.

ცხადია მისი სულიერი მრწამსი შეუთავსებელი შეიქნა იმჟამინდელი ყოფისათვის, რამაც შვა წინააღმდეგობის ვულკანი. ეს ვულკანი შმაგი ძალით ეკვეთა წითელი ბურჟუაზიის უხეშ ჯებირს და თუ ვერ გაანგრია, მოარყია ის, ანუ შვა შემდგომი ვულკანური ბიძგები. ამით მოგვცა მაგალითი, როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი.

**„იგი არ იყო ცალმხრივი, ეკლესიური მოღვაწე მონასტრული ბერის ტიპისა, დიდი მორწმუნე და სასოებიანი. იგი ამავე დროს თვალსაჩინო პოლიტიკურ ინტერესებსაც იჩენდა. განსაკუთრებით შესახებ საქართველოს საქმეთა. მთელი მისი ცხოვრება ამ ორი მცნების მქონე იყო და ეს მას ისე ჰარმონიულად შესისხლხორცებული ჰქონდა, რომ მას არასდროს უგრძვნია ჰაზრთა და გრძნობათა გაორება“** – წერენ მასზედ.

ამ ქვეყნად ნაკლებად მოიძებნება პიროვნება, რომელიც გულგრილი იყოს საკუთარი ცხოვრებისადმი, განსაკუთრებით კი სიცოცხლისადმი. ამბროსი ხელაიამ დასძლია ეს შიში და ძრწოლა სამშობლოს ერთგულების გამო.

არ მიმაჩნია მართებულად თავდადებული, მამაცი წინაპრების საერო და სასულიერო მოღვაწეობად დაყოფაა. თვითეული მათგანი ერის ღვიძლი შვილია, ერთი სულიერი და ფიზიკური ჯაჭვით შეკრულ-შედუღაბებული. ამიტომ გავბედე ამბროსი ხელაიას პიროვნება აღმექვა, როგორც ერისკაცისა და ვეცადე შემექმნა ავტობიოგრაფიული რომანის სტილის ნაშრომი.

ძვირფასმა მკითხველმა იქნება ისტორიულ მოვლენათა აღწერის სიჭარბე იგრძნოს. ასე წინასწარ განზრახვით მოვიქეცი, რომ მეჩვენებინა ბედკრული ეპოქა, რომელმაც სანთელივით ჩამოქნა ამბროსის პიროვნება.

წამებული პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უახლეს ათწლეულში საკმაოდ დაიწერა. გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები, რომელთა ავტორებმა მანამდე გასაიდუმლოებული ცნობები ფართე საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახადა.

არა მხოლოდ საარქივო მასალები იყო ტაბუდადებული. კათოლიკოსის საფლავი სიონში წარწერის ღირსიც არ ჰყვეს.

იდევნებოდნენ წმინდა ამბროსის ნათესავები და ახლობლები. ცნობების სიმწირის გამო გამოქვეყნებულ მასალებში გაიპარა ბევრი უზუსტობანი.

ფართე საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია სულიწმინდის მშობლებისა და შთამომავლების ბედი.

ერთად თავმოყრილი არ არის ის გამოკვლევები და შეხედულებები, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა.

ყოველივე ამან, ღვთის შემწეობით გამაბედინა გამეწია მოკრძალებული შრომა და ფაქიზი სულის მკითხველისათვის შემეთავაზებინა ერთად თავმოყრილი და შესაძლებლობის ფარგლებში დაზუსტებული მასალა პარტიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

წინამდებარე წიგნს მწერლური წარმოსახვაც ავსებს. მივიჩნიე, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. თუმცაღა შევეცადე მითოსურ-მისტიურობისაგან თავი შემეკავებინა. უფრო ისტორიულ წყაროებსა და ნათესავთა მოგონებებს დავეყრდენი. შემდეგ ერთად გავათბე ჩემს უბეში და შევთავაზე მკითხველს.

მადლობა მინდა მოვახსენო პროფესორ სანდრო ვარდოსანიძეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევის, საარქივო მასალების მოძიებისა და გამოქვეყნებისათვის. მეცნიერ – ჯემალ გამახარიას, აფხაზეთში ამბროსის მოღვაწეობის სრულფასოვანი გამოკვლევისათვის. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელს პროფესორ მიხეილ ქავთარიას – ამბროსის რაჭალეჩხუმში მოღვაწეობის მასალების დამუშავებისათვის. ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილ დირექტორს ზაზა აბაშიძეს ყაზნიდან ამბროსის საკანდიდატო ნაშრომის ასლის ჩამოტანისთვის. სამხატვრო აკადემიის რექტორს გია ბუღაძეს პატრიარქი ამბროსის ფერწერული ხატის შექმნისათვის. თბილისის წმინდა ამბროსის სახელობის ტაძრის მოძღვართ. ამბროსი ხელაიას შვილთაშვილს ანი კლდიაშვილს საინტერესო ფაქტების მოწოდებისათვის.

### მარტვილის საკათედრო ტაძარი. ბავშვობა

ჭოტივით წიოდა ზღვიდან ამოვარდნილი დასავლეთის ქარი. ფიცრული სახლის კედლებსა და ფანჯრებს უმოწყალოდ წუწავდა კოხი.

უკუნში ელვის ცეცხლოვანი ენა გაკვეთდა სიბნელეს, წამიერად განათდებოდა უბადრუკ არემარეს და ისევ წკვარამი დაისადგურებდა.

ელვას, ელვა მოსდევდა, დამზრალი ნესტიანი მიწა გამოჩნდებოდა. გამოილანდებოდა გაწუწული ხეები, ორღობეებს იქით თივისა და ჩალის ახლადაზვინული გროვები.

სიბნელე, ელვა და გრუხუნი ცვლიდა ერთურთს. იცის ასე შემოდგომის პირას სამეგრელოში.

თითქოს გაავებული ზეცა ეთამაშება დედამიწას.

შვიდი ოქტომბერი თენდებოდა.

მღვდელი ზოსიმე მარიამ ღვთისმშობლის ხატთან დაჩოქილი, მშობიარის ლოცვას ამბობდა.

გვერდით ოთახში დედფანია მაკრინე და მეზობლის ქალი მის მეუღლეს მოლოგინებაში შველოდნენ.

ბუნება ისევ გიჟობდა. გაუხედნავი ულაყივით აიწყვეტდა, თითქოს ფლოქვების თქარუნითა და ფრუტუნით აყრუებდა არემარეს.

ფანჯარასთან დაიწივლებდა, შეანჯღრევდა, შეაქანებდა ჯარგვალს, შემდეგ წამიერად შეისვენებდა, მერე ისევ აძალიანდებოდა, გაანჩხლებული შემოუტევდა და ცეცხლოვანი ზოლების კვეთა და გრუხუნი აყრუებდა სოფელ ინჩხირს.

ალიონზედ თქეშმა გადაიღო. მხოლოდ ზღვაური სისინებდა. ბუნება თანდათან დამშვიდდა. ეს კეთილად ენიშნა ზოსიმე მღვდელს, იგი მალი-მალ იმეორებდა სიტყვებს **„წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“.**

ღრუბლები ქარმა გარეკა, და აქა-იქ ცაზე ვარსკვლავები დასხდნენ. სადღაც შორიდან მოისმოდა გრუხუნის ხმა.

კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი. შემობრუნდა რომ ყური მიეგდო გვერდით ოთახში ქალების მოძრაობა-საუბრისათვის, რომ დედფანიამ წამოიძახა:

**„– ბიჭია, ეს დალოცვილი ბიჭი!“**

და აჩხავლდა ჩვილი.

კარს იქეთ მდგომი ზოსიმე ისევ ხატისკენ შეტრიალდა. მადლობა მოახსენა უფალს, რომ მესამე შვილის მამა გახდა.

სად იყო და სად არა, ოთახში ზოსიმეს ძმა შემოფეთდა, რომ გაიგო ბიჭი დაიბადაო, კედლიდან ყირიმი ჩამოხსნა, აივანზე გავიდა და იქუხა ზეცისკენ მაჭახელამ.

დაფეთებულივით აღავდავდნენ სოფლის ძაღლები.

თოფი დაუშვა ძმამ, მაგრამ ზოსიმეს თვალი არ მოუშორებია ღმერთის საუფლოსათვის. იგი გულში ლოცავდა სამყაროს გამჩენს და მადლიერებით თვალებგაცისკროვნებული დიდხანს შეჰყურებდა ცისკარს.

მალე, ორღობეში მეზობლების მხიარული ხმები გაისმა.

იცოდა სოფელმა ზოსიმე ხელაიას ოჯახი შვილს ელოდებოდა. დილაუთენია მისი აივნიდან თოფის გრიალი ამქვეყნად ახალშობილის მოვლენის მაუწყებელი იყო.

ზოსიმე ამაყად იდგა ჯარგვალის წინ და ტაბაკონის მთას გასცქეროდა, რომლის მოვერცხლილი კალთებიდან მორცხვად მორაკრაკებდა პატარა მდინარე ინჩხია.

ირგვლივ მოსჩანდა გრიგალისაგან სახურავაჩეჩილი ჯარგვლები, ხულები, მარნები, რომელთა გვერდით ყანჩებივით მაღალ ფეხებზე შემდგარი ნალიები ილანდებოდა. არც დაფეხვილი თხისა და ხბოთა ბარაკებისთვის დაუკლია სტიქიას ავი ხელი.

მოლოცვებს იღებდა მამა.

თავს უხრიდა, ხელს ართმევდა მოსულთ.

ყველა აღნიშნავდა ბუნების ასე გამომზევება კარგის ნიშანია, ამ ბაღანას კარგი მომავალი ექნებაო.

მეზობლების თვალწინ ზოსიმემ დანის წვერით, ფართე წინკედლის ფიცარზე მიაწერა 1861-7-X და ტირე დასვა. ჯერ სახელი არ შეერქმია ვიჟისთვის, ამიტომ შეყოვნდა.

მიუხვდნენ თავზე ყაბალახჩამოფხატული მეზობლები მამას. ამიტომ რა არ ურჩიეს... ბოლოს ვიღაცამ წამოიძახა, ბესარიონი ნამდვილად კარგი სახელია, რა დაეწუნებაო.

ზოსიმეს გაედიმა და სოფლის მიერ შერჩეული სახელი მიამატა ფიცარზე მინაწერს – ბესარიონი.

რადგან უკვე არ წვიმდა. დღეს კარგი პირი უჩანდა, გლეხებიც ხალისიანები სჩანდნენ. თვითეული მათგანი ცდილობდა კეთილშობილი ყოფილიყო.

იცოდნენ, მღვდელი ზოსიმე თითქმის ყველაფერში ავლენდა თავისებურებებს. მას **„მამა ზოსიმეთი“** ვერავინ მიმართავდა. საკუთარ ახირებას ამგვარი ლოგიკით ხსნიდა **„ჩვენი მამა ღმერთია ცაში. ჩვენ კი მისი შვილები ვართ, ანუ და-ძმებიო“.** თუ ვინმე აღსარების თქმას დააპირებდა, გააფრთხილებდა **„ახსარება ღმერთს უთხარით, მან უნდა შეგინდოთ ცოდვებიო, მე სასჯელად ისიც მეყოფა შუამავლობა რომ ვიტვირთეო“.**

მის მორიგ ახირებად თვლიდნენ, რომ მიატოვა მშობლიური სოფლის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი (იგი ხისა იყო) და ერთი წლის წინ აფხაზეთის ილორის ტაძრის მოძღვრად ეკურთხა.

თუმცა საქართველოს კუთხეებიდან სხვა მღვდელ-მონაზვნებიც განამწესეს აფხაზეთში, იქ არსებული მძიმე სარწმუნოებრივი მდგომარეობის გამო.

**ბორის დავითაია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*



# სამეგრელო დავით დადიანის დროს

**ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).**

**გზები და არხები. არხის გაყვანაზე მომუშავე გლეხთა გასამრჯელო**

დავით დადიანის დროს ოდიშში შემდეგი გზები იყო:

**შუა სამეგრელოს გზა:** ზუგდიდი-ჭაქვინჯი-ლესიჭინე-ჯოლევი-ნოჯიხევი-ხონი. ამ გზით წავიდა ზუგდიდიდამ ქუთაისს ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე 1837 წელს და ამის გამო ეს გზა ძლიერ კარგად იყო შეკეთებული.

ზუგდიდი-ცაიში-ხეთა-ნოჯიხევი. აქედამ ერთი გზა მიდიოდა ყულევს და მეორე საჭილაოს. საშუალო სამეგრელოს გზა მთაგორიანი იყო და მთავრობას უნდოდა უფრო სწორი გზით შეეერთებინა ზღვა ხონთან, ქუთაისთან და იქით. ჩვენი ქვეყნის მეისტორიეს ბროსეს შეხვედრია 1848 წელს ხობის წყალზე პოლკოვნიკი თავადი გოლიცინი, რომელიც განაგებდა მაშინ ამ გზის კეთებას. ხსენებული პოლკოვნიკი წერდა დავით დადიანს 10 მარტს 1847 წელს: **"მთავარ-მართებლის მონდობილებით ვაკეთებ გზას ყულევიდან სურამამდის. გთხოვთ თქვენი სამთავროდამ დღეში 150 მუშა დამახმაროთ და 60 ურემი. მუშებს საჭმელი ექნებათ და მიეცემათ დღეში თითო შაური. საჭმლის ჭმევა აქვს მინდობილი აკოფოვს. წელს მუშაობა უნდა მოხდეს ცხენის წყლიდამ ნოჯიხევამდის და რის გამოგზავნასაც ინებებთ ნოჯიხევს უნდა მოვიდეს".**

ზუგდიდი-რუხი-ოცარცე-ოქუმი-ბედია-ოჩამჩირე. ენგური გაჭედილი იყო რუხის ციხესთან. ჯერ კიდევ მემკვიდრე დავით დადიანი სწერდა მის ძმას გრიგოლს: **"გზა კი ჩინებული კეთდება, ხიდიც ჩინებული ოცარცეს, რუხის მახლობლად უჩინებულესი".**

ზუგდიდი-დარჩელი-ანაკლია.

სენაკი-ნოქალაქევი-მარტვილი-ბომბუას ხიდი-გორდი.

ნოქალაქევი-სალხინო.

**ლეჩხუმში:**

ოყურეში-ცაგერი-მური.

მური-ლენტეხი-ჩოლური-ლაშხეთი.

მური-ლაილაში-ყოშხა-ჭრებალო...

დავით დადიანის დროს განახლდა არხი, რომელიც ერთ დროს აერთებდა ხობის-წყლის ტოტებს ცივს და ციას (ცივა) რიონთან, ახლანდელ ჭალადიდის ახლო. როგორც მოწმობს კავკასიის პირველი მთავარმართებელი თავადი ციციანოვი (1802-1806), ამ არხის გაყვანის აზრი დაებადა თავდაპირველად სამეგრელო-იმერეთში გაგზავნილს რუს მოხელე ლიტვინოვს. რადგანაც ამ დროს ფოთი თათრების ხელში იყო და ჯარების პროვიანტისა და სხვა საქონლისათვის მეტი გზა არ იყო მარჯვე მოწევნილიყო ორპირამდის, ლიტვინოვმა მიანდო ინჟენერს ლაშქარევს შეეერთებია ყულევი ჭალადიდთან არხით, რომ ამ გზით ეზიდნათ ზღვით მოტანილი საქონელი იმ ადგილამდის, საიდამაც ადვილად შესძლებოდათ დაერიგებიათ პროვიანტი, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა ნაწილებში ისე, თუ დასჭირდებოდათ, გურია-სამეგრელოშიაც. თუ მართალია ბ. მორენასის ცნობა, ეს არხი დაუმთავრებია საბოლაოდ სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს 1824 თუ 1825 წელს. აი, რას სწერდა ეს კაცი კავკასიის მთავარმმართველს პასკევიჩს (1827-1831) 5 აპრილს 1830 წ.: **"ჩემის აზრით უფრო შესაფერისი იქნება ფაზისი (რიონი) ზღვას შეეუერთოთ მდინარე ხობისწყალისა და ცივის საშუალებით. ცივი – პატარა და ღრმა მდინარეა და შეერთვის ხობის წყალს და იმ ადგილიდან თოფის სასროლი მანძილია ზღვამდე. ამ წყალზე შეიძლება მოეწყოს ნავებით ზიდვა საქონლისა, თითო ნავს 3.000 ფუთამდე ტვირთის გადატანა შეეძლება. მენავეობა ამ მდინარეზე შეიძლება ჭალადიდამდე ვერსნახევრის მანძილზე. თვით ჭალადიდი რიონის მარჯვენა ნაპირზეა, 25 ვერსზე ზღვასთან შესართავიდან. თავადმა დადიანმა ცივიდან ფაზამდე 1824 თუ 1825 წელს არხი გააყვანინა მდინარე ცივიდან რიონამდე, რომლითაც წყალდიდობის დროს დადიოდნენ ნავები 2.55 ფუტამდე საქონლით დატვირთულები. ამ ნავებით დღეს გადააქვთ სახელმწიფო ფქვილი ფოთიდან მარანში. ამ არხს მარტო შეკეთება და მოვლა დასჭირდებოდა, რომ თხელი წყლის დროსაც შესაძლებელი ყოფილიყო იმით სიარული".**

ამას სწერდა მორენასი, როდესაც ფოთი უკვე რუსების ხელში იყო.

არა სჩანს საქმიდამ რა განზრახვით მოკიდა ხელი ვარანცოვმა ამ არხის განახლებას, მაგრამ ეს კია, რომ მთავარ მართველი დიდ ყურადღებას აქცევდა ამ არხის განახლებას და მთავარი დავით დადიანი დიდად ხელს უწყობდა ამ განახლებას.

მთავრის კანცელარიის საქმიდამ ჩანს, რომ დავით დადიანისგან დანახმარ მუშებს დღეში ეძლეოდათ სამ-სამი შაური. ამ ფულით თითოეული მუშისათვის ყიდულობდნენ დღეში ორ გირვანქა ღომს, ნახევარ გირვანქა ხორცს, ნახევარ გირვანქა ლობიოს, და ერთ მანერკა ღვინოს. და რაც ფული გადარჩებოდა ამათ სყიდვას, მუშებს იქვე ურიგებდნენ.

ამგვარი დახმარებისათვის მადლიერი ვარანცოვი სწერდა დავით დადიანს:

**"პოდპოლკოვნიკმა პოტოცკიმ შემატყობინა, რომ თქვენი სურვილი გამოგიცხადებიათ გამოგვიგზავნოთ მეგრელები მუშებად არხისა და მდინარე ხობის წყლის კალაპოტის გასაწმენდად ყულევსა და რიონს შუა, დღეში სამ შაურად. ჩემს თავს მოვალედა ვსთვლი თქვენს უგანათლებულესობას უდიდესი მადლობა გამოვუცხადო დახმარებისათვის ამ ყველასთავის სასარგებლო საქმეში.**

**მთავარ შტაბის უფროსმა თქვენ უკვე მოგახსენათ ჩემის მხრით რა და რა განკარგულებაა გაცემული იმის თაობაზე, რათა თქვენს ქვეშემრდომებს, ვინც აქ იმუშავებენ, ქირა მაშინათვე მიეცეთ, მე ვუბრძანე სამუშაოთა ხელმძღვანელს პორუჩიკს ცილლეს მუშებს ქირა ყოველდღე მისცეს პირადად ხელში.**

**ვაუწყებ რა ამას თქვენს უგანათლებულესობას, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემის თქვენდამი პატივისცემისა და ერთგულებისა. თავადი მ. ვორონცოვი".**

ამ არხის რიონთან შესართავზე იყო საბაჟო, საცა მთავრის მებაჟეები **გუკოჩია ჭოჭუა, იესიკა ჭოჭუა** და **მახუია გვიჩია** ახდევინებდნენ მთავრის სასარგებლოდ ბაჟს.

ამას გარდა დავით დადიანის დროსვე განიზრახა კავკასიის მთავარ-მმართველმა ვარანცოვმა გაეუმჯობესებინა ნავთ-სვლა რიონით იმ ადგილიდამ, საცა ამ მდინარეს ერთვის გუბის-წყალი ცივის არხამდის და ფოთამდის მთავარ-მმართველმა დააწესა **"Комиссия для устройства судоходства по р. рион"** და ამ კომისიის მხედველობის ქვეშ სწმენდნენ რიონს, იღებდნენ იმისგან შიგ ჩასილულს და ჩაძირულ ხეებს, აშიშვლებდნენ წყლის ნაპირს ხე-ტყიდამ 10-12 საჟენის სიგანეზე, რომ დაუბრკოლებლად ეტარებინათ იქედამ ნავები. რომ მიწის პატრონები ზარალში არ შეეყვანათ ხეების მოჭრით, კომისიას ფასი ჰქონდა დადებული თითოეულ ხეზე, რომელიც მოიჭრებოდა რიონის ნაპირად, – შეფასებული იყო:

**კაკალი – 6 მანეთად;**
**ბჟოლა – 1 მანეთად;**
**მსხალი – 2 მანეთად;**
**ვაშლი – 2 მანეთად;**
**ბია – 3 მანეთად;**
**ბროწეული – 2 მანეთად;**
**ვაზი – 3 მანეთად;**
**ატამი – 1 მანეთად;**
**ლეღვი – 2 მანეთად;**

29 იანვარს 1847 წ. თავადმა ვარანცოვმა გამოუგზავნა დავით დადიანს მიწის პატრონთათვის დასარიგებლად 1903 მანეთი.

მთავრობისგან არხების გაყვანით წაქეზებულმა დავით დადიანმა თითონ განიზრახა გაეყვანა არხი ჯუმიდამ ჭურიას შტომდის, რომ ამგვარად გაეადვილებია საქონლის მოტანა ზუგდიდს და რამდენიმე ვერსტი კიდეც გაათხრევინა ეს არხი, მაგრამ იმის დამთავრება მას არ დასცალდა.

არხებში მუშაობა ერთობ მძიმე მუშაობა იყო, იმდენად მძიმე, რომ იქ გაგზავნილ კაცებზე ამბობდნენ კატორღაში გაგზავნესო. ერთხელ, აღდგომის წინა დღეს ამ არხის გაყვანის დროს ერთი საჭყონდიდოელი კაცი ჩამოვარდა ხიდამ და მოკვდა. მკვდარი ნოჯიხევს გაგზავნეს ბერუჩა ჯორჯიკიასთან, მოურავთან. მან მაშინვე გაგზავნა განსვენებული თეკლათს ჯარუკია თევზაძესთან და ნიკოლა სალაყაიასთან. აღდგომის დღე იყო, როცა სხვისი გარდაცვალებულისათვის მოცალეობა არავის ჰქონდა და მკვდარი ისევ უკან დაუბრუნეს ჯორჯიკიას. ეს რომ მოხსენდა მთავარს, დიდად განრისხდა და ბოქაულთ უხუცესს კონსტანტინე დადიანს უბრძანა თევზაიასათვის გადაეხდევინებინა ასი მანათი და სალაყაია სამაგალითოდ დაესაჯა.

*(გაგრძელება იქნება)*

---

**აფხაზეთის ღირსეული შვილები**

# საღარია ბაჯურ ესნატის ძე

**ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.**

**რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.**

გამოთქვა საკუთარი აზრი მეგობარზე, რომელთანაც ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის ათწლეულები გაკავშირებს და რომელიც ამჟამად ცოცხალი არ არის, ადვილიცაა და საკმაოდ ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მეგობარს ძალიან კარგად იცნობ და მასზე საუბარი გარკვეული სიამოვნების მომგვრელია. ძნელი კი გახლავთ იმიტომ, რომ საკუთარ მეგობარზე ძალიან ბევრი რამ იცით და მათგან უმთავრესის გამოწვლილვა, მისი ცხოვრების მიზნის წარმოდგენა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, მით უმეტეს, თუ ამ ადამიანის მოღვაწეობა მრავალმხრივია და საინტერესო მოვლენებითაა დამუხტული.

სახელგანთქმული აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ისტორიის მუხლჩაუხრელი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაჯურ ესნატის ძე საღარია, რომლის უნიკალური ნაშრომები აღიარებული გახლდათ არა მხოლოდ მის სამშობლოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც, დაიბადა 1926 წლის 5 იანვარს, აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ აჩანდარაში, გლეხის ოჯახში. მისი მამა – ესნატ საღარია გახლდათ აფხაზეთის სოფლებში მიმდინარე სოციალისტური გარდაქმნების აქტიური მონაწილე, დიდი სამამულო ომის მონაწილე. სწორედ ის და დედამისი – მაშიკო აგრბა, რომელთაც შვიდი შვილი აღუზარდეს სამშობლოს, გახლდნენ ბაჯურ საღარიას პირველი მასწავლებლები. ამ მატერიალურად ხელმოკლე, მაგრამ სულით მდიდარ ოჯახში ეზიარა ბავშვი დაწყებით განათლებას, შეისწავლა წინაპართა ტრადიციები, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. აფხაზი ხალხი დღესაც მოწიწებით ინახავს მისი ღვაწლმოსილი მშობლების ხსოვნას, რომელთაც სამშობლოს დიდი მეცნიერი და პატრიოტი ბაჯურ საღარია აღუზარდეს.

ბაჯური თავდაპირველად საკუთარი სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი სოხუმის აფხაზურენოვან სასწავლებელში. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, სადაც გაიწვიეს მისი მამა, ბაჯურმა სწავლა შეწყვიტა და აჩადარის კოლმეურნეობაში მეციტრუსეთა ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. ყმაწვილკაცი მუშაობასთან ერთად შაშხანასაც ატარებდა, რადგან საბჭოთა გამანადგურებელი ბატალიონის წევრი გახლდათ და კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის თავკაციც. ამ სახალხო ლაშქრის წევრებმა კავკასიონზე მოჯარული მტრის სადესანტო რაზმების მრავალი შემოტევა მოიგერიეს და დიდი სამსახური გაუწიეს საბჭოთა სამშობლოს გერმანული ფაშიზმის სასტიკად დამარცხების საქმეში. 1945 წელს ბაჯურ საღარია სსრკ კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, რის შემდეგაც იგი სოფლის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი გახდა. მთელი ეს წლები ბაჯური სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა.

მალე ოცნება აუხდა – 1949 წელს ბაჯურმა აჩადარის საშუალო სკოლა დაამთავრა, 1954 წელს კი როსტოვის უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულის დიპლომი მიიღო. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბაჯური ჯერ გუდაუთის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ კი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ამავდროულად ხელმძღვანელობდა რაიკომის ლექტორთა ჯგუფს.

1958 წლიდან ბაჯურ საღარია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტია, სადაც პროფესორ გიორგი ძიძარიას ხელმძღვანელობით ეწაფება სწავლას. საერთოდ, ამ პიროვნებამ დიდი როლი შეასრულა ბაჯურის სსრკ ისტორიის მეცნიერ-მკვლევარად ჩამოყალიბების საქმეში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სათავეში უდგება კაბინეტს და პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციების კურსს.

1962 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა აფხაზეთის ინსტუტუტში, რომელიც ამჟამად იწოდება აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტად. ჯერ იყო უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის განყოფილების გამგე, წამყვანი მეცნიერ-მუშაკი...

1965 წელს ბ. საღარიამ დაიცვა საკანდიდატო თემა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სახელობის ინსტიტუტში, თემაზე **"განათლება აფხაზეთის ასსრ-ში"**, ხოლო, 1983 წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე **"განათლება და საბჭოთა ნაციონალური სახელმწიფოს განმტკიცება აფხაზეთში 1921-1938 წლებში".**

ბაჯურ ესნატის ძე საღარიას კალამს ეკუთვნის 270-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის 80 სამეცნიერო ნაშრომი, 16 მონოგრაფია და კრებული. იგი მიზნად ისახავდა სიძველისაგან გაყვითლებულ ფურცლებში იმ ჭეშმარიტების აღმოჩენას, რომელსაც შეეძლო სამსახური გაეწია ქვეყნის მომავლისათვის. მისი მთავარი მიზანი გახლდათ აფხაზეთის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოს ისტორიის შესწავლა. ამ პრობლემებს მან მიუძღვნა რიგი წიგნებისა და მონოგრაფიებისა, რომლებიც მისი სადოქტორო დისერტაციის თემად იქცნენ.

ბაჯურ საღარიამ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთში კონსტიტუციური მშენებლობის ისტორიის კვლევის საქმეში. იგი დაწვრილებით შეისწავლიდა კანონთა კოდიფიკაციაზე ხელისუფლების მუშაობას. იხილავდა რა ამ საკითხებს, მან გამოწვლილვით წარმოადგინა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ეტაპები.

ბაჯურ საღარიას ნაშრომებს, აფხაზეთის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დარგში, მაღალ შეფასებას აძლევდნენ საბჭოთა კავშირის ისტორიის სკოლის ღირსეული წარმომადგენლები. ესენია: **"აფხაზეთის ისტორიის "თეთრი" და "შავი" წერტილები", "აფხაზეთის ისტორიის ტრაგიკული ფურცლები", "აფხაზეთი – დოკუმენტები მოწმობენ"** და სხვა მრავალი. განხილულია 1937-1938 წლების რეპრესიათა ტრაგიკული შედეგები.

აქტიურად მონაწილეობდა ბაჯურ საღარია კოლექტიური ნაშრომების შექმნის პროცესებში. ნაშრომებში. იგი, ამავე დროს, რამდენიმე საიუბილეო გამოცემის თანაავტორია.

ბაჯურ საღარიას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია პედაგოგიური საქმიანობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი იყო აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მინიჭებული ჰქონდა **"აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება".**

დიდი მკვლევარი და მეცნიერი, აფხაზეთის ღირსეული შვილი ბაჯურ ესნატის ძე საღარია მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2005 წლის 16 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუტაციები

**ბორჯი მეოთხე**

გზაზე გამოფენილ განძეულობათაგან ოტობაიელების უმთავრესი სიმდიდრე ნაწილობრივ გამოგვიმზეურებია – ენა – ხვრელიდან რომ ამოიყვანს უხსენებელს და ხენეშ ნაპრალში გადაკარგავს თვით ქვეყნის მეუფე მამაზეციერსაც კი.

ოტობაიას ღობეები ვარდისფერი ენითაა დაწნული თხმელის წკნელის მაგივრად, დროთა მსვლელობაში გახუნებულა ის ფერი, წუთისოფლის მტვერი აუტვირთავს და ოდესღაც გადაისებული შემღვრეულა გვარიანად.

ენა თავიდან ძვლიანი იყო ეჭვმიუტანლად, მაგრამ, ალბათ, ოტობაიელებმა ამოაცალეს მოუხეშავს, როგორც ვაზს – ჭიგო და ამიერიდან მიიგრაგნება უმისამართოდ აღმოსავლეთ-დასავლეთ თუ ჩრდილოეთ-სამხრეთით ქარზე მჩატე და ორლესულზე ბასრი.

არ გჯერათ; ახლავე დაგიმტკიცებთ:

– **პრესა "რეალური, ობიექტური", მხოლოდ ასეთი წარმომიდგენია მე იგი,** – ამგვარად გამომეხმაურება ერთ-ერთი ჩვენებური ქალწული, რომლის მოსახელეებით სავსეა რენესანსის ფერწერა ჩვილატატებული პოზით, – **მაგრამ სამწუხაროდ ხშირად ვკითხულობ გაზეთის ფურცლებზე რაღაცას, ისეთს, რომელიც საერთოდ სინამდვილეს არ შეესაბამება... კომენტარი აუცილებელი არ არის, არამედ, მინდა დავსვა კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ მოჩმახა, რომ თითქოს მეორე ოტობაიაში "რა ხანია მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაღი...**

**საინტერესოა, როცა წერილი გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა, მის სისწორეში დარწმუნებული იყო თუ არა ავტორი? დასანანია, რომ ბატონმა გ.ფეტელავამ ზერელე ფაქტები წარუდგინა მკითხველს, როცა იგი ერთმანეთს ადარებდა ორ ოტობაიას, მრთალია, პირველ ოტობაიას საერთოდ არ გააჩნია საბავშვო ბაღი, მაგრამ სჯობს ასე, ვიდრე – მეორე ოტობაიაში, სადაც რამდენიმე წლის უკან აშენდა არახარისხოვანი შენობა, რომელმაც ერთ ჟუჟუნა წვიმას და დასავლურ ნიავს ვერ გაუძლო და უწყლოდ, უღმერთოდ ჩამოდნა, ჩამოინგრა, ჩამონახშირდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ბავშვებისთვის უცნობი იყო, როცა თანამდებობაზე ხალხი ინიშნებოდა ე,წ, ჩვენებური ანუ ქართული აურზაურით... მე მეორე ოტობაიელი ვარ და რა თქმა უნდა, მწადია ჩემი სოფლის ცენტრიც ისეთივე ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს, როგორც პირველი ოტობაიისაა, ან რატომ არ უნდა იყოს ასე, თუ კი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეორე ოტობაიის მეურნეობა უფრო შეძლებულია, ხოლო პირველი – ვალებშია;**

**რატომ უნდა იყოს ფოსტა სკოლის შენობას შეფარებული, ან ის ქოხმახი კლუბი სკოლის ეზოში თვალებდაჭყეტილი? როდემდე უნდა იწვოდეს სირცხვილით საყოფაცხოვრებო, მედპუნქტი, ბიბლიოთეკა; რომლებიც ერთ ფიცრულში შეეუჟუჟულან , არც ის ერთადერთი მაღაზიაა ბედოვლათიანი, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი სამრეწველო, სასურსათო თუ სამეურნეო საქონელი, მშვენება არც კანტორა და მუშათა სასადილოა, მაგრამ პატარა, ახალი შენობებია, სოფელი ღამით ჩაბნელებულია, ვფიქრობ, საჭიროა ცენტრალურ ქუჩებში ლამპიონები, ეს კარგი მომსახურება იქნებოდა ტრანსპორტისათვის და მგზავრებისათვის!„**

დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, მადონა, ჩვენებურო, ოტობაიის ბედ-იღბალზე გულდამწვარი ჭირისუფლის ხმა ღაღადებს, რისთვისაც უაღრესად გემადლიერები, – ვეხმიანები ფიქრებში ენამჭევრ თანასოფლელს, – ამბობ ამდენი და ამდენი წელია ის საბავშვო ბაღი აშენდაო, თათაქარიძეების საკადრის ყოფაში ვართო.

ნაკლის მხილება დიდუბულია, მე სხვა რაღაცაზე მწყდება გული: ესოდენ ბასრი ენა საკამათო პუბლიკაციის შემდეგ ღა რომ გასარჯე, ისე ნუ გამიგებ, თითქოს ნაწყენი ვიყო, არამც და არამც, მით უფრო ჩვენებურისადმი სიტყვა ცერად როგორ გამექცევა, ეს მე ვარ ყოველდღიურობაზე მაღლა, თორემ უფალ იესოს თუ მიუგდებ ყურს, მოძღვარს მხოლოდ საკუთარ სოფელში, ნაზარეთშიღა არ შეუნდობენ, ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ საპოლეტიკო წერილს აბსოლუტური გულგრილობით, დუმილით შეხვდება როგორც პირველი, ისე – მეორე ოტობაია.

ამას წინათ ერთ თანასოფლელს შევხვდები თბილისში ნათესავის გასვენებაზე, საუბარს შევყვებით, მერმე ვიტყვი:

წიგნს ვწერ თქვენზე-მეთქი.

ვინ დაგავალაო, ამომაშტერდება შეცბუნებული.

მამაშენმა-მეთქი.

მამაჩემი რომ ოცი წლის მკვდარიაო.

ეგ თქვენთვის, თორემ ჩემთვის დღესაც ცოცხალია-მეთქი.

პასუხს მთხოვ და ორიოდე სიტყვას როგორ დაგზარდები; ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩავებმები მარათონულ ბრძოლაში, რომელსაც ოტობაიელების აქილევსის ქუსლი, ანუ ჭარბად დაგეგმილი ბოსტანი ჰქვია.

ამ საკითხს ორმოცდახუთწუთიან სატალევიზიო გადაცემასაც მივუძღვნი, სათაურით: – ორი მეურნეობა, ორი შედეგი... მეგონა საქმეს ეშველებოდა, მაგრამ როგორც ამჯერად, არც მაშინ გაფაჩუნებულა ბუჩქიც კი ორივე ოტობაიაში.

იმედს მაინც არ გადავიწურავთ, მივდგებ-მოვდგებით, ზოგი მეტად გაირჯება, ზოგი – ნაკლებად და აი, გაერთიანებული ძალით შეუძლებელს მოვახერხებთ – ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას პროფილი შეეცვალება, სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელი გახდება, თუმცა გვარიანხნობით მეურნეობამ ძველებურად უნდა წიკოს ქანცისგამწყვეტი ტვირთი – 2599 ტონა ბოსტნეული!

ძუძუმტე მეტყვის: ამაგდარმა ბრიგადირმა, ხუჭუჭთმიანმა ხუტუშა ძაძუამ, სამუშაოს თავი დაანება, ვინაიდან აწი ცარიელი დაპირებებით ოტაბაიელებს პლანტაციაში ვერაფრით შეიყვანო.

ზურგი შეუქცევიათ სამსახურისთვის მკლავმოულელელ მებოსტნეებს: დინარა გამისონიას, უფროს-უმცროსი და-ძმის მოამაგე თენგოს, თენგიზ ფეტელავას, მუქთად ოფლისღვრა არავის ეხალისება, შინ ჩხირკედელაობს.

ასეთია თურმე ჩვენი საერთო სატკივარი, ასეთი ატმოსფეროს დახატვას ვისახავდი მიზნად, როცა კალამს ხელს ვკიდებდი. ასეთი სულისკვეთებით დავმუხტულვარ ახლაც, შეუდარებელ შურობუმუს ორი წლით მოშორებული, და მეპატიება, ალბათ, ოტობაიას ყველა პრობლემისთვის თუ ვერ მოვიცალე მაშინ-მეთქი, – ვებაასები ფიქრებში უცნობ ოპონენტს, – აწ უშუალოდ ჩემს გამრუდებულ ფაქტებზეც მოგახსენებ, მადონა, ჩვენებურო, – ვაგრძელებ კამათს აბსტრაქტულ თანასოფლელთან, – საბავშვო ბაღის ის შენობა სატელევიზიო გადაცემის მომზადების პერიოდში ჯეირანივით გამოიყურებოდა, მაგრამ რადგანაც სასმელი წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა, პროექტი არტეზული ჭის გათხრას არ ითვალისწინებდა, სოფელს კი ცენტრალიზებული წყალგაყვანილობა არ გააჩნდა, საზოგადოებამ არ ჩაიბარა, და თუ ახლა ხსენებული დაწესებულება მართლაც შენს სიტყვებს შეესაბამება – პარტახია, ბარაქალა ჩვენ, დიდი შეცდომა მოგვსვლია, უპატრონობით დაგვიღუპავს.

ხომ გაგიგონია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეუფლნენო და გასაკვირი რა არის წლობით გამოკეტილი, ადამიანის უზრუნველობას მოკლებული შენობა გაერანებულიყო-მეთქი, მე სხვა რამეზე მწყდება გული, მადონა, ჩვენებურო: მაინც და მაინც ამ ბორბლებზე ამხედრებული კაცის წერილის გამომზევებას უცდიდი, რომ მამულიშვილობის ძარღვი აგტოკებოდა; რატომ ქვეყანა არ შეძარით;

როცა ენგურზე გადასასვლელ ხიდს მოითხოვთ, ქუდზე კაცი ფეხებში ჩაუვარდებით ცეკას იმდროინდელ მდივანს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

განა სკოლაც მსგავსი ერთსულოვნების შედაგად არ აშენებულა, ან – ის ჯვარცმული ბაგა-ბაღი, მაგრამ რა აზრი აქვს ყოველივეს თუკი არსებულს მოუვლელობით დავაქცევთ-მეთქი.

მერედა, პირველი ოტობაიას ცენტრს რომ შეჰხარი, მადონა, ჩვენებურო, ჩაკითხე დარბაისელ ხალხს. მართალია, უხუცესი ნოჩო თაკალანძე გასულა გაღმა, მარილზე, საკუთარი ცხვირის მთაგრეხილებით, მაგრამ სხვებმა ხომ იციან: სამკილოგრამმუშტიანმა პილა სექანიამ, ხარისთვალება ყირმიზმა ბრძენკაცმა კაპტო ლოგუამ თუ თითებმოღუნულმა კუკუია მესხიამ თუნდაც, დღენიადაგ ქარვის კრიალოსანს რომ აწვეთებს დაბამბულ შარვლიან მუხლებთან, რომ ჩვენი რაიონული ცენტრი გალი რაც მდინარე ღალისის, ღალიძგას, იგივე ღელისპირის რუსული წაკითხვაა, **"Гали"**, ჯერ მოგონილიც არ არის, როცა აქ, ფესვებმაგარ ოტობაიაში საარაკო ბაზრობები იმართება? გამოფენენ დუქნებში ფართლეულს და აბრეშუმეულს ძმები ხუფენები – თედო, ბეგი, კირილე და დომე, თოვლივით ქათქათას თუ ზაფრანასავით წითლებს.

გამოიტანენ დახლებზე ირანულ რაჰათლუკუმს და თურქულ შაქარ-ყინულს, ძაძამიძეების ნაოსტატარ ქამარ-ხანჯალს, ჩანგელიების დალიანდაგებულ ჩოხა-ახალუხს.

გამოამზევებენ ოტობაიელის მეცადინეობით ენასა და პირს შუა თუ რამე ითქმება: არის ჯირითი ლევანიას მინდორზე, სადაც აწ კამეჩების სანებივრო ტლაპოების სიმრავლეა, აქ პირველობას არავის დაუთმობს კუჭუ გელენა მოციქნული, კვერცხივით შეკრული მერნით.

ცხენის მორქიას თარჩია ენაცვლება.

ტრიალებს გიგანტური კარუსელი, თურქული სანდლები თუ ოჩხომელურანი იტვირთება თხილით, კაკლის, წაბლის ხის მასალით, მოკლედ, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

მეორე ოტობაია, იგივე კუნთხუოტობაიად წოდებული კი – სულ რაღაც ათი წელიწადია გამიჯვნია პირველს და შედარებით მოკრძალებული იერსახის თუა, საგანგაშო არაფერია, მოსკოვიც ხელის ერთი მოსმით როდი აშენებულა. უცებ ცათამბჯენებს ნუ მოვსთხოვთ სიპ ქვაზე დასახლებულს, სულის მოთქმა ვადროვოთ, ჯერ ფესვი მოიკიდოს, დაეფუძნოს, ადრე თუ გვიან ქარვასლების აღმართვის ჟამიც დადგება-მეთქი.

ლიმონი რომ სათუთი კულტურაა, მადონა, ჩვენებურო, არ გესწავლება, მასზე დამღუპველად მოქმედებს ყინვა, ამიტომაც გამოეყოფა თუ არა დიდ ოტობაიას პატარა, იმთავითვე ლიმონარიუმების მშენებლობას შევუდგებით, ამისი მოწმენი ორივე გახლავართ, მხოლოდ ნოჩო თაკალანძე და სამარადისში გადაბრძანებული ზოგი ჩვენი თანასოფლელიღა ჩამოშორებია საერთო ფაციფუცს.

დახურულ გრუნტში ოცდაათამდე ჰექტარი ფართობი მიწა მოქცეულა, ნავარაუდევია მარტივი თუ რთული კონსტრუქციებით აღნიშნული სავარგულების ზედმიწევნით გადახურვა.

ჯოტო ყალიჩავას ვაჟიშვილი, ვერცლისწყალივით დაუდგრომელი ნუგზარი, იგივე ვაჩი მეტსახელად, ცირკისმიერი მალაყებით რომ დაგვაჭყეტინებდა ხოლმე თვალებს სტადიონზე, მექანიზაციის სულისჩამდგმელია.

მართალია, ბაღდადიდან ჩამოყვანილი ვირისა არ იყოს, ძალზე ძვირია მათი აშენება, მაგრამ ხელმძღვანელობის რწმუნებით, ფონდუკუგებას სრული მსხმიარობიდან მესამე წელს მიიღებენ, ლიმონარიუმების მშენებლობასთან დაკავშირებით ოტობაიელების წინაშე ერთი მოურჩენელი პრობლემა მაინც რჩება – მორგებული ტექნიკა...

– აი, რა გვჭირდებაო – მეუბნება მეურნეობის დირექტორი იგორ გადელია, – გარკვეული ეკონომია მოგვცა შარშან შეძენილმა რვა მიკროტრაქტორმა, აღსანიშნავია ისიც, რომ მეურნეობაში მხოლოდ 15 ჰექტარზეა გაშენებული პროფესორ მამფორიას მიერ გამოყვანილი ყინვაგამძლე ჯიში **"დიოსკურია"**, დიდი სურვილი გვაქვს დავნერგოთ სხვა ჯიშებიც, მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ მეცნიერ-მუშაკებთან, აგრეთვე ფართოდ გამოვიყენოთ მეციტრუსეობის დარგში საზღვარგარეთ არსებული გამოცდილებაო.

ლაპარაკის ნომენკლატურულ სტილს ძვირად ვეთანაწყობი, ნოჩო თაკალანძეებისა და გრიშა იზორიების ღაბაჩზე აღზრდილს მეხამუშება კანცელარული სტილი.

აკი, თქვა კიდეც ცხვირის პარამეტრებით გინესის წიგნში შესატანმა თანასოფლელმა:

– ყოველ დილა ოცდათხუთმეტი კილომეტრიდან რომ მოლაყუნდება კაცი შენს ასაშენებლად და საღამოთი კვლავ ოცდათხუთმეტი კილომეტრით წაგვანგვალდება გვარიანად ჯიბეგასქელებული, იმისთანა სოფელს მომავალი უწერია?

– მეურნეობაში ფართოდ ინერგება კოლექტიური იჯარა, – ჩამესმის ყურში იგორ გადელიას როდის თქმული, – სადაც კი მუშაობის ეს პროგრესული ფორმა დამკვიდრდა, სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ 45-59 ცენტნერს მიაღწია, საიჯარო რგოლები აგრეთვე შექმნილია მეციტრუსეობაშიც, მოვლენებს რეალურად თუ შევხედავთ, ოტობაიელები ციტრუსებმა მართლაც რომ ამოიჰვანა ჭაობიდან, შარშან 16 ტონა ლიმონი მოვკრიფეთ, წლეულს ეს ციფრი გაათმაგდება, საპნის ბუშტივით გასკდა სკეპტიკური შიში იმის თაობაზე, რომ ჭარბტენიან ზოლში ციტრუსები ვერ გაიხარებდნენ, იქნებ სწორედ ციტრუსების გაშენებაა ერთადერთი მართებული გადწყვეტილება ზღვისპირა მწირი ნიადაგების ათვისების საქმეში, – განმანათლებს, – ცხადია, თუკი მათი ყინვისგან დაცვის საკითხიც მოგვარდება.

ეს პრობლემა ახლო მომავალში უფრო სიღრმისეულ დაკვირვებას საჭიროებს თურმე, მაგრამ ჩვენთვის ახლა არსებითი ის გახლავთ, რომ ოტობაიის საზოგადოების ნაწილი თავის დროზე სწორ არჩევანს გააკეთებს, არ მოერიდება ბიუროკრატიულ გალავნებს, წინა პლანზე ხალხის სასიცოცხლო ინტერესები წამოსწევს და თითქოს დაუჯერებელს შეძლებს: ნაჭაობარ ნიადაგზე კოლხეთის ისტორიაში პირველად გაშენდება ციტრუსები, დანარჩენი უკვე შრომის ორგანიზაციის გერგილიან წარმართვაზე იყო დამოკიდებული, მუშაობის იმ სტილზე, რომელმაც – დროთა მსვლელობაში მოსახლეობაში ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა...

მე სულ სხვანაირად წარმომისახავს კოლხეთის მომავალი, ჩემი კრედო ირიდი სართანიას, ნოჩო თაკალანძეს თუ ჩონჩორ ჯოჯუას შეგირდი ძუძუმტეს პრაქტიკა-თეორიის ურღვევი კავშირითაა ნასაზრდოები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ხუთი თითივით წარმომიდგენია მარილისთვის სხვენზე ხარის აყვანა რა სამოთხესაც მოგვიტანს.

უკვდავების წამალი ლაფაროსთან რომ ხარობს, ესეც ჩინებულად გამიცნობიერებია, ოღონდ არ გაგვაჩნია ამ წამლის მოძებნის ძალისხმევა, ცხრა მთას იქით ვჩხირკედელაობთ, როცა ყურისძირასაღმოცენებულა და კიდევ უმთავრესი, ფორმულა ჩვენი არსობისა: რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოს!

პირველ ოტობაიაში კრებაა დანიშნული.

რაბო შონიას სახელმწიფო მანქანით მოვეშურებით შურობუმუსკენ, აღმასკომის თავმჯდომარეა, შოთა შარანგიასთან ორმოცწუთიანი საუბრის შემდეგ მთავრობის წარმომადგენლად მომყვება.

ჩვენს დელიკატურ მასლაათს უსწრებს წერილების ციკლი სამთავრობო გაზეთებში, იციან, ცეკას მდივანი, ბატონი ნოდარ ჭითანავა დაინტერესებულა ჩემი პუბლიკაციებით და დამოკიდებულება შინაური მღვდლის კვალობაზეა: ორივე მანქანის უკანა სალონში ვსხედვართ.

ოტობაიაში შესვენების საათი ჩაგვასწრებს, მაგრამ ვინაიდან მაღაზიის მშენებლობისთვის ბეტონის ხსნარი მიუღიათ, მეურნეობის აპარატის თანამშრომლები, კოოპერატივის მუშაკები თუ ილიკო ცეკვაშვილის მიერ ფიზკულტურის გაკვეთილს მოწყვეტილი მოსწავლეები, ერთად შრომობენ.

ხალხის მხარდაჭერა რომ ჰპოვოს, მეურნეობის დირექტორი გურია შონია იმთავითვე სოფლის კეთილდღეობისკენ დაუმიზნებს და ეს გასაგებიცაა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია და საამისოდ ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობას არანაირი სახსარი გააჩნია.

ვალებითა და გრძელვადიანი სესხებით დამძიმებული მისი ბიუჯეტი გასაქანს არ იძლევა, თუმცა ისიც ნათელია, რომ ურისკოდ ნებისმიერი დიდი საქმე ჩანასახშივეა მკვდარი, და ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობაში ყველასთვის სასიხარულო შრომის რიტმი რომ გამეფებულა, უწინარესად გურია შონიას დამსახურებაა, მადონა, ჩვენებურო.

ნაშოვნი აქვს კაცს საშვილიშვილო და ტკბილ სიბერეს დადარაჯებია თანასოფლელების მეხსიერების კაბადონზე საცისკროვნოდ, არ უთაკილია რუსთველს სახელის მოხვეჭა ყოველთა მოსახვეჭელს შორის და გურია შონია წამიერად თუ მიაყურადებს სულმნათი წინაპრის საგულისფიცრე შეგონებას, ჩავქოლოთ ბიძად საკადრისი კაცი?

გზისპირებზე ქვის დეკორატიული ღობები აღმართულა, აშენებულა კაპიტალური სასიმინდე, საწყობი, განახლებულა მეცხოველეობის ფერმა, დასასრულს უახლოვდება მაღაზიის მშენებლობა, მალე მწყობრში ჩადგება მეურნეობის კანტორა, ახალმოსახლეობა უზეიმია ფოსტას, აღმართულა ომში დაღუპულების უკვდავსაყოფი ობელისკი, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმ პერსპექტივასთან შედარებით, რომელიც ხვალ-ზეგ ოტობაიელების თვალწინ გაიშლება თურმე.

**გური ოტობაია**

(გაგრძელება იქნება)

## მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

**მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემბდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.**
**ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.**

### პაოლო ფუტრე

დაიბადა 1966 წლის 28 თებერვალს პორტუგალიაში.

თამაშობდა კლუბებში **"სპორტინგი", "პორტუ"** (პორტუგალია), **"ატლეტიკო"** მადრიდი (ესპანეთი), **"ბენფიკა"** (პორტუგალია), **"მარსელი"** (საფრანგეთი), **"რეჯანა", "მილანი"** (იტალია), **"ვესტ-ჰემ იუნაიტედი"** (ინგლისი), **"ატლეტიკო"** მადრიდი (ესპანეთი).

პაოლო ფუტრე სულ 17 წლის ყმაწვილი იყო, როცა მისი დებიუტი შედგა პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. შემდეგ მისმა ვარსკვლავმა გაიკიაფა **"პორტუში"**, სადაც ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი დიდი შეპირებების ფასად გადაიტყუეს **"სპორტინგიდან"**. სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში დაეუფლა ფუტრე პორტუგალიის თასს 1987 წელს. ამ ამბიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ფუტრემ ხელი მოაწერა კონტრაქტს მადრიდის **"ათლეტიკოსთან"** და ამ გუნდში გადაბარგდა. შემდეგ სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს გახლდათ მადრიდელთა ახალი პრეზიდენტის ჰესუს ჰილის მეტად იღბლიანი შენაძენი. **"ათლეტიკოში"** ფუტრეს უამრავი თავგადასავალი გადახდა, ვიდრე კვლავ არ დაუბრუნდა მშობლიურ პორტუგალიას და ჩაირიცხა **"ბენფიკას"** შემადგენლობაში. მაგრამ ფინანსურმა კრიზისმა ეს გუნდი აიძულა ფუტრე **"მარსელისათვის"** მიეყიდა. სამწუხაროდ, ფინანსურმა სიძნელეებმა **"მარსელშიც"** იჩინეს თავი, რის გამოც გუნდი 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეელია ამ შესანიშნავ ფეხბურთელს – იტალიის **"რეჯანა"** იყო მეოთხე გუნდი ფუტრეს კარიერაში. მაგრამ, სამწუხაროდ, პაოლო ფუტრე აღარ იყო ის **"დიდი"** ფუტრე, რომლის თამაშის სანახავად სპეციალურად მიდიოდნენ გულშემატკივრები, რადგან პირველივე მატჩში მან მუხლის მყესები დაიზიანა და მალე საერთოდ დაემშვიდობა დიდ ფეხბურთს.

### კაზიმეჟ დეინა

დაიბადა 1947 წლის 23 ოქტომბერს, პოლონეთში.

თამაშობდა კლუბებში **"სტაროგრადი", "სპორტოვა", "ლოძი", "ლეგია"** (ვარშავა), **"მანჩესტერ-სიტი"** (ინგლისი), **"სან-დიეგო"** (აშშ).

ის, რომ პოლონეთის საფეხბურთო ნაკრები 1970-იან წლებში მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი წამყვანი ძალა გახდა, ბევრწილად დეინას და მისი თანაგუნდელების მაღალოსტატური თამაშით იყო განპირობებული. დეინა მოედნის შუა ხაზზე თამაშობდა, სადაც მას ეხმარებოდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელები მაშიკი და კასპერჩაკი. ამ სამეულის ძალისხმევა კი სრულდებოდა ლიატოსა და გადოხას შეუჩერებელი გარღვევებით, რაც უმეტეს შემთხვევაში მეტოქის კარის დალაშქვრით სრულდებოდა ხოლმე. კაზიმეჟ დეინამ აღიარება პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს საფეხბურთო კლუბ **"ლეგიას"** შემადგენლობაში თამაშისას მოიპოვა, როცა ეს გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა 1969 წელს. ამ დიდი წარმატების შემდეგ **"ლეგიას"** მწვრთნელი კაზიმეჟ გურსკი პოლონეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ამ პოსტზე მიღებული გადაწყვეტილება ბრძნული იყო – მან ნაკრების შემადგენლობაში მიიწვია ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ნახევარმცველი. 1972 წელს მიუნხენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე პოლონეთის ნაკრებმა ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა, რაშიც დიდი როლი ითამაშა კაზიმეჟ დეინამ. ორი წლის შემდეგ კი, ამავე სტადიონზე, პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ ეს წარმატება პოლონელებმა გაიმეორეს 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. დეინას კარიერა საზღვარგარეთ წარმატებული ვერ გამოდგა – ფეხბურთელმა დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია ვერც ინგლისში და ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში. საერთო ჯამში, დეინამ პოლონეთის ნაკრების მიერ გამართულ 102 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 38 გოლი გაიტანა.

### რაიმუნდო ორსი

დაიბადა 1901 წლის 2 დეკემბერს, არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში: **"ინდეპენდენტე"** არგენტინა, **"იუვენტუსი"** იტალია.

ვიტორიო პოცომ, რომელიც მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში იტალიის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან უყოყმანოდ მოიწვია ქვეყნის საკლუბო გუნდებში რაიმუნდო ორსის ტიპის ნიჭიერი ფეხბურთელები. **"თუ მათ შეუძლიათ დაიღუპონ იტალიისათვის, მაშინ ისინი შესძლებენ, რომ იტალიისათვის ითამაშონ ფეხბურთი",** – ამბობდა იგი. ორსიმ 1928 წლის ოლიმპიურა თამაშებდე მარცხენა ფლანგის თავდამსხმელად ითამაშა არგენტინის ნაკრებში. მაშინ არგენტინამ ფინალამდე მიაღწია. ოლიმპიადის შემდეგ ორსი საკონფლიქტო სიტუაციაში გაეხვა და ამიტომაც მიიღო იტალიაში გადაბარგების გადაწყვეტილება. **"იუვენტუსში"** იგი ექვსი თვის განმავლობაში იჯდა სათადარიგოთა სკამზე, ხოლო დებიუტიდან ოთხი თვის თავზე იგი იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს. პორტუგალიელებთან გამართულ პირველივე მატჩში (ეს მატჩი იტალიელებმა ანგარიშით 6:1 მოიგეს), რომელიც შედგა 1929 წლის ნოემბერში, ორსიმ ორი გოლი გაიტანა და მყარად დამკვიდრდა ნაკრებში. 30-იანი წლების დასაწყისში **"იუვენტუსმა"** ხუთჯერ ზედიზედ გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონატში, გარდა იმისა, რომ ორსი ხუთივე ჩემპიონატში მონაწილეობდა, მან დიდი წვლილი შეიტანა **"იუვენტუსის"** დიდ წარმატებაში. ყველაზე დასამახსოვრებელი ორსისათვის იყო 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ფინალურ მატჩს ჩეხებო იგებდნენ. ორსიმ მატჩის ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში, დამატებით დროში კი იტალიელებს გამარჯვება და მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება აღარ გასჭირვებიათ, რაც ასევე რაიმუნდო ორსის დიდი დამსახურება გახლდათ.

**გიორგი ჯალაღანია**

## იუმორი

* * *

– ძვირფასო, ყავა გინდა?
– კი.
– მაშინ, შენთვისაც მოიდუღე.

* * *

ცოლმა დიდხანს ათვალიერა საკუთარი თავი სარკეში და მერე ქმარს მიუბრუნდა:
– მეტის ღირსი მაინც არ ხარ!

* * *

სტუდენტი გამოცდაზე გავიდა. ჩანთიდან ლამაზი საწერ-კალამი ამოიღო და პროფესორს წინ დაუდო.
– კარგი, დამაკმაყოფილებელი.
სტუდენტმა კალამს გვერდით კანფეტების შეკვრა დაუდო.
– კარგი, ჯანდაბას, ოთხიანი.
სტუდენტმა ახლა სამარკო კონიაკი ამოიღო.
– კარგი, ფრიადი. მომეცით ჩათვლის წიგნაკი,– ეუბნება პროფესორი და ხუთიანს უწერს. კმაყოფილმა სტუდენტმა ყველაფერი ისევ ჩანთაში ჩაალაგა და მიდის.
– სად მიგაქვთ? – ეკითხება გაოცებული პროფესორი.
– ფიზიკაც მაქვს ჩასაბარებელი.

* * *

კახელი ტრაბახობს:
– რაიონში ისეთი მაგარი ქირურგი ჩამოვიდა სამუშაოდ, ჩაქაფულისგან ბატკანი ააწყო!..

* * *

– კლარნეტზე ადარ უკრავ?
– არა, მეზობელმა სანადირო თოფი იყიდა.

### ახალი სალარო აპარატების დარიგება დაიწყო

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა რამდენიმეთვიანი მარჩიელობის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოაყალიბა და საზოგადოებას წარუდგინა ახალი **PRS**-ის სალარო აპარატების დანერგვის გეგმა. მეწარმეებს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს აღემატება, **PRS** -ის სალარო აპარატების შეძენისთვის 290 ლარის გადახდა მოუწევთ. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს არ აღემატება, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, ახალი აპარატები უსასყიდლოდ გადაეცემა.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, გადამხდელთა ერთი ნაწილი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 ათას ლარს, თავისუფლდება აპარატების ქონისაგან.

მეწარმეებს, რომლებმაც სალარო აპარატებში 290 ლარი უნდა გადაიხადონ, შეუძლიათ ისარგებლონ ბანკის უპროცენტო განვადებით 12 თვის განმავლობაში.

სალარო აპარატები 3 ეტაპად დარიგდება. ახალ აპარატებზე გადასვლის პროექტი სატესტო რეჟიმში, ჯერ თბილისში ამოქმედდება. რეგისტრაციის პროცესის გამარტივების მიზნით, ტექნიკური მომსახურების პერსონალი განთავსდება თბილისის მომსახურების სერვისცენტრებში. მეორე ეტაპი კი 1-ლი სექტემბრიდან დაიწყება და პროექტი განხორციელდება რეგიონებშიც. პროექტის მესამე ეტაპზე 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ძველი მოდელები ახლით სრულად ჩანაცვლდება, ხოლო 2012 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყება მათი სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება.

## სამეგრელოს რაიონში გატარებული სასკოლო რეფორმა კრახს განიცდის

პარტია **„თავისუფალი საქართველოს“** მიერ **საქინფორმისთვის** გამოგზავნილი კორესპონდენციის თანახმად, წალენჯიხის რაიონის სოფლის სკოლები სავალალო მდგომარეობაშია. სოფელ ნაკიფუს საჯარო სკოლაში 300-მდე მოსწავლე სწავლობს. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. არ არსებობს ელემენტარული სასწავლო პირობები, არ აქვთ სპორტული დარბაზი, სასადილო ოთახი, არც – მერხები და სკამები. ბავშვები ათწლეულების შედეგად შემორჩენილი ინვენტარით სარგებლობენ. სამაგიეროდ, შენობა ევროსტანდარტების შესაბამისია. ფასადი გარემონტებულია, მაგრამ ინტერიერი ცხოველის სადგომს უფრო შეესაბამება.

პარტია **„თავისუფალი საქართველოს“** აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინა კვარაცხელიამ ეს სკოლა მოინახულა და ამბობს, რომ ამ შენობაში შესვლის სურვილი არცერთ მოსწავლეს არ აქვს, ამიტომ ზოგი მათგანი მეზობელ სკოლაში დადის, ხოლო ისინი, ვინც ამას ვერ ახერხებს, სწავლას საერთოდ ანებებენ თავს.

„როგორც ჩვენთვის ცნობილია, სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამის შედეგად, სავარაუდოდ, ამ სკოლის მასწავლებელთა ნაწილი ახალი სასწავლო წლიდან უმუშევარი დარჩება. შენობისთვის 1980 წლიდან არავის მიუხედავს. არც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და არც განათლების მინისტრი სკოლის შენარჩუნებისთვის არაფერს აკეთებს. მოსახლეობამ განათლების სამინისტროს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართა, მაგრამ – ამაოდ. შაშკინისგან მხოლოდ დაპირებები ისმის. სავარაუდოდ, ახალი სასწავლო წლისთვის ამ სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი მკვეთრად შემცირდება, რადგან ბავშვებს სასკოლო ოთახებში სხდომის ეშინიათ. შენობის ავარიულობამ შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

„თავისუფალი საქართველო“ აუცილებლად გაუწევს რაიონში სასკოლო რეფორმის მიმდინარეობას მონიტორინგს, რადგან რაიონის სკოლის მოსწავლეების სიცოცხლე საფრთხეშია, აღარაფერს ვამბობთ მათ სასკოლო ინვენტარზე“, – ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერს მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინა კვარაცხელია.

## გაზეთ "ილორის" მკითხველთა საყურადღებოდ!

**ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომერში გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცნობილ ქართველ მეცნიერს, ღვაწლმოსილ პიროვნებას ბატონ მამანტი ძაძამიას შერყეული აქვს ჯანმრთელობა და საფუძვლიან მკურნალობას საჭიროებს, რომლის ფინანსური შესაძლებლობა ბატონ მამანტის არ გააჩნია. აქვე იმასაც ვიუწყებოდით, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის უხუცესთა საბჭოს თავმჯომარემ, 92 წლის ზაგანბეი გოგოხიამ წერილი გაუგზავნა საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ანდრია ურუშაძეს 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, შვიდი აკადემიის აკადემიკოსის ბატონი მამანტი ძაძამიასათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თხოვნით.**

**ბატონი მამანტის გულის იშემიური დაავადება აწუხებს, 4-ჯერ გაიგზავნა სათანადო დოკუმენტი სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოში, მაგრამ უშედეგოდ. სამწუხაროდ, მხცოვანი ადამიანის ეს თხოვნაც უყურადღებოდ დატოვა საქართველოს სომხურმა ხელისუფლებამ, რადგან საკაშვილს და მის გარემოცვას არად ადარდებს სამშობლოს სამსახურში ჯანგაცვეთილი ჭერშმარიტი პატრიოტის ჯანმრთელობის მდგომარეობა!**

**სამაგიეროდ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში უამრავმა ადამიანმა დარეკა იმის თხოვნით, რომ ფინანსური დახმარება გაუწიონ ბატონ მამანტის, რათა მან შეძლოს ოპერაციის ხარჯების ანაზღაურება.**

**ვაკმაყოფილებთ რა ამ ქველმოქმედი ადამიანების სურვილს, ვაქვეყნებთ ბატონი მამანტის საბანკო რეკვიზიტებს, რომელზეც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი რაოდენობის თანხის ჩარიცხვა ქართულ ეროვნულ ვალუტაში:**

**ქ. წალენჯიხა, სს "ლიბერთი ბანკის" წალენჯიხის ფილიალი, მფო – 220101419, ანგარიში №36010758 (GEL), ძაძამია მამანტი.**

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

სარედაქციო საბჭო
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
2-34-32-95 599-34-37-27